*დანართი №2*

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - ქალაქ თერჯოლის №2 საჯარო სკოლა**

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: ლელა ფიცხელაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

**წევრები:**

1. გიორგი მომცელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
2. მაია ქევხიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
3. მაია შამუგია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
4. ნინო ავალიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
5. თამარ ძველაია (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
6. ელიზა ბაგალიშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
7. თინათინ გიორგაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
8. ლიანა კობესაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
9. ქეთევან ქობალია ( სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
10. ელენე ბეთლემიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

## ნაწილი I. შესავალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | ქალაქ თერჯოლის №2 საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | სსიპ |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 232001678 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქ. თერჯოლა |
| იურიდიული მისამართი | თერჯოლა, 4 ძმის ქ.N17 |
| ფაქტობრივი მისამართი | თერჯოლა, 4 ძმის ქ.N17 |
| საფოსტო ინდექსი | 2400 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | დაწესებულებას არ აქვს ვებ გვერდი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | Terjola2@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | სკოლას არ აქვს სკოლის ტელეფონის ნომერი<br><br>ხელმძღვანელის ტელეფონის ნომერია 577973306 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | 2023 წლის 08/05 MES 9 23 0000512399 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2023 წლის 06 და 07 ივნისი |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

*„ზოგადი განათლების შესახებ“* საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | დაწყებითი საფეხური | დაწყებითი (I-VI კლასები) | ქართული | ქალაქი თერჯოლა, ოთხი ძმის ქ.N17 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2 | საბაზო საფეხური | საბაზო (VII-IX კლასები) | ქართული | ქალაქი თერჯოლა, ოთხი ძმის ქ.N17 |
| 3 | საშუალო საფეხური | საშუალო (X-XII კლასები) | ქართული | ქალაქი თერჯოლა, ოთხი ძმის ქ.N17 |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით" განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმების მიზნით განხორციელდა ვიზიტი ქ. თერჯოლის მე-2 საჯარო სკოლაში.
ექსპერტთა ჯგუფი, ვიზიტის დაწყებამდე გაეცნო სკოლის თვითშეფასებას და თანდართულ დოკუმენტაციას. ჯგუფმა შეიმუშავა დღის წესრიგი, წარმოების ფარგლებში დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეცა ვიზიტამდე.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას.
დრის წესრიგით განსაზღვრულ დროს ჩატარდა ინტერვიუირება დაწესებულების წარმომადგენლებთან, კერძოდ : სკოლის დირექტორთან, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებთან, საქმისმწარმოებელთან, მულტიდისციპლინური გუნდის წევრებთან, საგნობრივი კათედრების წარმომადგენლებთან.
ვიზიტი განხორციელდა ჰიბრიდული ფორმით. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის ექსპერტი იმყოფებოდა ადგილზე ვიზიტით, ხოლო დანარჩენ საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუ .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღიწერა და შეფასდა ოთხივე სტანდარტის ყველა კომპონენტი. სკოლამ უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, თუმცა არასრულად. ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს განმარტეს ზოგიერთი საკითხი. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები ვიზიტის დასასრულს გაეცნო დაწესებულების წარმომადგენლებს. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, გარკვეულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის გაწერილი გრაფიკით. აღნიშნული აისახა შეფასებაზეც.

## /VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

### I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>■ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐**არ შეესაბამება** |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ■ შეესაბამება<br>☐მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 4.1**<br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**II.**

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<table>
<tr><td rowspan="2">მოსწავლეთა რაოდენობა: 600</td><td>ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება<br>☒</td><td>აღწერა<br>(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)</td></tr>
<tr><td>ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება<br>☐</td><td></td></tr>
</table>

**III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.**

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

---

**IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება**

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ" შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა".*

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N...* | | *ხარვეზი არ დაფიქსირებულა* |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| ***სტანდარტი N3*** | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ***ხარვეზი*** |
| *ინდიკატორი N…* | | |
| | | |
| | | |
| ***სტანდარტი N4*** | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | *ხარვეზი არ დაფიქსირებულა* |
| *ინდიკატორი N….* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| ***სტანდარტი N2*** | სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | ***ხარვეზი*** |
| *ინდიკატორი N….* | | *ხარვეზი არ დაფიქსირებულა* |
| | | |
| | | |

**V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| ***სტანდარტი N1*** | ***სკოლის ფილოსოფია*** | ***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*** |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |
| | | |
| ***სტანდარტი N3*** | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | |
| *ინდიკატორი N...* | | |
| 3.4.1.1 სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის | | სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ვადებში: <u>დაამონტაჟოს ვიდეო-კამერები, წარმოადგინოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. დაიცვას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და</u> |

*1* გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას; | | სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების №41/ნ/01-23/ნ მოთხოვნები. |
| **3.4.1.2** სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას; | | სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ვადებში შეიმუშაოს საგანგებო მართვის გეგმა, შესაბამისად შეათანხმოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. სახანძრო უსაფრთხოების მიზნით შენობის ყველა სართულზე გამოაკრას საევაკუაციო გეგმა და აღჭურვოს სკოლა ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობით. |
| **3.6.3.1** სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ | | სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ვადებში შექმნას სკოლის ვებგვერდი. |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; | | |
| ***სტანდარტი N4*** | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*** |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

| ***სტანდარტი N2*** | **სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)** | ***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*** |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | .............. |
| | | |
| | | |

**VI. რჩევა**

*გთხოვთ, გადმოიტანოთ* არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| ***სტანდარტი N1*** | **სკოლის ფილოსოფია** | ***რჩევა*** |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | .............. |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| 1.1.1.5<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი; | | სასურველია სკოლამ გაზარდოს დაინტერესებული პირებისთვის მისიის ხელმისაწვდომობა. |
| 1.2.1.2<br>სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს; | | იმის გათვალისწინებით, რომ სტრატეგიული გეგმა ინსტიტუციისათვის ერთგვარი საიმიჯო დოკუმენტია, სასურველია მისი სტრუქტურა წარმოდგენილი იყოს შემდეგი ძირითადი პუნქტებით:  ინფორმაცია დაწესებულების შესახებ (ფოკუსი პროგრესზე დაფუძნებიდან დოკუმენტის შექმნამდე  რა გზა გაიარა , მისია, ხედვა, ღირებულებები.  აღწერა - როგორ იქნა დოკუმენტი შემუშავებული, SWOT ანალიზი. მასზე დაფუძნებული იდენტიფიცირებული სტრატეგიული პრიორიტეტები და მიზნები მათი აღწერა და თითოეული  მიზნისათვის შესაბამისი ამოცანების განსაზღვრა მათი  მიღწევის დროის ჩარჩოს მითითებით. |
| 1.2.2.3<br>სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების | | სასურველია გაიზარდოს  სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობა; |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის   ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| განხორციელების შედეგები საჯაროა; | | |
| | | |
| სტანდარტი N3 | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | რჩევა |
| ინდიკატორი N... | | |
| 3.1.2.2 სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა; | | სასურველია სკოლამ შეიმუშაოს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. |
| 3.1.2.3 პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს | | სასურველია სკოლამ შეიმუშაოს დოკუმენტი, რომელშიც გამოჩნდება ერთიან სისტემაში გააზრებული პროცესი საკადრო პოლიტიკის კუთხით , მაგალითად: დირექტორის მოადგილის, ან მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში მათი აყვანის წესი და ა.შ. |

| | | |
|---|---|---|
| პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით; | | |
| 3.1.2.4 პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას; | | სკოლამ მიიღო რჩევა , შეიმუშაოს სხვადასხვა პოზიციაზე მყოფი კონკრეტული თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი. |
| 3.2.1.2 პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; | | სასურველია სკოლამ შეიმუშაოს პროფესიული განვითარების მიზნით თანამშრომელთა მხარდამჭერი სტრატეგიის ან პოლიტიკის მექანიზმი და გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირების გეგმა. |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| 3.4.1.4 სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას; | | სასურველია სკოლის ექიმმა დოკუმენტურად, ჟურნალში აღრიცხვით აწარმოოს მონიტორინგი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე, ასევე სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი, სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად გამოიყოს ცალკე ოთახი. სველ წერტილებთან დამონტაჟდეს ხელსახოცებისთვის განკუთვნილი საკიდები. |
| 3.4.1.5 სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას; | | სასურველია სკოლამ შეიმუშაოს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი ერთიანი დოკუმენტის სახით. |
| 3.5.1.1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; | | სასურველია სპორტულ დარბაზში ბუნებრივი ვინტილაციის მიზნით იღებოდეს ფანჯრები. |

| | | |
|---|---|---|
| 3.4.1.6.<br>სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები; | | სასურველია სკოლამ იმუშაოს ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის შექმნაზე, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პრინციპებს და ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების პროცედურებს. |
| | | |
| | | |
| სტანდარტი N4 | მოსწავლეთა მხარდაჭერა | რჩევა |
| ინდიკატორი N.... | | |
| 4.2.1.1.<br>სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი; | | სკოლამ სასურველია შეიმუშაოს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი. |

| | | |
|---|---|---|
| სტანდარტი N2 | სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | რჩევა |
| ინდიკატორი N.... | | .............. |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი N2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს | IV კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმი. | ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოები I, II და III კლასებში ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტს. მეოთხე კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის შედგენის დროსაც სკოლამ იხელმძღვანელოს ესგ-ის საგნობრივი სტანდარტით და მის მიხედვით განსაზღვროს სამიზნე ცნებები, შესასწავლი თემები და საკითხთა ჩამონათვალი. |
| ინდიკატორი N2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს | III კლასი, მათემატიკის კურიკულუმი | მათემატიკის კურიკულუმის ჩარჩოებში I, II და IV კლასებში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზნებზე და შუალედური მიზნებზე ორიენტირება. სკოლამ მესამე კლასის კურიკულუმშიც ასახოს შუალედური მიზნები (კომპლექსური დავალებები). |
| ინდიკატორი N2.1.2 | ფიზიკური აღზრდისა და სპორტის 7, 8, 9, 10, 11, 12 კლასების კურიკულუმები | მასწავლებლებმა გაამრავალფეროვნონ ელექტრონული რესურსები თეორიულ საკითხებში, რადგანაც საბაზო და საშუალო საფეხურზე იგივე პრეზენტაციების ლინკებია წარმოდგენილი, რაც დაწყებით საფეხურზე (თემა: ჯანსაღი ცხოვრების წესი) |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი N2.1.2 | ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ყველა კლასის კურიკულუმები | კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში სკოლამ ჩაატაროს წინარე გამოცდილების ანალიზი |
| 1.1.2.ინდიკატორი კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს | ტექნოლოგიების კურიკულუმი | კურიკულუმის შემუშავებისას პედაგოგმა იხელმძღვანელოს კომპიუტერულ ტექნოლოგიებში საგნობრივი გზამკვლევის რესურსი 1-ზე დაყრდნობით<br><br>მომზადდეს მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები |
| სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს | ტექნოლოგიების კურიკულუმი | მოხდეს შეფასების კრიტერიუმების შემუშავება კონკრეტული დავალებების მიხედვით (განმსაზღვრელი, განმავითარებელი), მოხდეს სასკოლო, საკლასო და საერთაშორისო პროექტებში აქტიური ჩართვა (INTEL, eTwinning, CTEL-პროექტები) |
| 2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. | ტექნოლოგიების კურიკულუმი | მოხდეს მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ანალიზი.<br>შემუშავდეს მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკები. |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| 2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას | ტექნოლოგიების კურიკულუმი | სწავლებაში გამოყენებულ იქნეს სოციო-ემოციური სწავლების მეთოდები |
| მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს | ტექნოლოგიების კურიკულუმი | კომპიუტერულ ტექნოლოგიებში განხორციელდეს მოსწავლეთა მიღწევების სტატისტიკური ანალიზი, მოსწავლეთა ნამუშევრებისა და შეფასებების ანალიზი, გამოკითხვები, ინტერვიუები, პედაგოგიური კვლევები |
| 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს | ტექნოლოგიების კურიკულუმი | სკოლაში შემუშავებული შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტის შესაბამისად ჩატარდეს კურიკულუმის გადასინჯვა და გადამუშავება. |
| 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს | გეოგრაფია, ისტორია, მოქალაქეობა | სასწავლო პროცესის შეფასებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იყოს არა მხოლოდ პედაგოგების მოსაზრებები, არამედ მოსწავლეების თვითშეფასების რუბრიკების საშუალებით მოხდეს პრობლემების და მიღწევების იდენტიფიცირება; შესაძლებელია კოლეგების ურთიერთმოსაზრებების და ემპირიული დაკვირვება- |

| | | |
|---|---|---|
| | | ანალიზის საფუძველზე დასკვნების გაკეთება; მშობელთა მოსაზრებების გათვალისწინება და ა.შ.<br>სასწავლო პროცესის შეფასება უნდა ეყრდნობოდეს არა მხოლოდ მოსწავლეთა შეფასების მონიტორინგს, ასევე აუცილებელია გაანალიზდეს სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის რელევანტობა; აქტივობების რაოდენობა, მოცულობა და შინაარსი; სასწავლო გარემო, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქო-ემოციური;<br>შესაძლებელია გამოყენებულ იყოს სასწავლო პროცესის შეფასების $360^0$-იანი სისტემა. ეს სისტემა, ყოველმხრივი ან მრავალმხრივი შეფასების სისტემის სახელით არის ცნობილი, და გულისხმობს პროცესში ჩართული ყველა მხარის მონაწილეობას მონიტორინგსა თუ შეფასებაში, და მიღებული მონაცემების კომპლექსურ ანალიზში.<br>სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სწავლების ფორმები – პირისპირ (დასწრებული), დისტანციური, თუ ჰიბრიდული – შესაბამისად უნდა მოხდეს დასკვნების და სამომავლო გეგმების დასახვაც. |

**VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

<u>სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

*დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებზე და მითითებულ ხარვეზებზე. ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი შესაბამისობის გეგმა გაწერილია დროში მიღწევადი, რეალისტური ვადებით.*

**ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)**

**1. სკოლის ფილოსოფია**

**1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები**

**1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში**

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

სკოლის მისია და ხედვა წარმოდგენილია 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმაში.
სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლას აქვს მისია, ,,აღზარდოს პიროვნება, რომელიც შეძლებს უპასუხოს თანამედროვე მოთხოვნებს და, ამასთანავე, მტკიცედ ეყრდნობოდეს ეროვნულ ფესვებს“. მისია შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის ხედვაა: ,, -თითოეული მოსწავლე აღჭურვილი იქნება სათანადო ცოდნით, საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებით და სოციალურად სწორი ორიენტაციით. მოსწავლეებში ახალი შესაძლებლობების აღმოჩენით ისინი შეძლებენ იყონ მოთხოვნადი კადრი შრომის ბაზარზე და თავისი საქმიანობით ქმნიდნენ ინტელექტუალურ კაპიტალს თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებაში.“ თუ დავეყრდნობით ამ დოკუმენტს - სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება განათლების ეროვნულ მიზნებს. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შესაძლებელია შეფასდეს სრული შესაბამისობით.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარების გეგმაში ასახული მიზნები და ამოცანები გარკვეულწილად აირეკლავს სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. მაგალითად , დოკუმენტში ვხვდებით ჩანაწერს : მისიის მისაღწევად სკოლა იზრუნებს - საზოგადოებაში აღიარებული ფასეულობების დამკვიდრებაზე; მოსწავლეთა ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობაზე, მათი დაცვას ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან; მოსწავლეებში ურთიერთპატივისცემის, სამართლიანობის, ეროვნული ღირებულებებისა და მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევათა დაფასების ტრადიციების დამკვიდრებაზე. სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრებაზე; ეფექტური, ჯანსაღი, უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე; აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შესაძლებელია შეფასდეს სრული შესაბამისობით.

3. <u>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;</u>

4. სკოლის დირექციის განმარტებით სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;_სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია, ხედვა და ღირებულებები წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს. შესაბამისად ისევე , როგორც სასკოლო სასწავლო გეგმა, მისია, ხედვა და ღირებულებები, შეთანხმებულია სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსთან (ოქმი №2, 07.09.2022 წელი) , განიხილება და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე (ოქმი №3, 07.09.2022 წელი). **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შესაძლებელია შეფასდეს სრული შესაბამისობით.**

5. <u>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;</u>

სკოლის მისიის და ხედვის სასკოლო საზოგადოების მხრიდან გაზიარების საკითხი გარკვეულწილად მიღწეულია, რაც დადასტურდა იტერვიუირების პროცესში. სკოლის მისია და ხედვა გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. ის წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს, ჩაშლილია საფეხურის მისიებად. **<u>ინდიკატორი შესაძლებელია შეფასდეს სრული შესაბამისობით.</u>**

6. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლაში, თვალსაჩინო ადგილას. თუმცა სკოლას არ აქვს ვებ-გვერდი, არც სოციალურ გვერდზე იძებნება აღნიშნული ინფორმაცია. **<u>სასურველია სკოლამ გაზარდოს დაინტერესებული პირებისთვის მისიის ხელმისაწვდომობა.</u>**

7. <u>სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.</u>

სკოლის სახელწოდება სსიპ ქალაქ თერჯოლის #2 საჯარო სკოლა შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 13.09.2005 და ბრძანება N 194 16.03.2007 განსაზღვრავს სკოლის ტიპს და სახელს : სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლა)

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2023 წლის 06 ივნისის 2-53 ბრძანება სსიპ ქალაქ თერჯოლის #2 საჯარო სკოლაში სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიისა და შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ;
- შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2030;
- 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 2022 წლის 07 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს #2 ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

### 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

<u>1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;</u>

სკოლას აქვს შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც 2023 წლის 06 ივნისის # 2-52 ბრძანებით არის დამტკიცებული. დოკუმენტის მიზანია, აღწეროს სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლაში (შემდგომში - სკოლა) სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების ზოგადი მიდგომები, მოთხოვნები და სამუშაო პროცესები. ყურადღება გამახვილებულია გუნდურობაზე და თანამონაწილეობაზე: გუნდური მუშაობა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ხორციელდება გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით, რაც ხელს შეუწყობს სამართლიანი და თანასწორუფლებიანი

სამუშაო გარემოს შექმნას, პროცესში ჩართული/დაინტერესებული პირების უფლებებისა და ინტერესების დაცვას და საშუალებას მისცემს მათ სკოლის განვითარებაზე საკუთარი ხედვის გამოხატვის საშუალებას. თანამონაწილეობა - სტრატეგიული დაგეგმვა განიხილება როგორც თანამონაწილეობითი პროცესი, რაც უზრუნველყოფს სკოლის პერსონალის, მოსწავლეების, მშობლებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას; გამჭვირვალობა - სტრატეგიული დაგეგმვისას და შეფასებისას ორგანიზაცია იყენებს ღია და საჯარო მიდგომებს, რომელიც აისახება შესაბამის წესებსა და პროცედურებში. სამართლიანობა - ნებისმიერი გადაწყვეტილება ეყრდნობა სამართლიან არგუმენტებს და გადაწყვეტილების მიღების ობიექტურ კრიტერიუმებს. მკაფიოდაა გამოხატული სტრატეგიული პრიორიტეტის მიღწევის მექანიზმების განსაზღვრა. **ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;**

სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს კერძოდ: სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლებას; თვითშეფასების სისტემის ჩამოყალიბებას; უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო და სასწავლო გარემოს შექმნას; მშობელთა ჩართულობას სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში; სწავლებისა და აღზრდის საქმეში მასტიმულირებელი ბერკეტების მოძიება და გამოყენებას; ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებას და სკოლის კომპიუტერიზაციას; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განვითარება და აღჭურვას; სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრებას; სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით. სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია მიზნების შესაბამის ამოცანებიც; **ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**
თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ სტრატეგიული გეგმა ინსტიტუციისათვის ერთგვარი საიმიჯო დოკუმენტია, სასურველია მისი სტრუქტურა წარმოდგენილი იყოს შემდეგი ძირითადი პუნქტებით: ინფორმაცია დაწესებულების შესახებ (ფოკუსი პროგრესზე დაფუძნებიდან დოკუმენტის შექმნამდე რა გზა გაიარა , მისია, ხედვა, ღირებულებები. აღწერა - როგორ იქნა დოკუმენტი შემუშავებული, SWOT ანალიზი. მასზე დაფუძნებული იდენტიფიცირებული სტრატეგიული პრიორიტეტები და მიზნები მათი აღწერა და თითოეული მიზნისათვის შესაბამისი ამოცანების განსაზღვრა მათი მიღწევის დროის ჩარჩოს მითითებით.

3. <u>სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;</u>

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან. სკოლის ყოველწლიური თვითშეფასება, რომელზე დაყრდნობითაც უნდა იქმნებოდეს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, გარკვეულწილად ბუნდოვანია. წარმოდგენილ მტკიცებულებებში ასახულია კათედრის ოქმები, სადაც საუბარია, რომ საგნის მასწავლებლები აკეთებენ სასწავლო პროცესის ანალიზს. ასევე სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარების ჯგუფი, რაც მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მონიტორინგი. <u>ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.</u>

4. <u>სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.</u>

სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, წარმოდგენილია შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, ვადები რეალისტურად არის განსაზღვრული, გამოყოფილია პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები , ასევე შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. <u>ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.</u>

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2023 წლის 06 ივნისის # 2-52 ბრძანება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;**

სკოლის მიერ შემუშავებულ სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მკაფიოდ არ იკითხება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, თუმცა გარკვეულწილად შინაარსობრივ ნაწილში იგი მოიაზრება. მაგალითად მე 6 თავში ვკითხულობთ: სტრატეგიული მიმართულებებით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს დასახული სტრატეგიული პრიორიტეტების მიღწევა. სამოქმედო გეგმა მოიცავს ამოცანებს, აქტივობებს, მათი შეფასების ინდიკატორებს/მაჩვენებლებს, მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურულ ერთეულების დასახელებებს, ამ აქტივობის განხორციელებისას ჩართულ სკოლის სხვა სტრუქტურული ერთეულისა ან/და სხვა ორგანიზაციის დასახელებას, დამდგარი შედეგის შეფასების წყაროს, აგრეთვე ამოცანის განხორციელების ვადებს. სამოქმედო გეგმა გათვლილია 1 წელზე და მისი გადახედვა ხდება პირველი სემესტრის ბოლოს. გადახედვის

შედეგად ფასდება წინა სემესტრის გეგმის შესრულება, ზუსტდება შემდეგი სემესტრის ამოცანებისა და აქტივობების ნუსხა, საჭიროების შემთხვევაში ემატება ახალი ამოცანები/აქტივობები.- აღნიშნულზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. <u>**ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**</u>

2. <u>**მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;**</u>

მიმდინარე ეტაპზე სკოლის მიერ შემუშავებულ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის კუთხით დოკუმენტში მეცამეტე გვერდზე ვკითხულობთ : მიმოხილვის პროცედურას წინ უსწრებს სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, რომელიც წარიმართება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმების გამოყენებით. ასევე სკოლის დირექციასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა ის გარემოებები, რომ სკოლა ახორციელებს დაკვირვებას, ძირითადად, კათედრების დონეზე, საგაკვეთილო პროცესსა და ცალკეული სეგმენტების საქმიანობაზე. <u>**ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.**</u>

3. <u>**სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;**</u>

რაც შეეხება სტრატეგიულ და ერთწლიან გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობას, ეს საკითხი ბუნდოვანია, თუ არ ჩავთვლით იმ გარემოებას, რომ ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სკოლის დირექტორი წარადგენს ანგარიშს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, სადაც ასახულია , საგანმანათლებლო პროცესის, სწავლების ხარისხის და სხვადასხვა აქტივობის შეფასება. <u>**ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით,** თუმცა სასურველია გაიზარდოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობა;</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. <u>სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.</u>

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის მეთორმეტე გვერდზე ვკითხულობთ: სტრატეგიული გეგმის გადახედვის ფაზა სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების შესრულების მიმდინარე შეფასება ხდება ყოველწლიურად. მას იხილავს სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რის შემდეგაც მის მიგნებებს/დასკვნებს ითვალისწინებს ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში.. ასევე სკოლის ადმინისტრაციასთან საუბრისას ირკვევა, რომ რეგულარულად იმართება პედაგოგების, კათედრებისა და დირექციის შეხვედრები, რომლებზეც განიხილება ზოგადი დადებითი და უარყოფითი ტენდენციები სკოლის განვითარებასთან დაკავშირებით, გამოიკვეთება კონკრეტული პრობლემა და ისახება მათი გადაჭრის გზები. <u>ინდიკატორი ფასდება სრული შესაბამისობით.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2023 წლის 06 ივნისის # 2-52 ბრძანება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ,

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

#### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. <u>სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;</u>

სკოლის შინაგანაწესში ვხვდებით სკოლაში მოქმედ სტრუქტურული ერთეულების/პირების გაწერილ ფუნქციებს. ასევე სკოლა ხელშეკრულებით არეგულირებს დასაქმებული პირების ფუნქციებს, რომელიც რეგულირდება საშტატო განრიგით. დასაქმებული თანამშრომლების საშტატო ერთეულები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლის საშტატო ნუსხით. სკოლაში დასაქმებულია დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, სსმ პირის ასისტენტი, დარაჯი, დამლაგებელი. დასაქმებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია კონკრეტული ფუნქციები. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები : სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო. სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასა და მათ შორის კოორდინაციისთვის ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ’’ საქართველოს კანონის და ,,საჯარო სკოლის

წესდების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 ბრძანების მიხედვით და თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. <u>სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.</u>

სკოლაში დასაქმებულია პირები, რომლებიც ითავსებენ, როგორც ადმინისტრაციულ , ასევე საგაკვეთილო პროცესს , მათი ფუნქციები გამიჯნულია, არ ხდება ფუნქციათა აღრევა , ან გადაკვეთა, რაც თავისთავად ხელს უწყობენ სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის საშტატო განრიგი;
- გაფორმებული საკადრო ხელშეკრულებები.

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;**

სკოლაში დასაქმებული პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით, ხელშეკრულებებით და სკოლის შინაგანაწესის მიხედვით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საკუთარი ორგანიზაციული მოწყობა, რომელიც წარმოდგენილია სქემატური სახით. სკოლის სტრუქტურა მოიცავს: სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექციას (დირექტორი, დირექტორის მოადგილე და ბუღალტერი), პედაგოგიური საბჭოს, საგნობრივი კათედრებს, მასწავლებელთა ხარისხის განვითარების ჯგუფს, მოსწავლეთა თვითმართველობას, მრჩეველთა საბჭოს) . სკოლა სარგებლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სკოლების წესდებით, სადაც გაწერილია საჯარო სკოლისთვის განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურის სავალდებულო რგოლების სამუშაო აღწერილობები, ხოლო სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე დასაქმებული პირების/ სტრუქტურულ ერთეულების უფლება-მოვალეობები წარმოდგენილია შრომითი ხელშეკრულებით. **აღნიშნულიდან გამომდინარე კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.** სასურველია სკოლამ შეიმუშაოს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;**

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სკოლას პერსონალის მართვის ერთიანი ხედვა დოკუმენტის სახით არ აქვს მომზადებული, თუმცა სკოლას პრევენციულ და ინტერვენციულ პერსონალის მართვის პოლიტიკის კუთხით წარმოდგენილი აქვთ პერსონალის დანიშვნის ,

გათავისუფლების ბრძანებები , რომელიც რეგულირდება ხელშეკრულებებით, სკოლის შინაგანაწესით. **აღნიშნულიდან გამომდინარე კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;**

სკოლა პერსონალს არჩევს კანონმდებლობის შესაბამისად, შიდა და გარე ვაკანსიის გამოცხადების გზით, ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით; სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად, სკოლაში დაცულია მასწავლებლის შერჩევის მიზნით გამოცხადებული ვაკანსიის კომისიის შექმნის ბრძანება, ვაკანსია გამოცხადებულია მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე, წარმოდგენილია საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები. მიმდინარე წელს მულტი დისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე სკოლამ გამოაცხადა ვაკანსია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტის პოზიციაზე. შეიქმნა კომისია, შემუშავდა საკონკურსო წესი, გაიწერა კრიტერიუმები გასაუბრებისთვის, რომელიც განსაზღვრავდა არსებულ საჭიროებებს. **შესაძლებელია ითქვას, რომ კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.** თუმცა სასურველია სკოლამ შეიმუშაოს დოკუმენტი, რომელშიც გამოჩნდება ერთიან სისტემაში გააზრებული პროცესი საკადრო პოლიტიკის კუთხით , მაგალითად: დირექტორის მოადგილის, ან მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში მათი აყვანის წესი და ა.შ.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;**

სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ გათვალისწინებულ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. ამას ადასტურებს საკვალიფიკაციო

მოთხოვნების შესაბამისობა პერსონალის პირად **საქმეებთან. შესაბამისად კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.** თუმცა სკოლამ მიიღო რჩევა , შეიმუშაოს სხვადასხვა პოზიციაზე მყოფი კონკრეტული თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის არარსებობიდან გამომდინარე რთულია დადასტურებულად ვისაუბროთ, თუმცა ადმინისტრაციული სტრუქტურების წარმომადგენლების და პედაგოგების მონაწილეობითი და გუნდური მუშაობა იკვეთება მაგალითად კათედრების მუშაობაში. აგრეთვე სკოლაში ვიზიტის დროს და ინტერვიუებითაც აღნიშნული დასტურდება. **შესაბამისად კრიტერიუმი შესაბამისობაშია.**

**6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.**

სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. სასურველია სკოლამ შეიმუშაოს მიერ წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი აღნიშნული საკითხი.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- კონკურსის გამოცხადების ბრძანება;
- სპეციალური მასწავლებლის აყვანის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. <u>სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;</u>

მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულებით. დოკუმენტში გაწერილია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები, გაკვეთილზე დაკვირვება/შეფასების, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები. ადმინისტრაციის ინფორმაციით სკოლის დირექცია და კათედრები ახორცილებენ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებას, ხდება უკუკავშირის მიცემა, კათედრაზე ხორციელდება ერთობლივი გაკვეთილების დაგეგმვა-განხორციელება. **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. <u>პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;</u>

სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით პერსონალის განვითარება ხდება საჭიროებიდან გამომდინარე მასწავლებლის სახლთან თანამშრომლობით, შესაბამისი ტრენინგებით. შეფასებისა და მხარდაჭერის ჯგუფის სამოქმედო გეგმაში იკითხება საჭიროებების გამოვლენისა და რეაგირებისთვის მზაობა. **შესაბამისად კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია,** <u>თუმცა სასურველია სკოლამ შეიმუშაოს პროფესიული განვითარების მიზნით თანამშრომელთა მხარდამჭერი სტრატეგიის ან პოლიტიკის მექანიზმი და გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირების გეგმა.</u>

3. <u>სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;</u>

სკოლაში შექმნილია ხარისხის ჯგუფი, წარმოდგენილია ხარისხის ჯგუფის დებულება, რომლის მიხედვით ხარისხის ჯგუფმა ხელი უნდა შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. ამავდროულად სკოლის სტრატეგიული გეგმით გაცხადებულია რომ სკოლა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით: ითანამშრომლებს უნივერსიტეტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც სკოლის პედაგოგებს გაუწევენ კვალიფიციურ დახმარებას ტრენინგებისა და სემინარების სახით. მონაწილე მასწავლებელთა დაფინანსება მოხდება სკოლის ბიუჯეტიდან (ნაწილობრივი დაფინანსებით), ან თვითდაფინანსებით; სკოლა პერიოდულად ჩაატარებს მასწავლებელთა საქმიანობის მონიტორინგს და გააკეთებს შედეგების ანალიზს, რის საფუძველზეც მოხდება წარმატებული მასწავლებლების წახალისება; ხელს შეუწყობს პედაგოგთა ჩართულობას კონფერენციებსა და სხვა მსგავს საგანმანათლებლო ღონისძიებებში; **ვინაიდან სკოლა პირველად ავტორიზაციას გადის აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულად შეიძლება ჩაითვალოს.**

4. .<u>სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;</u>

სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან ყველა საჭირო პირობაა შექმნილი , რათა მოხდეს სამუშაო გარემოსთან თანამშრომლების ინტეგრაცია. კაბინეტები კეთილმოწყობილია და აღჭურვილი ყველა საჭირო ინვენტარით. ასევე საკლასო და სარეკრეაციო ზონები შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. ასევე სკოლის შინაგანაწესში წარმოდგენილია მუხლი 9. შრომის პირობების დაცვის წესები. დაწესებულების მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრაზე მოხდება ახალბედა მასწავლებლის მხარდაჭერა. **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

5. **<u>წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.</u>**

სკოლის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში , ასევე სკოლის შინაგანაწესის მე 10 მუხლში გაწერილია თანამშრომელთა წახალისების წესი. **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- გაკვეთილებზე დასწრების უკუკავშირი;
- კათედრის ოქმი;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. <u>სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;</u>

სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის მართვა და კონტროლი გარკვეულწილად ხორციელდება ხარიხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. კერძოდ: 1. კათედრების მიერ ხორციელდება სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასება და შემდგომი გაუმჯობესება. 2.სკოლის მხრიდან ნაკლებად, თუმცა მასწავლებლის სახლის დახმარებით ხორციელდება ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა ; 3. სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესება. **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;**

საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის შინაგანაწესში. გაწერილია დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში. სკოლის საქმიანობის მმართველობით პროცესები აღწერილია სკოლის ადმინისტრაციულ და უმაღლესი მმართველობითი რგოლის საქმიანობაში, ხოლო ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია და ფუნქციურად აღწერილია სხვა სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობებში. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში იდენტიფიცირებულია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;**

გასაჩივრების პროცედურები განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით. საჩივრების განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოებია სამეურვეო საბჭო და დისციპლინარული კომიტეტი. სკოლაში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებსაც საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე განიხილავს შესაბამისი ორგანო, მაგალითად, დისციპლინური

გადაცდომების შესახებ საჩივრებს განიხილავს დისციპლინური კომიტეტი, დისციპლინური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება სამეურვეო საბჭოში არის შესაძლებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.**

პერსონალისა და მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები მკაფიოდაა გაწერილი შინაგანაწესსა და მასწავლებელთა შრომით ხელშეკრულებებში. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო და ასევე დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი;
- რეფერირების წესი;
- დისციპლინარული კომიტეტის ოქმი;
- ხელშეკრულებები.

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1.სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

დოკუმენტურად გაწერილი მექანიზმები, თუ როგორ ახორციელებს სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას არ არის წარმოდგენილი, თუმცა სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით სკოლის შესახებ ყველა საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია განთავსდება სკოლის სოციალურ ქსელში, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მისთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიება. მასწავლებელს, მშობელსა და მოსწავლეს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში პასუხისმგებელი პირი არის დამრიგებელი. დამრიგებელს ხელშეკრულებით ევალება სასწავლო წლის დაწყებისას მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს გააცნოს შემდეგი დოკუმენტაცია: სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის კოდექსი, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, ევაკუაციის გეგმა, საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმა და ქცევის წესები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემა; სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით. ყველა სტრუქტურული რგოლის მუშაობის მთავარი მიზანი სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების შესრულების ხელშეწყობაა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი;

- დამრიგებლის შრომითი ხელშეკრულება;
- სკოლის წესდება;
- სამეურვეო საბჭოს და დისციპლინარული საბჭოს არჩევნების ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;**

სკოლის საშუალებებიდან გამომდინარე უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა, სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, ემსახურება 2 მანდატური, პირველადი დახმარების შემთხვევაში სკოლას ჰყავს ექიმი, რომელსაც შეუძლია რეაგირება. საგანგებო სიტუაციების კუთხით გასაუმჯობესებელია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შესაძენი და დასამონტაჟებელია ვიდეო-კამერები, ცეცხლმაქრები, გასაახლებელია საევაკუაციო გეგმა, მოსაწყობია სიგნალიზაციის სისტემა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ  მიმდინარე წლის  08 მაისს MES 6 23 0000513917 წერილით მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს რათა მოხდეს სკოლაში სამეთვალყურეო ვიდეო თვალის მონტაჟი. სკოლას არა აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა  თუმცა იგი რეაბილიტირებულია და არსებობს შენობის პასპორტი და გეგმა რეაბილიტაციამდე. ასევე სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილი აქვს , რომ აღნიშნულ ხარვეზებს გამოასწორებს 2024 წელს.

პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით  შენობის პირველ სართულზე ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა  და პირველადი დახმარების საშუალებებით. სამედიცინო კაბინეტში არ არის დაცული პაციენტის გასინჯვისას პრივატულობა, რამდენადაც  სამედიცინო ტახტი ხელოვნური ბარიერის საშუალებით არ არის გამოყოფილი ოთახის სხვა სივრცისგან.
სკოლას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის ერთი ექიმი, რომელიც აწარმოებს  ყოველდღიურ ჩანაწერებს, თუმცა არ არის წარმოდგენილი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე მონიტორინგის წარმოების ამსახველი დოკუმენტი,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებულიტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯან მრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ საფუძველზე დაყრდნობით არ არის გათვალისწინებული ე) პუნქტი : სამედიცინო შემთხვევებთან დაკავშირებული მიმართვები აღრიცხოს სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალში და გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ ინფორმაცია შეიტანოს სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმაში (დანართი N1.1); ( ექიმის მხრიდან წარმოებულია რვეული , მაგრამ დარღვეულია სტრუქტურა). ასევე არ ხორციელდება ამავე ბრძანების ს) პუნქტი, განახორციელოს წლის განმავლობაში დაგროვილი ინფორმაციის ანალიზი (სამედიცინო შემთხვევების რაოდენობა და ტიპები, პერიოდული სამედიცინო შემოწმებით გამოვლენილი განვითარების დარღვევები, სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემები და ა.შ.) და მოამზადოს საჭირო წინადადებები და რეკომენდაციები სკოლის ხელმძღვანელობისათვის წარსადგენად; შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები ამ ეტაპზე არა არის შემუშავებული. სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.
სკოლამ დასკვნის პროექტის პასუხად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა/ები გაწერა რეალისტური ვადებით, რესურსებით უზრუნველყოფით (ადამიანური/მატერიალური/ ფინანსური) და განსაზღვრა შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები ამ რისკის დადგომის ალბათობით. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ კონკრეტული ვადები და აქტივოებები რეალისტურია, დროში მიღწევადი, შესაბამისად, იზიარებს დაწესებულების წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმებს. **შესაბამისად კრიტერიუმი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;**

სკოლას- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესს და პირობებს“. ბრძანების საფუძველზე შექმნილი აქვს მრჩეველთა საბჭო, რომელიც იკრიბება სემესტრში ორჯერ, განიხილავს არსებულ სიტუაციას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. სკოლას ჰყავს 2 მანდატური და დირექტორის ბრძანებით დანიშნული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომლებიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ზრუნავენ მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე.

სკოლას არ აქვს შემუშავებული საგანგებო მართვის გეგმა, შესაბამისად არ არის შეთანხმება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. სახანძრო უსაფრთხოების მიზნით შენობის ყველა სართულზე არ არის გამოკრული საევაკუაციო გეგმა, განთავსებულია 2 ცეცხლმაქრი, რომელიც არ არის შესაბამისი წესით და ვადებში დამუხტული. სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილი აქვს , რომ აღნიშნულ ხარვეზებს გამოასწორებს 2024 წელს. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ კონკრეტული ვადები და აქტივოებები რეალისტურია, დროში მიღწევადი, შესაბამისად, იზიარებს დაწესებულების წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმებს.

**შესაბამისად კრიტერიუმი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;**

ფსიქო-ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით სკოლას ჰყავს სპეც-პედაგოგი. ხელშეკრულებაში გაწერილია მათი ფუნქციები. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობები ჩანს სკოლის სადამრიგებლო პროგრამით წარმოდგენილი კლასის საათის თემებში, რომლებიც მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე. სკოლის ინფრასტრუქტურა, კერძოდ, ეზოში მოწყობილი სპორტული მოედანი, დერეფნები ხელს უწყობს შესვენებაზე მოსწავლეების სოციალიზაციის პროცესს. რესურს ოთახში სხვადასხვა პროექტების ფარგებში წარმოდგენილი მრავალფეროვანი ნამუშევრები, იძლევა შთაბეჭდილებას რომ სასკოლო საზოგადოებას აქვს სკოლის მიმართ დადებითი, ემოციური და მიკუთვნილობის განცდა. **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;**

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში დასაქმებულია დამლაგებლები, რომელებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სასწავლო ინვენტარის (მერხები, მაგიდები, თაროები,

კომპიუტერები და სხვა) გაწმენდას საწმენდი საშუალებებით. კარადების, სათავსოების, უჯრების მოწესრიგებას და ყოველდღიურად სველი წესით დამუშავებას. განსაკუთრებული კონტროლია დაწესებული სანიტარული კვანძების (ტუალეტი, ნიჟარები, უნიტაზები) სისუფთავეზე. დამლაგებლების მუშაობას ყოველდღიურ მონიტორინგს უწევს სკოლის ექიმი, თუმცა იგი ვერ დასტურდება დოკუმენტურად ჟურნალში აღრიცხვით. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად არ არის გამოყოფილი ცალკე ოთახი ( ადმინისტრაციის განმარტებით ფიზიკურად არ აქვთ დამხმარე სათავსოები ). საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ნარჩენების კალათი. ( არ არის ხელსახოცები და მათთვის განკუთვნილი საკიდები ).

**კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია,** თუმცა სასურველია სკოლის ექიმმა დოკუმენტურად, ჟურნალში აღრიცხვით აწარმოოს მონიტორინგი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე, ასევე სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი, სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად გამოიყოს ცალკე ოთახი. სველ წერტილებთან დამონტაჟდეს ხელსახოცებისთვის განკუთვნილი საკიდები.

5. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;**

სკოლას საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირი, საქმეთამმართველი. მას ხელშეკრულებით ევალება სამსახურეობრივი მოვალეობის შედეგად მიღებული მოსწავლეების და თანამშრომელთა პერსონალური ინფორმაციის დაცვა. **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია,** თუმცა სასურველია სკოლამ შეიმუშაოს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი ერთიანი დოკუმენტის სახით.

6. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;**

სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. საქმისწარმოებისა და ბუღალტრულ დოკუმენტაციაზე წვდომა აქვს მხოლოდ ხელშეკრულებით უფლებამოსილ პირებს. **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია,** თუმცა სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის შექმნაზე, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პრინციპებს და ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების პროცედურებს.

7. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.**

სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რაც დასტურდება მრჩეველთა საბჭოს ოქმით.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ექიმის ხელშეკრულება;
- სპეც-პედაგოგის ხელშეკრულება;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- 2023 წლის 08 მაისს MES 6 23 0000513917 წერილი;
- შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   *ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. <u>სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;</u>

სკოლა განლაგებულია 14024 კვ/მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების ფართზე. შენობის საერთო ფართია-6920 კვ. მ; სართულის რაოდენობა - 3 ; აშენების წელი-1977; სკოლას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2019 წელს.
სკოლაში ირიცხება 432 მოსწავლე. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და სასკოლო დაფით. არის კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პროექტორით და ეკრანით, ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის ხელმისაწვდომია ინტერნეტი (არის Wi-Fi), სკოლას აქვს სხვადასხვა თვალსაჩინოებები და აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას აქვს ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და კომპიუტერული ლაბორატორია, ˜ რომლებიც შეიცავს სხვადასხვა დასახელების ხელსაწყოებსა და თვალსაჩინოებებს ( გრაფიკით რეგულირდება ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის მასწავლებლების მონაცვლეობა ლაბორატორიაში ); სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, რომელიც განთავსებულია სკოლის პირველ სართულზე <u>( საყურადღებოა ის გარემოება, რომ სპორტულ დარბაზს არ აქვს ვენტილაცია და არც ფანჯრები იღება. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლამ მიიღო რჩევა. ).</u> ასევე აქვს სკოლის ეზოში გარე სპორტული მოედანი. სკოლას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი წიგნები, დამხმარე სახელმძღვანელოები, პერიოდიკა და ა.შ. სკოლა ყოველკვირეულად ახორციელებს გაზეთი ,,ახალი განათლების'' შესყიდვას, რომლის საშუალებითაც პედაგოგები და მოსწავლეები ეცნობიან განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. სკოლის შემოსასვლელში განთავსებულია პანდუსი, რაც შშმ მოსწავლეს აძლევს შენობაში შესვლისა და

გადაადგილების შესაძლებლობას. პირველ სართულზე განთავსებულია სსსმ მოსწავლეთათვის რესურს ოთახი, რომელიც მთლიანად ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე და აღჭურვილია ინდ. გეგმებით განსაზღვრული გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების მისაღწევად საჭირო რესურსებით. სკოლას აქვს ადაპტირებული სველი წერტილი. **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

2. <u>**დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;**</u>

ინფრასტრუქტურა საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. გარე და შიდა სპორტულ დარბაზში რეგულარულად ტარდება სპორტული ღონისძიებები, ლაბორატორიებში ხდება საგაკვეთილო პროცესის წარმართვა ( გრაფიკით რეგულირდება ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის მასწავლებლების მონაცვლეობა ლაბორატორიაში ), ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის, ასევეა ექიმის კაბინეტი, ადაპტირებული რესურს ოთახი. **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

3. <u>**სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;**</u>

სკოლის ბიბლიოთეკას აქვს სამკითხველო მაგიდები, სკამები, ინტერნეტი. სკოლას აქვს დიდი დერეფნები, სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლის ერთ-ერთი შესასვლელით შეუძლია ეტლით მოსარგებლე პირს ისარგებლოს. სსსმ პირისთვის პირველ სართულზე მოწყობილია რესურს ოთახი და ადაპტირებული საპირფარეშო. **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

4. <u>**სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;**</u>

შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. ფართე დერეფნები, სკოლის ეზო, ღია და დახურული სპორტული მოედანი, კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა ქმნის შესაძლებლობას,

მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).**

სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები.
დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის (ისტ-ის მიმართულებით), მოწყობილია კომპიუტერულ კლასი, სადაც განთავსებულია პროექტორი და ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერები.
ბუნებისმეტყველებისთვის-საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, შესაბამისი ლაბორატორიული აღჭურვილობით.
საბაზო და საშუალო საფეხურები: საბუნებისმეტყველო მიმართულებით ფუნქციონირებს ლაბორატორია, რომელიც განთავსებულია ცალკე საკლასო ოთახში, დგას სადემონსტრაციო მაგიდა აღჭურვილი სტემ საგნების გაკვეთილებისთვის საჭირო ინვენტარით.
სპორტის გაკვეთილებისთვის-ღია და დახურული სპორტული მოედანი შესაბამისი ინვენტარით.
საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული ციფრული რესურსების განხორციელებისთვის სკოლაში არის კომპიუტერებით აღჭურვილი კომპიუტერული კლასი.
სამივე საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო წიგნადი ფონდი განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკაში. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, სადაც გაწერილია ბიბლიოთეკაში ქცევის წესები. ბიბლიოთეკაში არის როგროც გრიფირებული სახელმძღვანელოები ასევე მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა. შემთხვევითი პრინციპით შერჩეული სახელმძღვანელოების დათვალიერებით დგინდება, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

- შენობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი;
- ინვენტარიზაცია.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3.6. საინფორმაციო რესურსები

### 3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. მიუხედავად იმისა , რომ ტექნიკა მოძველებულია , შეუფერხებლად მიმდინარეობს მუშაობა. სკოლას ციფრული ტრანსფორმაციის გეგმაში გათვალისწინებული აქვს მისი განახლება. საჭიროებიდან გამომდინარე სკოლაში წამოჭრილი პრობლემას გადაჭრას, ემსახურება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის აიტი სპეციალისტი. **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.**

სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია 28 კომპიუტერი; კომპიუტერული ლაბორატორია უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მიზნობრივად იმუშაონ. **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის ინვენტარიზაციის დოკუმენტი.

**3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. <u>სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;</u>

სკოლაში არსებობს საქმისწარმოების წესი. საქმისწარმოება მიმდინარეოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელსაც უზრუნველყოფს საქმისმწარმოებელი. საქმისმწარმოებლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. სკოლაში , ასევე წარმოებს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილი და დალუქულა. **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

2. <u>სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;</u>

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება ზოგიერთი ინფორმაციის და დოკუმენტის მიიღება. **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ბრძანებით გამოყოფილი ჰყავს პასუხისმგებელი პირი. **შესაბამისად კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. დირექტორის განმარტებით, ანგარიშების წარდგენა შესაბამის სტრუქტურებთან ხდება ვადებისა და პროცედურების დაცვით, რაც დასტურდება 2022 წლის 10 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმით (სკოლის დირექტორის წლიური ანგარიშის წარდგენა). **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის საქმის წარმოების წესი;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- გატარების ჟურნალები;
- ერთიანი ელექტრონული სისტემა.

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;**

სკოლას არ აქვს ვებგვერდი. სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალების გასავრცელებლად სკოლა იყენებს სოციალურ ქსელს, სადაც საკომუნიკაციოდ მითითებულია სკოლის ელ. ფოსტა და შესაძლებელია წერილის მიწერა. სოციალურ ქსელში შექმნილია სხვადასხვა ე. წ დახურული ჯგუფები, რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. სკოლას

გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმაში ვებ გვერდის შექმნა და ადმინისტრირება ( სკოლამ 07/06/2023 წერილით MES 7 23 0000656965 მიმართა სიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას, სადაც ითხოვს დომეინის მისამართს, რათა შექმნან სკოლის ვებ-გვერდი ). **შესაბამისად კრიტერიუმი მეტწილად შესაბამისობით შეფასდა.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

სკოლას, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე განსაზღვრული ჰყავს პასუხიმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტეს. **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;**

სკოლა გამოთქვამს მზაობას საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირი გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას კრიტერიუმი დაკმაყოფილებულად შეგვიძლია ჩავთვალოთ. სკოლას ეძლევა რჩევა შეიმუშაოს საზოგადოებასთან ურთიერთობის/ მარეგულირებელი წესები, სადაც გამოჩნდება , თუ როგორ მოხდება შემოსული ინფორმაციის დამუშავება, შესაბამისი რეაგირება და დამუშავებული ინფორმაციის გამოყენება საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

სკოლას არ აქვს ვებგვერდი. სკოლას გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმაში ვებ გვერდის შექმნა და ადმინისტრირება ( სკოლამ 07/06/2023 წერილით MES 7 23 0000656965 მიმართა სიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას, სადაც ითხოვს დომეინის მისამართს, რათა შექმნან სკოლის ვებ-გვერდი ). შესაბამისად კრიტერიუმი მეტწილად შესაბამისობით შეფასდა.

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლას არ აქვს ვებგვერდი. სკოლას გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმაში ვებ გვერდის შექმნა და ადმინისტრირება ( სკოლამ 07/06/2023 წერილით MES 7 23 0000656965 მიმართა სიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას, სადაც ითხოვს დომეინის მისამართს, რათა შექმნან სკოლის ვებ-გვერდი ). სკოლა გამოთქვამს მზაობას ვებგვერდის შექმნის შემდგომ მასზე განათავსოს ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. **შესაბამისად კრიტერიუმი მეტწილად შესაბამისობით შეფასდა.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის სოციალური ქსელის მისამართი, 07/06/2023 წერილი MES 7 23 0000656965

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3.7. ფინანსური რესურსები

### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. <u>სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;</u>

სსიპ ქალაქ თერჯოლის #2 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 25 დეკემბრის #7 სხდომის ოქმით დასტურდება, რომ სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად. სკოლის დირექტორმა სამეურვეო საბჭოს წარუდგინა 2023 წლის სკოლის ბიუჯეტის პროექტი. ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს როგორც სავარაუდო შემოსავლებს ასევე სკოლის საჭიროებისთვის განსაზღვრულ ხარჯებს. სამეურვეო საბჭომ დეტალურად განიხილა დირექტორის მიერ შემუშავებული ბიუჯეტი და დაამტკიცა. დირექტორის განმარტებით, ბიუჯეტის შემუშავება ხდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

2. <u>სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.</u>

სკოლას აქვს ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის სისტემა. სკოლის ბიუჯეტს შეიმუშავებს ბუღალტერი წინა წლის ბიუჯეტის ანალიზის, სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით და წარუდგენს დირექტორს. დირექტორს საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილება და მომზადებულ ბიუჯეტის გეგმის პროექტს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს წევრებს განსახილველად. მოწოდებული რეკომენდაციების და შენიშვნების კორექტირების შემდეგ უკვე ხდება მისი დამტკიცება სამეურვეო საბჭოზე და ფორმდება ოქმი. საჭირო ცვლილებების შეტანის შემთხვევაში კვლავ ხდება სამეურვეო საბჭოს მოწვევა და ბიუჯეტის კორექტირებული გეგმის დამტკიცება. ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წლიური ბიუჯეტის ანგარიშს, სადაც ხდება სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის, დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის დეტალური გაცნობა. **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სამეურვეო საბჭოს ოქმი -25 დეკემბერი ოქმი N 7,ბრძანება N2-201, N2-202

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;**

სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიებს უზრუნველყოფს სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ეთიკის კოდექსი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესი და პირობები . შინაგანაწესი ასევე ითვალისწინებს სკოლის მანდატურის მიერ შედგენილი დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე რეაგირების ვადებს და პირობებს, მოსწავლის დისციპლინასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებას, მოსწავლის წახალისების ფორმებს და მის გამოყენების წესს. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. <u>მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;</u>

სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, ხოლო დამრიგებლების ფუნქციებში გაწერილია შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება მოსწავლეთათვის. შექმნილია დისციპლინური კომიტეტის დებულება. აქედან გამომდინარე მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო **რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოებასთან;**

3. <u>მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.</u>

**მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.** ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ორივე მხარის ინტერესები, ასევე პერსონალური მონაცემების დაცვისა და გამოყენების პირობა . ორივე მხარის შეთანხმების შემდეგ მოხდება დოკუმენტზე ხელის მოწერა. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის საინფორმაციო დაფაზე გამოკრული შინაგანაწესი;
- დამრიგებლის ფუნქციები;
- გაფორმებული ხელშეკრულებები.

**4.1.2.სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;**

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა განსაზღვრავს მოსწავლის საფეხურის დაძლევის მობილობის შემთხვევაში განსხვავებული საგნების სწავლების საკითხებს, სკოლის წარმომადგენლების განმარტებით მოსწავლეთა სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვის, მობილობის და სხვ. პროცედურებისთვის ხელმძღვანელობს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურებით, კერძოდ: სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვას, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესებსა და პირობებს სკოლა განსაზღვრავს ბრძანება N04/ნ -ით, ხოლო ესგ მუხლი 35 ის მიხედვით კი კლასისა და საფეხურის დაძლევის პირობებს. ასევე არეგულირებს მოსწავლეთა მობილობას. საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების. სკოლას გაწერილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმი“ რომლის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების/გადაფასების და შესაბამისი დასკვნის შედგენის მიზნით, სკოლა მიმართავს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდს. ზემოთ აღნიშნულის შესახებ სკოლა ინფორმაციას აძლევს მშობელს მშობელთა კრებებზე. **აღნიშნული ინდიკატორი შესაძლებელია ჩაითვალოს დაკმაყოფილებულად.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;**

სკოლა პირველადი ავტორიზაციის პროცესშია, სკოლის ხელმძღვანელობის განმარტებით, სკოლა სამომავლოდ დაიცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობით დადგენილ პირობებს. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შესაძლებელია დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. <u>სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;</u>

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია დამრიგებლის ფუნქციები, სადაც ერთ-ერთ ვალდებულებად გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობა მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლებისთვის. სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს დამატებით სერვისებს, კერძოდ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება კლუბების შექმნა. **აღნიშნულის გათვალისწინებით სტანდარტი დაკმაყოფილებულად შეიძლება ჩაითვალოს.**

4. <u>სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული</u>

სკოლა იმყოფება პირველადი ავტორიზაციის პროცესში მომდევნო სასწავლო წლისთვის არსებული პროგრამების , სერვისების და აქტივობების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას გეგმავს გამჭვირვალეობის პრინციპით.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- გამოცემული ბრძანებებით მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

#### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. <u>სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;</u>

სკოლას არ აქვს გაწერილი მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი. თუმცა ინტერვიუს პროცესში მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ აცხადებენ მზაობას ხელი შეუწყონ მოსწავლეს სასკოლო და სასწავლო გარემოში ადაპტირებაში. კლასის ხელმძღვანელებს ფუნქციებში გაწერილი აქვთ ზრუნვა მოსწავლეთა წამოჭრილ საჭიროებებზე და მხარდაჭერა. **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია,** თუმცა სკოლამ სასურველია შეიმუშაოს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;**

სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლა უზრუნველყოფს სამომავლოდ მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, რისთვისაც არსებობს სკოლაში რესურს ოთახი და შესაბამისი დამხმარე სპეციალისტები. კლასის ხელმძღვანელებს ფუნქციებში გაწერილი აქვთ ზრუნვა მოსწავლეთა წამოჭრილ საჭიროებებზე და მხარდაჭერა.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების მიხედვით სკოლა მზადაა სათანადო კონსულტირება გაუწიოს მოსწავლეს მისი მიღწევების გასაუმჯობესებლად, რისთვისაც გამოიყენებს მოსწავლეთა თვითშეფასების ინსტრუმენტებს და რემედიაციულ პროცესებს. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების მიხედვით, სკოლა აცხადებს მზაობას გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გაუწიოს მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

სკოლაში დამატებითი არაფორმალური აქტივობები არ არის გათვალისწინებული სასკოლო სასწავლო გეგმით, შესაბამისად, დამხმარე პერსონალი ამ მიმართულებით ამ ეტაპზე არ ჰყავს.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

დაწესებულების დირექტორის განმარტებით, შესაბამისი კითხვარებით მოხდება სამომავლოდ ინფორმაციის დადგენა და უკუკავშირის მიღება, რომლის მიხედვით სკოლა გააუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. თუმცა ვინაიდან ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს დამატებითი სერვისები, **შესაძლებელია ინდიკატორი დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა.

**4.2.2.სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

სკოლა გეგმავს სამომავლოდ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობა გაზარდოს. ინტერვიუს პროცესში დირექტორმა აღნიშნა, რომ დადგენილი იქნება ინტერესის სფეროები, მოწვეული იქნებიან შესაბამისი სპეციალობის და კვალიფიკაციის ადამიანები, მოხდება პროფესიებზე საუბრები და სხვადასხვა შეხვედრები. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შესაძლებელია დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.

1. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

სკოლას რეგულაცია, წესი, რომლითაც დადასტურდებოდა მისი მზაობა, რომ მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს მიაწვდის განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით არ წარმოუდგენია, თუმცა ინტერვიუს დროს სკოლა აცხადებს მზაობას აღნიშნული საკითხი სამომავლოდ მოაგვაროს. აღნიშნულის **გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულად შეიძლება ჩაითვალოს.**

2. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

სკოლას არ წარმოუდგენია მეთოდოლოგია , როგორ მოახდენს ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში გაწეული მომსახურების შეფასებას, რომელ ინსტრუმენტებს გამოიყენებს თუმცა ვინაიდან სასკოლო სასწავლო გეგმაში არ არის ამ ეტაპზე გათვალისწინებული დამატებითი სერვისები, **ინდიკატორი შესაძლებელია დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა.

**4.2.3.სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;**

სკოლას, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები და ასევე მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც შესაბამისობაშია ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N16/ნ ბრძანებასთან. სკოლაში დასაქმებულია სპეციალური მასწავლებლები და სსსმ პირის ასისტენტები, შექმნილია ინკლუზიური განათლების დანერგვის მონიტორინგის ჯგუფი.

**2.სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**

სკოლას აქვს რესურს ოთახი, შესაბამისი რესურსებით, ჰყავს სპეციალური მასწავლებლები.
სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისგ ჯგუფის ფორმირება. ისგ ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც ასევე მასწავლებელთა მხრიდან მოსწავლის სირთულის ერთობლივად დაძლევაზეა დაფუძნებული.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინდ. გეგმის შემუშავების ჩარჩო დოკუმენტი;
- რესურს ოთახი, შესაბამისი რესურსები;
- სპეციალურ მასწავლებლებთან დადებული ხელშეკრულები;

**4.2.4.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);**

სკოლა ჩართულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში. განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი , ვინ უწევს მომსახურების შემოწმებას.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;**

სკოლაში ფუნქციონირებს ორივე სასწავლო შენობის ტერიტორიაზე კვების ობიექტი, რომელიც იჯარის ფორმით არის გადაცემული, დაწესებულებამ წარმოადგინა მეიჯარესთან დადებული ხელშეკრულება, ბიზნეს ოპერატორის დოკუმენტაცია და წყლის ხარისხის უვნებლობის შემოწმების დოკუმენტები.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება დაწესებულებაში არსებული უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და გაითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ხელშეკრულება კვების ობიექტის იჯარით ფორმით გადაცემის შესახებ;
- წყლის ხარისხის შემოწმების დოკუმენტაცია;
- მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში ჩართვის დოკუმენტაცია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი**

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი<br>**დაწყებითი საფეხური** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4** | ■ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.1.1. 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან. მისიიდან გამომდინარე სკოლა ორიენტირებულია, შექმნას ღია, კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო, სადაც დაცული იქნება მოსწავლის ფიზიკური და ფსიქო-ემოციური უსაფრთხოება. სადაც იგი მიიღებს საგნობრივ ცოდნას და შეძლებს მის ტრანსფერს პრაქტიკულ სიტუაციებში, განივითარებს მოქალაქეობრივი უფლება-მოვალეობების, ეროვნული ფასეულობების, პიროვნული პასუხისმგებლობისა და ტოლერანტობის გრძნობას.
სასკოლო სასწავლო გეგმა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმას და აზუსტებს სკოლისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ აუცილებელ დატვირთვას, განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას დაწყებით საფეხურზე.
სკოლას ნარატივით წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის თანახმადაც, „კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება შემდეგ საკითხებზე: კონცეპტუალური ჩარჩო (ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია), კურიკულუმის დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაცია, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში)''.
სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (ბრძანება N 2-51 სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლაში სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ. 6 ივნისი 2023 წელი). მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლა კურიკულუმის რევიზიის, განვითრების პროცესში იხელმძღვანელებს სასკოლო საზოგადოების მიერ გაკეთებული უკუკავშირების საფუძველზე სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით, რაც ნიშნავს , რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების საშუალებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 2.1.1. 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში; მოსწავლეთა შედეგები; მშობელთა ჩართულობა; კათედრის მუშაობა; სკოლის დირექცია.
მონაცემების დამუშავების საფუძველზე სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს:
- რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად;
- რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად.
გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის მიერ შემუშავებული „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია" ითვალისწინებს სამუშაო ჯგუფის მიერ სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის შედეგად მიღებულ უკუკავშირებზე დაფუძნებით სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებას ახალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინების მიზნით, შეიძლება ვთქვათ, რომ მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების ასახვა კურიკულუმში.

## 2.1.1.3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

წარმოდგენილ „ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში „ კურიკულუმის საწყისი ვერსიის შემუშავებაზე არაფერია ნათქვამი, თუმცა ყოველი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა იკვეთება. სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის თანახმად, სასკოლო კურიკულუმის თითოეული ნაწილი მზადდება პედაგოგიური საბჭოს მიერ დირექციის ჩართულობითა და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

## 2.1.1.4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

იმისათვის, რომ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში აქტიურად იყოს ჩართული სასკოლო საზოგადოება, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს/აკონკრეტებს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს და ასევე მშობელთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას. ამრიგად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ბრძანება N 2-51 სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლაში სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ. 6 ივნისი 2023 წელი ;
- პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს ოქმებით;
- სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმით.

**2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.1.2.1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

- **მათემატიკა**

სკოლამ პირველად, და შემდეგ უკვე დამატებით გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში, წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტები, სადაც გაწერილია თემა, სამიზნე ცნება და რესურსები, რიგ შემთხვევაში კომპლექსური დავალების პირობაც. ასევე წარმოადგინა მასწავლებლის რეფლექსიის ფორმა, რომლითაც შესაძლებელია მასწავლებლის პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება. წარმოდგენილი დოკუმენტაცია საშუალებას იძლევა შეფასდეს თუ რა ადგილი უჭირავს საგნობრივ კურიკულუმებში მოსწავლეთა შეფასებას და მასწავლებლის თვითრეფლექსიას. მათემატიკის კათედრისთვის მოსწავლეთა შეფასება არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისათვის, დაგეგმილის განხორციელებისა და შემდგომ უკვე მის შეფასება განვითარებისათვის.

სკოლამ წარმოადგინა შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა რომლის მიხედვითაც ასევე შესაძლებელია ვიმსჯელოთ, რომ სკოლა ზრუნავს მოსწავლეების საჭიროებების იდენტიფიცირებაზე და ფორმის მიხედვით მოსწავლის საჭიროების დადგენის შემდგომი პროცესები აღნიშნული საჭიროებების დაკმაყოფილებაზე იქნება ორიენტირებული.

- **სახელმწიფო ენა**

წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში განსაზღვრულია თემები, ცნებები/ქვეცნებები, ტექსტები და რესურსები, რომლებზე დაყრდნობითაც განახორციელებენ კომპლექსურ დავალებებს.

სკოლის თვითშეფასების მიხედვით, დაწყებით საფეხურზე სასწავლო წლის დასაწყისში შემუშავდება საგნობრივი კურიკულუმები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით , კერძოდ: სწავლების დასაწყისში განისაზღვრება გრძელვადიანი მიზნები და

შემდეგ პროცესი იგეგმება ისე, რომ სისტემატურად მიმდინარეობს მიზნისკენ სვლა და შედეგების გაუმჯობესება. შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზისა, კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალებები, რომლებითაც მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა, ჩაერთოს სახალისო აქტივობებში და წარმოაჩინოს სრულად საკუთარი თავი.

- **უცხოური ენები**

დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი მეტწილად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესიის დაგეგმვის და განვითარების გზას, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გვაქვს შუალედური მიზნის დოკუმენტები, სადაც გაწერილია კომპლექსური დავალებები, შესაბამისი კონტექსტ მაგალითები, საჭირო რესურსები. შუალედური მიზნის დოკუმენტების ერთობლიობა კი საბოლოოდ გრძელვადიანი მიზნის მიღწევისკენაა მიმართული. კომპლექსური ტიპის დავალებები დაწყებით საფეხურზე სამიზნე ცნებად მოიაზრებს ტექსტს, ენობრივ საშუალებებს, ფუნქციურ სამეტყველო ქმედებებს და კულტურათა შორის დიალოგს მე-5 და მე-6 კლასებში. კურიკულუმები იმგვარადაა დაგეგმილი, რომ კათედრას აქვს მკაფიო ხედვა, თუ როგორ უნდა მოხდეს თითოეული სამიზნე ცნების დამუშავება, იმგვარად რომ პროცესის ცენტრალური ფიგურა იყოს მოსწავლე.

- **ტექნოლოგიები**

შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მეტწილად მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგან წარმოდგენილ დოკუმენტაციაში საფეხურებრივი საგნის სტანდარტები და მოთხოვნათა რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების, ხოლო სწავლის შედეგები ფორმულირებულია სამიზნე ცნებების სახით. ასევე მოცემულია კონტექსტ მაგალითები, ძირითადი რესურსები.

სასწავლო პროცესში თემები (საკითხები) ლოგიკური თანმიმდევრობითაა დალაგებული, ინტერვიუს შემდეგ გადაიხედა კურიკულუმი, ნაწილობრივ შეივსო კლასების მიხედვით გამოტოვებული ცნებების ჩართვით კომპლექსურ დავალებებში ( მაგ. ჩაემატა მე-5 და მე-6 კლასებში ცნება „ინფორმაციის“ დამუშავება), ასევე გასწორდა მექანიკური, ტექნიკური შეცდომები და ხარვეზები (მაგ.: კურიკულუმის ჩარჩოს სვეტების არევა, ზმულების არარელევანტურობა და ა.შ.). თუმცა მოდიფიცირებულ კურიკულუმში რამდენიმე კლასში ყველა სამიზნე ცნება კვლავ არ მუშავდება ( მაგ. მე-3 და მე-4 კლასებში-ციფრული მოქალაქეობა, ინტერნეტი მე-3 კლასში,

ინფორმაცია მე-4 კლასში, მე-5 კლასში ცნება -კომპიუტერის აგებულება, მე-6 კლასში -გრაფიკული ინტერფეისი). აგრეთვე არ არის წარმოდგენილი კონკრეტულ დავალებებზე მორგებული რუბრიკები.

რეკომენდაცია- პედაგოგმა იხელმძღვანელოს კომპიუტერულ ტექნოლოგიებში საგნობრივი გზამკვლევის რესურსი 1-ზე დაყრდნობით და ცნებები, რომლებიც გამორჩენილია კლასების მიხედვით დამუშავდეს კომპლექსურ დავალებებში სხვა ცნებასთან ერთად (მაგ. მე-3 და მე-4 კლასებში ინტერნეტი და ინფორმაცია, მე-6 კლასში ინტერნეტი და გრაფიკული ინტერფეისი და ა.შ.), შეიმუშავოს კონკრეტულ დავალებებზე მორგებული რუბრიკები.

- <u>სპორტი</u>

ქ. თერჯოლის N2 საჯარო სკოლაში დაწყებით საფეხურზე ფიზიკური აღზრდის სწავლება მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საათობრივი დატვირთვის მიხედვით. ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის 1-6 კლასების კურიკულუმების (რომელიც დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის შედეგად წარმოადგინა სკოლამ) შესწავლისას, გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები ძირითადად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკურ განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლი და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები და წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები გათვლილია თითოეული მოსწავლის უნარებისა და შესაძლებლობების გამოვლენაზე.

- <u>ესთეტიკური აღზრდა</u>

თვითშეფასების დოკუმენტის ჩანაწერში განსაზღვრულია, რომ სკოლა გეგმავს სასწავლო გეგმებს გრძელვადიან მიზნებზე დაფუძნებით და რომ კომპლექსური დავალებებით სწავლება მათი პრიორიტეტია. „ახალი სკოლის მოდელში" ჩართული სკოლაა და აქვთ მზაობა პროცესის სწორად წარმართვის. ესთეტიკური კათედრის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში იკითხება ყველა შესასწავლი თემის კომპლექსურად დამუშავება, თუმცა, პედაგოგებმა დააზუსტეს, რომ ორ თემაზე (სულ სამი თემა გვაქვს საბაზო საფეხურზე) წლის განმავლობაში განხორციელდება კომპლექსური დავალებები. საკითხები სრულად დაიფარება და დამუშავდება საკითხით გათვალისწინებული ცნება/ქვეცნებები. აღსანიშნავია, რომ დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოები არ არის გრიფირებული და შესაბამისად მუსიკის საგანში მასწავლებლები სასწავლო რესურსად იყენებენ სამინისტროს ელექტრონულ მასალას და სახვითი და

გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლები ორიენტირდებიან მატრიცებით, ესგ-ით გათვალისწინებული თემატური ბლოკებით და საორიენტაციო თემებით. სექტემბრიდან გრიფი მიენიჭება სახელმძღვანელოებს და შესაძლებელია კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები მოდიფიცირდეს შესაბამისად.

❖ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

დაწყებით საფეხურზე სასწავლო წლის დასაწყისში ხდება საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, კერძოდ, სწავლების დასაწყისში ხდება გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრა და შემდეგ პროცესი იგეგმება ისე, რომ სისტემატურად მიმდინარეობს მიზნისკენ სვლა და შედეგების გაუმჯობესება. შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას წარმოადგენს, კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალებები იმდენად მრავალფეროვანია, რომ მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა ჩაერთოს სახალისო აქტივობებში და წარმოაჩინოს სრულად საკუთარი თავი. თუმცა მომავალი სასწავლო წლისთვის გასათვალისწინებელია სასკოლო კურიკულუმი შედგეს ისე, რომ დაიფაროს ყველა ცნება და ყველა თემატური ბლოკი.

❖ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და საგნობრივ პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ შესაძლებელია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ კურიკულუმი ეფუძნება ესგ-ს და საგნობრივ სტანდარტებს, ასევე გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების და თემის ინტერესები.

კურიკულუმი შეიქმნა სასკოლო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.

**2.1.2.2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)**

❖ **მათემატიკა**

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი, რომელიც მასწავლებელს განუსაზღვრავს, თუ რას უნდა მიაქციოს ყურადღება სწავლების პროცესში თითოეულ ფუნქციურ უნართან მიმართებაში, რათა დაადგინოს რამდენად უზრუნველყო სასწავლო გარემოს და სწავლების

პროცესის ისე წარმართვას, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით დააკმაყოფილოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნა. მასწავლებლების მხრიდან აღნიშნული ინსტრუმენტის მიზნობრივი გამოყენება უზრუნველყოფს გრძელვადიანი მიზნების, გლობალური ფუნქციური უნარების, განვითარებას. სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

❖ **სახელმწიფო ენა**

სასკოლო კულტურის განვითარება და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 სკოლაში. ამ მიზნის მისაღწევად შეიმუშავებენ შემდეგ ამოცანებს: კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის დანერგვას, სკოლის მართვის ეფექტიანი მიდგომების განვითარებას, ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებას სწავლა-სწავლების პროცესში, წინსვლისა და განვითარების ხელშემწყობი შეფასების სისტემის შექმნას. ყოველივე მიმართული იქნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისკენ. ამისთვის დაწყებითი საფეხურის პედაგოგები დაგეგმავენ და განახორციელებენ შესაბამის აქტივობებს, შეარჩევენ რესურსებს, კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც გადის მაკრო ცნებებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებსა და მათთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებზე.

❖ **უცხოური ენები**

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შესწავლისას, ცალსახად გამოიკვეთა რომ გეგმა მიემართება საგნობრივი სტანდარტის მისაღწევი შედეგების მიღწევისკენ, ასევე კომპლექსური დავალებების პირობები იმგვარადაა ფორმულირებული, რომ ის უზრუნველყოფს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობა და კომუნიკაცია და სხვა....

❖ **ტექნოლოგიები**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე წლიური კურიკულუმები დაგეგმილია სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით. იკითხება თემები (საკითხები), ძირითადი რესურსები, კონტექსტ მაგალითები, თუმცა არ არის წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები და მათი შესაბამისობა მკვიდრ წარმოდგენებთან. აღსანიშნავია, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიები გაერთიანებულია მათემატიკის

კათედრასთან, ერთობლივადაა შემუშავებული შეფასების სხვადასხვა რუბრიკები, რომელიც, სასკოლო სასწავლო გეგმაშია წარმოდგენილი და რომელთაც ვფიქრობთ იყენებს კათედრის ყველა წევრი, მათ შორის ტექნოლოგიების პედაგოგიც. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების ( კრიტიკული აზროვნება ,თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა , მოქალაქეობა, ხასიათი/ნება) განვითარებას. კურიკულუმიდან ჩანს, რომ კომპლექსურ დავალებებზე ორიენტირდება სასწავლო პროცესი, აქედან გამომდინარე ფუნქციური სასწავლო უნარები დაკმაყოფილებულია. (მათემატიკის კათედრის მიერ ასევე წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კონტექსტ-მაგალითზე „პაროლის შექმნა და გამოცნობა“, რითაც მასწავლებელი აკვირდება მოსწავლის აქტივობას კომპლექსურ დავალებასთან ასოცირებულ სასწავლო რესურსებზე მუშაობის პროცესში და აანალიზებს, თუ რამდენად უზრუნველყოფს მის მიერ სამიზნე ცნების კონსტრუირების მიზნით განხორციელებული აქტივობები მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას და მის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, რომელიც შეუძლია მოარგოს ტექნოლოგიების პედაგოგმაც თავის საგანს). ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება.

❖ <u>სპორტი</u>

დაწყებითი კლასების დამატებითი მოთხოვნის საფუძველზე გადმოგზავნილ კურიკულუმებში ნათლად არის ჩამოყალიბებული გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, სტანდარტის საფეხურებრივი შედეგები და სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. აგრეთვე, კურიკულუმის განხორციელების პროცესში გაწერილია თემებთან შესაბამისი სასწავლო ელექტრონული რესურსები.

❖ <u>ესთეტიკური აღზრდა</u>

სკოლას გააზრებული აქვს შუალედური და გრძელვადიანი სასწავლო მიზნები და საგნობრივი კურიკულუმების მსგავსად შექმნას გეგმავს. ესთეტიკური კათედრის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში (1-ლი; მე-2; მე-3; მე-4 კლასი) გათვალისწინებულია სავალდებულო თემების, საკითხების, ცნება/ქვეცნებების დამუშავება, კომპლექსური დავალებების შესრულება კონტექსტ მაგალითებზე დაყრდნობით და ა.შ.. კათედრის მიერ მოწოდებულ კურიკულუმების ჩარჩოში მეტი კონკრეტიკაა საჭირო დასამუშავებელ ცნება/ქვეცნებათა ჩამონათვალში. კათედრას მიცემული აქვს დეტალური რეკომენდაცია და ინტერვიუს პროცესში გამოთქვეს მზაობა კურიკულუმის ჩარჩოს დაკორექტირებასა და სექტემბერში სრულად წარმოდგენასთან დაკავშირებით.

❖ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

სასკოლო კულტურის განვითარება და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სკოლაში. ამ მიზნის მისაღწევად დასახულია და შემუშავებულია კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის დანერგვა, სკოლის მართვის ეფექტიანი მიდგომების განვითარება, ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება სწავლა-სწავლების პროცესში, წინსვლისა და განვითარების ხელშემწყობი შეფასების სისტემის შექმნა, რაც მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისკენ. შესაბამისად, ბუნებისმეტყველების პედაგოგები გეგმავენ და განახორციელებენ შესაბამის აქტივობებს, შეარჩევენ რესურსებს, კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც გადის მაკრო ცნებებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებსა და მათთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებზე.

❖ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

სკოლამ შეიმუშავა და წარმოადგინა კურიკულუმები თითოეული საგნისთვის –რომელიც ესგ და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებს ეფუძნება. სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება კურიკულუმების საფუძველზე იგეგმება, შესაბამისად პედაგოგები იზიარებენ კურიკულუმების მნიშვნელობას სასწავლო პროცესის სრულფასოვნად განხორციელების საქმეში.

**2.1.2.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს**

❖ **მათემატიკა**

სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების კონცეფცია. რაც შეეხება დიფერენცირებულ მიდგომებს სკოლას წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვს დიფერენცირებული მიდგომები. ამ ეტაპზე ეს არის ზოგადი მინიშნება თუ როგორ მოხდება კომპლექსური დავალების მოდიფიცირება. ზოგადი ხედვა დაზუსტდება სასწავლო პროცესის, კონკრეტული დავალების, კლასის და მოსწავლის/მოსწავლეების დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია.

- **სახელმწიფო ენა**

სსიპ ქალაქ თერჯოლის N 2 საჯარო სკოლას დაწყებით საფეხურზე ჰყავს შვიდი სსსმ მოსწავლე, სასწავლო წლის დასაწყისში მშობლის სურვილის შემთხვევაში მულტიდისციპლინური გუნდი აფასებს და ადგენს ბავშვის საჭიროებებს. შეფასებისა და რეკომენდაციების მიღების შემდეგ სკოლაში დგება ისგ გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი. გუნდის შემადგენლობაში შედის ყველა საგნის მასწავლებელი, სპეცმასწავლებელი და მოსწავლის მშობელი/მეურვე, ეტაპობრივად ხორციელდება მონიტორინგი და ხდება მოსწავლეთა შეფასება. მომავალი სასწავლო წლისთვის გადაფასდება მოსწავლეები, სამომავლო კურიკულუმის შედგენისას უკუკავშირის შედეგად განიხილება მეთოდოლოგია და სწავლების ახალი სტრატეგიები, დავიწყებთ ფიქრს ახალი რესურსების მოსაძიებლად.

- **უცხოური ენები**

კათედრა ითვალისწინებს სწავლების დიფერენცირების პრინციპებს, ხდება სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენა და შემდეგ შეფასება. შუალედური მიზნის დოკუმენტიდან ვადგენთ, რომ კომპლექსური დავალების პროდუქტი (საკითხი) შეუძლია მოსწავლემ თვითონ აირჩიოს, მისი შესაძლებლობიდან გამომდინარე. კურიკულუმის მეთოდოლოგიის განვითარების დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმის კონცეფციაზე მუშაობის დროს კურიკულუმშივე ხდება კონკრეტული სტრატეგიების ,, ჩაშენება'' რომელიც ეხება სწავლების დიფერენცირებას.

- **ტექნოლოგიები**

წარმოდგენილი დოკუმენტაციით სასწავლო პროცესში მეტწილად იკითხება დიფერენცირებული მიდგომები: გარემო, პროცესი, შინაარსი, პროდუქტი. წარმოდგენილი კურიკულუმით პედაგოგის მიერ შემუშავებული კომპლექსური დავალებების პირობით მოსწავლეებს ეძლევათ კომპლექსურ დავალებებში ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას სხვადასხვა არჩევანის შესაძლებლობა , ასევე საბოლოო პროდუქტიც შეუძლიათ წარმოადგინონ მრავალფეროვანი

სახით: (ნახატი, ილუსტრაცია, პრეზენტაცია, ანიმაცია, კროსვორდი, ალგორითმი და ა.შ.) სკოლის დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს დიფერენცირებული /ინკლუზიური მიდგომები. გაწერილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის და შეფასების მეთოდოლოგია (სასკოლო სასწავლო გეგმა). ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ ტექნოლოგიების საგანში სსსმ მოსწავლესთვის შემუშავებულია ინდ. გეგმა, რომელზე დაყრდნობითაც ახდენს პედაგოგი მოსწავლის ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. მტკიცებულებად დამატებით გადმოგზავნილ იქნა კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში სსსმ მოსწავლის ინდ. გეგმის ნიმუში, სადაც ჩანს მოსწავლისთვის ადაპტირებული აქტივობები. თუმცა არ არის მტკიცებულებები სწავლებაში მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები. ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება.

- **სპორტი**

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს დიფერენცირებულ მიდგომებზე. დიფერენცირებული სწავლების პროცესისას მოსწავლეებს სთავაზობენ სწავლის იმ სტრატეგიებს, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და საჭიროებები. სკოლას გადმოგზავნილი აქვს ფიზიკური აღზრდის საგანში სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილი მოსწავლის საგნობრივი შეფასება სასწავლო წლის დასაწყისში, გრძელვადიანი მიზნები, მოკლევადიანი მიზნები და შეფასების ინდიკატორები. გადმოგზავნილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლა მომავალში განაპირობებს სსსმ მოსწავლეების ჩართულობას ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროცესში.

- **ესთეტიკური აღზრდა**

სკოლას ამ დროისთვის აქვს ნაკლებად მოქნილი მექანიზმი სწავლების დიფერენცირებასთან დაკავშირებით. აღნიშნავენ, რომ მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისას გაითვალისწინებენ ისეთი საგაკვეთილო პროცესის წარმართვას, სადაც სწავლის სწავლაზე იქნება აქცენტი გადატანილი და პროექტული სწავლების დანერგვის შემთხვევაშიც, სწავლის სწავლაზე გამახვილდება ყურადღება. სკოლა შეიმუშავებს შეფასების რუბრიკებს, რამდენიმე ნიმუში წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის ესთეტიკური კათედრის

მასწავლებელთა ატვირთულ პორტფოლიოებში. თვითშეფასების კითხვარებს გამოიყენებენ როგორც მოსწავლეთა, ისე მასწავლებელთა მუდმივი მონიტორინგისთვის.

❖ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

დაწყებით საფეხურზე სკოლას ჰყავს შვიდი სსსმ მოსწავლე, სასწავლო წლის დასაწყისში მშობლების სურვილის შემთხვევაში მულტიდისციპლინური გუნდი აფასებს და ადგენს ბავშვის საჭიროებებს. შეფასებისა და რეკომენდაციების მიღების შემდეგ სკოლაში დგება ისგ გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი. გუნდის შემადგენლობაში შედის ყველა საგნის მასწავლებელი, სპეცმასწავლებელი და მოსწავლის მშობელი/მეურვე, ეტაპობრივად ხორციელდება მონიტორინგი და ხდება მოსწავლეთა შეფასება. მომავალი სასწავლო წლისთვის გადაფასდება მოსწავლეები, სამომავლო კურიკულუმის შედგენისას უკუკავშირის შედეგად განიხილება მეთოდოლოგია და სწავლების ახალი სტრატეგიები.

❖ საზოგადოებრივი მეცნიერებები

წარმოდგენილ კურიკულუმები დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით; თითოეულ კურიკულუმში გაწერილი თემები ფარავენ საგნობრივ გრძელვადიან მიზნებს; შეფასების რუბრიკის და კლასთან მუშაობის გეგმის, ასევე პედაგოგებთან გასაუბრების მიხედვით შესაძლებელია ვიმსჯელოთ, რომ საგნობრივი პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს სასწავლო-საგაკვეთილო პროცესში (სწავლა კეთებით; მოდელირება; უკუკავშირი; გრაფიკული სისტემები და ა.შ.);

2.1.2.4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

❖ მათემატიკა

სკოლამ კონტექსტ მაგალითზე და კომპლექსური დავალების პირობაზე დაყრდნობით წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მიემართება გრძელვადიან მიზნებს (ცნებებსა და ქვეცნებს). ერთ

თემაში განხილულია სამივე ცნება და სამივე ცნებასთან მიმართებით წარმოდგენილია თუ რა უნდა შეძლოს კონკრეტულად მოსწავლემ. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუში თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების მიხედვით კონკრეტული კრიტერიუმებით. ამრიგად წარმოდგენილი დოკუმენტების/ნიმუშები საშუალებას იძლევა, რომ ვთქვათ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

- **სახელმწიფო ენა**

სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა შეფასება მოსწავლისთვის გასაგებად და ცხადად აწარმოებს. მოსწავლეები I-IV კლასის ჩათვლით ფასდებიან განმავითარებელი შეფასებით, ხოლო V-VI კლასები როგორც განმავითარებელი, ასევე, განმსაზღვრელი შეფასებით, I-IV კლასის

ჩათვლით სახელმწიფო ენის კათედრა იყენებს კომპლექსური დავალების კრიტერიუმების შეფასების შესაბამის რუბრიკების, ასევე, გაკვეთილის მიმდინარეობისას იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს (ცნების რუკებს, გასასვლელ ბარათებს ) და აძლევენ შესაბამის უკუკავშირს. V-VI კლასებში კი როგორც საკლასო, საშინაო, ასევე შემაჯამებელი შეფასების სახეებს. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შეფასება უკავშირდება არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც.

- **უცხოური ენები**

სასკოლო სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება მიემართება ესგ. გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს ამ მიზნების განხორციელებას. დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებას, მე-5 კლასი მეორე სემესტრიდან და მე-6 კლასში ხდება მოსწავლეთა შეფასება განმსაზღვრელი შეფასებით. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისკენ.

- **ტექნოლოგიები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტაციით წარმოდგენილია კომპიუტერულ ტექნოლოგიებში შეფასების ზოგადი კრიტერიუმები ესგ სტანდარტის მიხედვით, გამომდინარე იქიდან, რომ დოკუმენტაციით არ არის წარმოდგენილი რომელიმე კონკრეტული შეფასების რუბრიკა, სოლო ტაქსონომია, მატრიცები, ნაწილობრივ იკითხება , რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
(ინტერვიუს შემდეგ პედაგოგმა გადმოაგზავნა ერთერთი კომპლექსური დავალების პირობა, იქ დასმული კითხვებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ნაწილობრივ იკითხება შეფასების კრიტერიუმები). სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია მათემატიკის კათედრის ( სადაც გაერთიანებულია კომპიუტერული ტექნოლოგიები) დავალებათა სხვადასხვა ტიპების (საშინაო და საკლასო დავალებების, ჩართულობის, პრეზენტაციის, უნარების ) შეფასების ზოგადი კრიტერიუმები . აქედან გამომდინარე დასტურდება აღნიშნული ინდიკატორის ნაწილობრივი შესაბამისობა.

❖ **სპორტი**

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ დაწყებით საფეხურზე იყენებენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ შეფასებებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მაგალითები, სადაც მოცემული გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, განმავითარებელი კომენტარი შემდგომი პროგრესის ხელშესაწყობად, მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა და სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიერ გამოყენებული სწავლების სტრატეგიების/მეთოდების/აქტივობების ეფექტურობის მასწავლებლის თვითშეფასების რუბრიკა.

❖ **ესთეტიკური აღზრდა**

სკოლა აღნიშნავს, რომ ამჟამად მათი საგნობრივი კურიკულუმები ისეა შედგენილი, ნაკლებად ჩანს პირობისეული ცოდნა. ძირითადად, დეკლარატიული და პროცედურული ცოდნის მიღებას აკმაყოფილებს მოცემული საგაკვეთილო პროცესი. მომდევნო სასწავლო წელს, დაგეგმავენ სასწავლო აქტივობებს ისე, რომ პირობისეულ ცოდნაზე გამავალი უნარები გამოუმუშავონ მოსწავლეებს, რაც კომპლექსური დავალებების შესრულებით და პროექტული სწავლებით იქნება მიღწევადი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

მოსწავლეთა შეფასება მათთვის გასაგები და ცხადია. მოსწავლეები I-IV კლასის ჩათვლით ფასდებიან განმავითარებელი შეფასებით, ხოლო V-VI კლასები როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებით. I-IV კლასის ჩათვლით გამოყენებულია კომპლექსური დავალებების შესაბამისი შეფასების რუბრიკები, ასევე გაკვეთილის მიმდინარეობისას გამოყენებულია განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები (ცნების რუკები, გასასვლელი ბარათები) და კეთდება შესაბამისი უკუკავშირები. V-VI კლასებში კი შეფასება ხდება მიმდინარე (საკლასო, საშინაო) და შემაჯამებელი კომპონენტების შესაბამისად.

- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

სასწავლო პროცესის მონიტორინგის დოკუმენტის და გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს – საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი შეფასებების შედეგების მიხედვით.

## 2.1.2.5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

- **მათემატიკა**

სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა კათედრის სხდომის ოქმი, რომლის მიხედვითაც კათედრა დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინებს წინარე გამოცდილებას და მასზე დაყრდნობით შეიმუშავებს კურიკულუმს ახალი სასწავლო წლისათვის. აღნიშნულზე საუბარია ასევე სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში.

- **სახელმწიფო ენა**

სასწავლო პროცესის ხარისხიანად და ეფექტურად წარმართვისათვის სკოლა ნაწილობრივ გეგმავს იმ მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს მთელი წლის განმავლობაში. დაწყებითი საფეხურის ყველა მასწავლებელი სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავებს თვითშეფასების კითხვარს, გააანალიზებს საკუთარი სწავლების პროცესს, დადგენს, რა ჰქონდა დადებითი ან უარყოფითი

მხარე, ეცდებიან ნაკლის გამოსწორებასა და აღმოფხვრას, რათა სასწავლო პროცესი იყოს გამართული, უხარვეზო და შესრულდეს ყოველივე ის, რაც დაგეგმეს მომავლის ამოცანებში

❖ **<u>უცხოური ენები</u>**

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში სკოლა აპირებს სასკოლო საზოგადოებასთან კონსულტაციებით წინა წლის წარმატებული გამოცდილების გაზიარებას, სასკოლო საზოგადოების ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

❖ **<u>ტექნოლოგიები</u>**

წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ ჩანს წინა წლის კურიკულუმი, ამიტომ ვერ ვახდენთ რევიზირებას. არ ჩანს დაგეგმვის პროცესში რომ გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება.. თუმცა სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რითაც ხელმძღვანელობს ყველა პედაგოგი. ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ ტექნოლოგიების პედაგოგი ერთი წელია რაც ასწავლის ამ საგანს , კურიკულუმი შეიმუშავა ქოუჩის დახმარებით და გამოიკვეთა , რომ არის მზაობა, გაითვალისწინოს რეკომენდაციები და იმუშაოს კურიკულუმის განვითარებისა და სრულყოფის მიზნით. ინდიკატორი-ნაწილობრივ შეესაბამება

❖ **<u>სპორტი</u>**

წარმოდგენილი კურიკულუმიებიდან არ ჩანს, მაგრამ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიდან და კომპლექსური დავალების მაგალითიდან გამომდინარე, ასევე, ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ მასწავლებელი დიდ ყურადღებას აქცევს წარმატებულ გამოცდილებას, წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ მომავალში ჩაატარონ უფრო სიღრმისეული წინარე გამოცდილების ანალიზი.

❖ **<u>ესთეტიკური აღზრდა</u>**

თვითშეფასების კითხვარში და მასწავლებელთა კურიკულუმებში ჩანს, რომ სკოლა წინა წელს ახორციელებდა კომპლექსურ დავალებებს და ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას ამ დავალებებით ახერხებდა. მუსიკის და ხელოვნების პედაგოგებმა ინტერვიუს პროცესში დაადასტურეს აღნიშნული და წელს მეტი კომპლექსური დავალების განხორციელება აქვთ დაგეგმილი, რაც ასევე ასახულია მომავალი წლის სასწავლო გეგმაში. კათედრამ აღნიშნა, რომ აქვთ გამოცდილება საგანთა შორის ინტეგრირებული გაკვეთილების და გააგრძელებენ ამ პრაქტიკას. სკოლის თვითშეფასების და მეთოდოლოგიურ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სასწავლო პროცესს წარმართავენ კონსტრუქტივიზმის ხუთ საგანმანათლებლო პრინციპზე დაფუძნებით, როგორიცაა, ა) აქტიური სწავლა (მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურება); ბ) წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ახალი ცოდნის კონსტრუირება; გ) სწავლის სწავლა; დ) ცოდნის სამი კატეგორია; ე) ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

❖ <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესის ხარისხიანად და ეფექტურად წარმართვისათვის სკოლის საბუნებისმეტყველო კათედრა ბუნებისმეტყველების საგნის სწავლების დაგეგმვისას ნაწილობრივ ითვალისწინებს იმ მიზნებსა და ამოცანებს, რასაც უნდა მიექცეს მეტი ყურადღება, რისი მიღწევაც უნდა განხორციელდეს მთელი წლის განმავლობაში. ამისთვის გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე გამოცდილება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა დაწყებითი საფეხურის კათედრასთან ერთად სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავებს თვითშეფასების კითხვარს, გააანალიზებს საკუთარი სწავლების პროცესს, დაადგენს, რა ჰქონდა დადებითი და უარყოფითი, ძლიერი და სუსტი, გეგმავენ ნაკლის გამოსწორებასა და აღმოფხვრას, სასწავლო პროცესის გამართვას, რათა მიაღწიონ წინასწარ დაგეგმილ მიზნებს, მიიღონ ხარისხიანი სწავლის შედეგები.

❖ <u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>

პედაგოგების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების, დოკუმენტების და გასაუბრების შედეგების მიხედვით დგინდება, რომ კომპლექსური დავალებების (შუალედური სასწავლო მიზნები) ფარგლებში შექმნილი პროდუქტები მოითხოვენ მოსწავლეების აქტიურ და შემოქმედებითი უნარების წარმოჩენას, მათ წინარე ცოდნის გააქტიურებას.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 საჯაროს სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლის თვითშეფასება;
- დაწყებითი საფეხურის კათედრის ოქმი.
- საგნობრივი ჩარჩო დოკუმენტები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 2.2 კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.2.1.1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას**

- მათემატიკა

სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალების ნიმუშები. წარმოდგენილი დავალებები არის ცხოვრებისეული სიტუაციის ამსახველი, რომლის მიხედვითაც მოსწავლეს უწევს პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ალტერნატივების შემუშავება და არჩევანის გაკეთება, რაც თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლის მოტივაციას და მის აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვას.

- სახელმწიფო ენა

დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა აქტიური ჩართულობისთვის ჩატარდა კვლევა „მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების საშუალებები უმცროსკლასელებში, მოსწავლეთა დაბალი მოტივაციით გამოწვეული პრობლემები და მისი გაუმჯობესების გზები“ ამ კვლევის საფუძველზე მიღებული რეკომენდაციები გაიცნეს დაწყებითი საფეხურის პედაგოგებმა კათედრის სხდომაზე. მოსწავლეთა ჩართულობა კურიკულუმით დასტურდება.

- **უცხოური ენები**

ვინაიდან კათედრას აქვს კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობის გამოცდილება, აგრეთვე კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გაწერილი აქვთ კომპლექსური დავალებების პირობები იმგვარად, რომ ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, სასწავლო პროცესი აძლევს მოსწავლეს შანსს აქტიურად ჩაერთოს პროცესში. კომპლექსური დავალებების პირობა ხშირ შემთხვევაში იძლევა შესაძლებლობას მოსწავლე არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესის არამედ შემოქმედიც, მას უწევს პრობლემის გადაჭრა, სტრატეგიების გააზრება და სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა(მაგ. პოსტერი, ინტერვიუ, პრეზენტაცია, დიალოგი და სხვა...)

ასევე გასაუბრების დროს პედაგოგთა მხრიდან გაჟღერდა რომ მათთვის უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობა, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი კურიკულუმი. კათედრას მიეცა შემდეგი შინაარსის რეკომენდაცია, იმისათვის რომ კურიკულუმი გახდეს უფრო ,,მდიდარი'' საჭიროა კათედრამ მასში ჩააშენოს პროექტული ტიპის დავალებები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ნიმუშები და სხვა, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს ითანამშრომლონ თანატოლებთან, თანამშრომლობის უნარების განვითარება კი ხელს უწყობს მოსწავლეებს თავად გამოიჩინონ ინიციატივა და უფრო აქტიურად გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები, ვინაიდან ინიციატივების წახალისება გაზრდის მათ მოტივაციას.

თავისთავად კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობა მოითხოვს ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, ანუ იგი აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს, შესაბამისად ვასკვნით, რომ კათედრის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესი საშუალებას მისცემს მოსწავლეს იყოს პროცესის აქტიური მონაწილე და ცენტრალური ფიგურა.

- **ტექნოლოგიები**

სკოლამ წარმოადგინა ციფრული განვითარების გეგმა, სადაც ვკითხულობთ, რომ „სკოლა ხელს შეუწყობს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას სწავლა/ სწავლების პროცესში, მოსწავლეების , მასწავლებლების წინადადებების და იდეების განხილვას, ასევე ახალი მიდგომების დანერგვას", ასევე წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც აგრეთვე ჩანს, სკოლის მიერ გაკეთებული აქცენტები ტექნოლოგიების ფართო გამოყენებაზე სასწავლო პროცესებში, რათა მოსწავლეთა აქტიური შემოქმედებითი პროცესში ჩართულობა გაიზარდოს. გამოდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში ტექნოლოგიების კურიკულუმის ჩარჩო სრულყოფილად, არ არის

წარმოდგენილი, დოკუმენტაციას არ ახლავს მატრიცები, შეფასების კრიტერიუმები, წარმოდგენილ პროექტებში ნაწილობრივ იკითხება კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით ჩართულობა, ინტერვიუს დროს პედაგოგი გამოხატავს პროექტებში ჩართვის მზაობას, თუმცა ვერ ასახელებს პროექტებს სადაც ჩართულია. აქედან გამომდინარე, ნაწილობრივ ჩანს მზაობა, რომ კომპიუტერულ ტექნოლოგიებში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.
რეკომენდაცია: შეფასების კრიტერიუმები შემუშავდეს კონკრეტული დავალებების მიხედვით (განმსაზღვრელი, განმავითარებელი), დაიგეგმოს და განხორციელდეს სასკოლო, საკლასო და საერთაშორისო პროექტებში ჩართვა (INTEL, eTwinning, CTEL-პროექტები).

❖ სპორტი

სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები და მათში გაწერილი როგორც პრაქტიკული (მძლეოსნობის ელემენტები, ტანვარჯიშის ელემენტები, ძალისმიერი ვარჯიშები მძლეოსნობის ელემენტებით, გასართობი თამაშები ფეხბურთის, ფრენბურთის და კალათბურთის ელემენტებით, ლაშქრობა) და თეორიული (ჰიგიენა, ჯანსაღი კვება, შინაარსის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

❖ ესთეტიკური აღზრდა

სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ესთეტიკური კათედრის საგნობრივ პორტფოლიოებში არ ატვირთულა პროექტის გეგმა, თუმცა ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ ქმნიან და ახორციელებენ სასწავლო პროექტებს. შეისწავლიან პროექტების სამოქმედო გეგმის გაწერას. პროექტული სწავლებისას მოსწავლეებს ეძლევათ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები. სკოლაში დაწყებით საფეხურზე ტარდება გასვლითი ხასიათის ექსკურსია-გაკვეთილები, (მუზეუმებში, გალერეებში, საკულტო ძეგლების მონახულება.) რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას, ასევე მოსწავლეების შინაგანი მოტივაციის ზრდას, უყალიბდებათ პოზიტიური დამოკიდებულებები და იზრდება მათი აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. მოსწავლეები ინფორმაციის დამუშავებას და ცოდნად გარდაქმნას, წინარე ცოდნის საშუალებით ახორციელებენ, რაც განაპირობებს შინაგანი ძალების გააქტიურებას.

❖ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

სკოლა ახორციელებს ბუნებისმეტყველების საგანმანათლებლო პროგრამას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანი - ბუნებისმეტყველება - ესგ-ის შესაბამისად, გაერთიანებულია საგნობრივ ჯგუფში - საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. წარმოდგენილი საგნების პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს.

თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნების შესაბამისად, მასწავლებლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მოსწავლეთა აქტიურობის ხელშეწყობას. მოსწავლეთა მხრიდან მაღალი ჩართულობის, ნებაყოფლობითი, აქტიური და ხალისით მონაწილეობისთვის სასკოლო ცხოვრებაში, ითვალისწინებენ მათი შესაძლებლობებს, ინტერესებს და საჭიროებებს.

❖ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

პედაგოგები ორიენტირებულები არიან მოსწავლეთა სწავლის სწავლაზე და მათ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. კურიკულუმის დოკუმენტის მიხედვით პედაგოგებს განხორციელებული აქვთ კომპლექსური დავალებები, რაც იძლევა იმისი დასკვნის გაკეთებას, რომ გრძელვადიანი სასწავლო მიზნებისკენ მიმავალი შუალედური სასწავლო მიზნები, კრიტერიუმების დამუშავება აუცილებლად მოითხოვს სტატიკურ (დეკლარატიული) და დინამიურ (პროცედურული და პირობისეული) ცოდნათა ჩამოყალიბებას. მოსწავლეები ეტაპობრივად აგებენ ცოდნას პედაგოგების დახმარებით (სკაფოლდინგი).

**2.2.1.2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით**

❖ **მათემატიკა**

სკოლამ წარმოადგინა ერთ-ერთი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის გზა/მატრიცა. თვითონ კომპლექსური დავალების პირობით მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის მათთვის ნაცნობ, აზრიან და შინაარსიან კონტექსტს, რაც „აიძულებს“ მოსწავლეს გადაიქცეს შემეცნების სუბიექტად და უაქტიურებს შინაგან ძალებს. კომპლექსური დავალების გადასაჭრელად მოსწავლეს უწევს გადაჭრას

პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას მოვლენები მეცნიერული თვალსაზრისით, წარმოადგინოს პერფომანსი. ამისთვის კი უპირატესია წინარე ცოდნის გააქტიურება და მასზე ახალი ცოდნის, ახალი გამოცდილების დაფუძნება. სკოლის მიერ წარმოდგენილი დავალება და აღწერილი სწავლა/სწავლების პროცესი საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ დავალებების შესრულების გზაზე მოსწავლეს მოუწევს წინარე ცოდნის გახსენება, მასზე ახალი გამოცდილების დაშენება და ძველი და ახალი ცოდნის გაერთიანება/გამთლიანება.

- **სახელმწიფო ენა**

საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

- **უცხოური ენები**

ცოდნის კონსტრუირებისთვის მნიშვნელოვანია თემატურად სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი. თემა ეს არის მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. ამასთანავე, თემა უნდა წარმოადგენდეს მოსწავლისათვის აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლის შემეცნების სუბიექტად გადაქცევისა და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის შესწავლიდან, ასევე გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ კათედრას გააზრებული აქვს თემატური დაგეგმვის მნიშვნელობა, ჩანს რომ თემების გაწერის დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკი, მათი მზაობა და ინტერესები. ასევე შუალედური მიზნის დოკუმენტაციაში მოცემულია კონტექსტ მაგალითები, რომელიც საშუალებას იძლევა ნაცნობ კონტექსტზე დაყრდნობით მოსწავლემ მიიღოს ახალი ცოდნა და გამოცდილება. ზოგადად კომპლექსური დავალებების სპეციფიკა იძლევა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას და ამგვარი ტიპის დავალებები მრავლადაა წარმოდგენილი მომავალი წლის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში. კათედრას მიეცა რეკომენდაცია, რომ დაგეგმონ და განახორციელონ პროექტები, არაფორმალური აქტივობები იმგვარად, რომ ნაცნობ კონტექსტში მოხდეს ახალი ინფორმაციის მიწოდება, ნაცნობი თემატიკის ირგვლივ ახალი ცოდნის კონსტრუირება.

- **ტექნოლოგიები**

წარმოდგენილი კურიკულუმი კომპიუტერულ ტექნოლოგიებში ითვალისწინებს მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და კომპლექსური დავალებებითაა შედგენილი. იკითხება, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით (კონსტრუქტივიზმი). მეტწილად იკვეთება, რომ კურიკულუმი იძლევა შინაგანი ძალების გააქტიურების შესაძლებლობას და არის მოტივაციის ხელისშემწყობი ფაქტორი.

❖ <u>სპორტი</u>

სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრინციპებით ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. კომპლექსური ტიპის დავალებები ითვალისწინებენ, ითვალისწინებენ, რომ მათზე მუშაობისას პროცესში ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

❖ <u>ესთეტიკური აღზრდა</u>

საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რაც წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას. მოსწავლეები ინფორმაციის დამუშავებას და ცოდნად გარდაქმნას, წინარე ცოდნის საშუალებით ახორციელებენ, რაც განაპირობებს შინაგანი ძალების გააქტიურებას. კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირება და დამუშავება. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას უწევთ მათთვის ნაცნობი პრობლემის გადაჭრა, არსებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება, იდეების გენერირება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა.

❖ <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესში ნაწილობრივ უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის განხორციელება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ცოდნა და მზაობა ახალი მასალის გადაცემის დროს და კონსტრუქციული პრინციპებზე დაყრდნობით მიეწოდებათ ახალი ცოდნა, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალი ცოდნის დაშენებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კურიკულუმის შედგენისას, კომპლექსური დავალებების შერჩევისას.

- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

სასწავლო პროცესის განხორციელება სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე ხდება, რაც დასტურდება კურიკულუმში არსებული თემების, საკითხების და კომპლექსური დავალებების არსებობით. კომპლექსური დავალებების დანერგვა უზრუნველყოფს კონსტრუქტივისტულ მიდგომას სწავლების პროცესში.

**2.2.1.3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე**

- **მათემატიკა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მატრიცა ისეა აგებული, რომ მოსწავლეს უწევს მუშაობა კლასში მასწავლებლის ზედამხედველობით სწავლის სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით, ასევე არის შემთხვევები, როდესაც მოსწავლეს დამოუკიდებლად უწევს მასალის დამუშავება უკვე ნაცნობი აქტივობების გამოყენებით. გარდა ამისა კომპლექსური დავალების წარდგენისას მოსწავლეს უწევს საუბარი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში გავლილ გზაზე, სადაც რათქმაუნდა აღწერს როგორ იმუშავა და რა იყო ამ პროცესში მისთვის მნიშვნელოვანი. შესაბამისად შეიძლება ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

- **სახელმწიფო ენა**

დაწყებით საფეხურზე დაგეგმილი აქტივობები ( კომპლექსური დავალებები, სასკოლო პროექტი) მიზნად ისახავს მოსწავლეთა მიერ სწავლის სხვადასხვა სტრატეგიის დაუფლებას. სასკოლო პროექტის ანალიზში კარგად ჩანს, რომ პროექტის საშუალებით მოსწავლე ივითარებს სწავლის მართვის უნარ ჩვევებს : ცოდნათა კომბინირებულად გამოყენების უნარ-ჩვევები, ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირება, ერთი და იმავე საკითხის სხვადასხვა ინტერპრეტირების შესაძლებლობის განვითარება, გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების დაუფლება. სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე(მეტაკოგნიცია).

- **უცხოური ენები**

კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობა მოითხოვს მოსწავლის მეტაკოგნოციური უნარების განვითარებას, მასწავლებლები ხშირად მიმართავენ სხვადასხვა ტიპის ჩეკლისტებს, მოსწავლეთა თვითრეფლექსიას და სხვა... წარმოდგენილი კურიკულუმით ვადგენთ, რომ კათედრა მუშაობს კომპლექსური ტიპის დავალებებზე, რაც თავის თავში მოიაზრებს სწავლის სწავლას. ასევე გასაუბრების დროს კათედრის წარმომადგენლების მხრიდან გაჟღერდა რომ ისინი იყენებენ მეტაკოგნიციის განსავითარებელ სტრატეგიებს, როგორიცაა ჩეკლისტების შევსება, მოსწავლის ,,მსწავლელის ტიპის'' იდენტიფიცირება(აუდიო, კინესტეტიკი, ვიზუალი და სხვა...) და შემდგომა ამის გათვალისწინება სწავლა-სწავლების პროცესში. გასაუბრების დროს კათედრას მივეცი რეკომენდაცია, რომ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი მოხდეს ამგვარი სტრატეგიების ჩაშენება, რათა კურიკულუმი გახდეს უფრო მდიდარი და მოქნილი.

❖ **ტექნოლოგიები**

დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ანალიზი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა, რაც ეხმარება მოსწავლეს საკუთარი თვითცნობიერების განვითარებაში. არ არის წარმოდგენილი მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკები, სადაც გამოიკვეთებოდა მეტაკოგნიცია. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან (პროექტები, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა) იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი ნაწილობრივ კეთდება სწავლის სწავლაზე.

❖ **სპორტი**

სწავლა-სწავლების პროცესში სკოლაში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე , რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.

❖ **ესთეტიკური აღზრდა**

ესთეტიკის კათედრის პედაგოგთა ინტერვიუდან, წარმოდგენილი დოკუმენტაციით: პორთფოლიოები, სკოლის სასწავლო გეგმა და მეთოდოლოგია-ში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რომლის მიზანია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი კომპეტენციები და ღირებულებები. დაწყებით საფეხურზე მუსიკის ელექტრონული (სამინისტროს) მასალა ისეა აწყობილი, რომ გრძელვადიანი საეტაპო აქტივობების ყველა ეტაპი გაწერილია და მორგებულია ცნება (მუსიკა)/ქვეცნებების (ბგერა, რიტმი, მელოდია, ჰარმონია, ფორმა, ჟანრი) შესწავლა-გათავისებაზე. შესაბამისად, მოსწავლეს, რომელსაც გავლილი აქვს საეტაპო აქტივობები და დეტალიზებული აქვს ცოდნა ცნება/ქვეცნებებთან მიმართებით, პასუხობს საკვანძო შეკითხვებს და იაზრებს დავალების მნიშვნელობას, დამოუკიდებლად მოახერხებს შეასრულოს კომპლექსური დავალება. მასწავლებლის პორთფოლიოში წარმოდგენილ მუსიკის დაწყებითი კლასების კურიკულუმებში ჩანს კომპლექსური დავალების ისეთი იდეები, სადაც პედაგოგს დასჭირდება მრავალფეროვანი სტრატეგიების და აქტივობების შემუშავება, დაგეგმილი დავალებების განსახორციელებლად.

❖ <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში ბუნებისმეტყველების პედაგოგები სასწავლო პროცესში ნაწილობრივ აკეთებენ აქცენტს სწავლის სწავლაზე (მეტაკოგნიცია). თუმცა, მომავალში ისინი დაგეგმავენ ისეთ გაკვეთილებსა და აქტივობებს, სადაც უფრო მეტი ყურადღება მიექცევა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. შექმნიან, დანერგავენ და მონიტორინგს გაუწევენ შესაბამის შეფასების რუბრიკებს - თვითშეფასების რუბრიკებს როგორც მოსწავლისათვის, ასევე მასწავლებლებისათვის, დანერგავენ პროექტული სწავლებას, რომელშიც სწავლის სწავლას მიენიჭება უპირატესობა.

❖ <u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>

სასწავლო პროცესის განხორციელება სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე ხდება, რაც დასტურდება კურიკულუმში არსებული თემების, საკითხების და კომპლექსური დავალებების არსებობით. კომპლექსური დავალებების დანერგვა უზრუნველყოფს კონსტრუქტივისტულ მიდგომას სწავლების პროცესში.

**<u>2.2.1.4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)</u>**

❖ **მათემატიკა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლის მიერ შესასრულებელი დავალებების პირობები (კომპლექსური დავალება) მოსწავლისგან მოითხოვს როგორც დეკლარაციული და პროცედურული ცოდნის დეკლარირებას ასევე ფუნქციური ცოდნის დემონსტრირებას. შესაბამისად, სკოლა, მსგავსი დავალებების შეთავაზებით შეძლებს რომ სასწავლო პროცესი დააფუძნოს ცოდნის სამივე კატეგორიას.

❖ **სახელმწიფო ენა**

დაწყებით კლასებში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე(დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული). 2023-2024 სასწავლო წლისთვის ისეა დაგეგმილი სასწავლო პროცესი კომპლექსური დავალებებითა და პროექტებით, რომ ცოდნის სამივე კატეგორია და, განსაკუთრებით, კი პირობისეული მნიშვნელოვნად იყოს ჩართული სასკოლო ცხოვრებაში.

❖ **უცხოური ენები**

სასკოლო სასწავლი გეგმაში ვკითხულობთ, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეებში პროცედურული და პირობისეული ცოდნის განვითარებაზე, ასევე კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტიდან ჩანს, რომ კომპლექსური ტიპის დავალებების პირობა იმგვარადაა შედგენილი, ის თავის თავში მოიცავს ანალიზს, შედარებას, შეფასებას და სხვა მაღალ სააზროვნო უნარებს. გასაუბრების დროს კათედრის წარმომადგენლების მხრიდან გაჟღერდა, რომ დეკლარატიული ცოდნა, მაგალითად ფაქტების, გრამატიკული წესების ცოდნას დიდი მნიშვნელობა. ზოგადად ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობაა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებსა და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში. ვინაიდან ჩვენ მტკიცებულებების სახით არ გვაქვს წარმოდგენილი ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ამ ეტაპზე საკმარისად მივიჩნევ, სასკოლო სასწავლო გეგმის ნარატივში გაწერილ გეგმას და გასაუბრების დროს გაჟღერებულ მზაობას, ასევე სასკოლო კურიკულუმის მიხედვით იკვეთება პირობისეული ცოდნის განვითარებაზე გაკეთებული აქცენტები (იგულისხმება პირობის ფორმულირება).

❖ **ტექნოლოგიები**

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან(კურიკულუმი) იმის გათვალისწინებით, რომ კურიკულუმის ჩარჩო მთლიანად აგებულია კომპლექსურ დავალებებზე, ასევე სსსმ -ს ინდ. გეგმაც ამ კურიკულუმის ჩარჩოდან გამომდინარე ცნებების დამუშავებას ემსახურება (სსსმ-ს ინდ. გეგმა), სასწავლო პროცესი მეტწილად ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

- ❖ <u>სპორტი</u>

ფიზიკური აღზრდის კურიკულუმებში არ არის მოცემული ინფორმაცია იმ აქტივობებზე, სადაც გამოჩნდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). მაგრამ ეს ჩანს კომპლექსური დავალებების მაგალითებში. ასევე, ინტერვიურების დროს გამოჩნდა მასწავლებლის მზაობა, რომ ჩავთვალოთ ამ კრიტერიუმის შესაბამისობა.

- ❖ <u>ესთეტიკური აღზრდა</u>

ინტერვიუდან და პორთფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);რაც კარგად არის ასახული საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსურ დავალებებსა და არაფორმალურ აქტივობებში. ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საკითხის გააზრებას, არსობრივ წვდომასა და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურ გამოყენებას .

- ❖ <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში საგანი ბუნებისმეტყველების სასწავლო პროცესი დაწყებით კლასებში ნაწილობრივ არის ორიენტირებული ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). ამჟამად გაკვეთილებზე უფრო მეტი ყურადღება ექცევა ცოდნის დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნას, გაკვეთილებიც სწორედ ამ მიმართულებით იგეგმება და ტარდება. სასწავლო პროცესი ნაკლებადაა ორიენტირებული პირობისეულ

ცოდნაზე. 2023-2024 სასწავლო წლისთვის იგეგმება სასწავლო პროცესის, გაკვეთილების, ყველა აქტივობის, კომპლექსური დავალებების და პროექტების წარმართვა ისე, რომ ცოდნის ეს სამივე კატეგორია, განსაკუთრებით კი პირობისეული, მნიშვნელოვნად იყოს ჩართული სასკოლო ცხოვრებაში.

**2.2.1.5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

- მათემატიკა

სკოლის მიერ წარმოდგენილი მატრიცაზე დაყრდნობით, შესაძლებელია ითქვას, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს გაიხსენოს ნასწავლი მასალა, მასზე დააშენოს ახალი ცოდნა და მოახდინოს გამთლიანებული ცოდნის ტრანსფერი ახალ სიტუაციაში, პრაქტიკული ამოცანის გადაჭრისას.

- სახელმწიფო ენა

სკოლა 2019 წლის სექტემბრიდან ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში“ და განხორციელებული აქვთ კომპლექსური დავალებები, რომლებიც ეფუძნება მოსწავლის ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.
სწორედა ამ მიზნით მე- 6 კლასში განხორციელდა პროექტი „დაზოგე წყალი გადაარჩინე სიცოცხლე“, ასევე, დაწყებით საფეხური ნაწილობრივ არის ჩართული შესაბამისი აქტივობებით და ახორციელებს ინტეგრირებული სასკოლო პროექტს სახელწოდებით ,,ჩვენ და ჩვენი უფლებები“. აპრილის თვეში მე-4 კლასში დაიგეგმა ქართული ენის დღესთან დაკავშირებით პროექტი „ჩვენი ენა ქართული“. დაგეგმილია სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, კონსტრუქტივიზმის ხუთი საგანმანათლებლო პრინციპის გათვალისწინება.

- უცხოური ენები

კურიკულუმის მეთოდოლოგიის განვითარების დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმის დიზაინზე მუშაობის დროს განისაზღვრება, რომ კურიკულუმში უნდა მოხდეს არაფორმალური აქტივობების, პროექტების, ინტეგრირებული გაკვეთილების, კომპლექსური ტიპის დავალებების ჩაშენება, რაც კურიკულუმს უფრო ,,მდიდარს' 'გახდის. წარმოდგენილი ჩარჩო დოკუმენტი მეტწილად პასუხობს მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს . გასაუბრების ეტაპზე კათედრას მიეცა რეკომენდაცია, რომ აქტიურად განახორციელონ პროექტები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება ე.წ Case study, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს მოახდინონ ცოდნათა ურთიერთ დაკავშირება, რაც თავის მხრივ პროცედურული და პირობისეული ცოდნის ხელშეწყობას გულისხმობს.

❖ ტექნოლოგიები

წარმოდგენილი დოკუმენტაციით (კურიკულუმი, საკლასო პროექტი, კომპლექსურის ნიმუში, პრეზენტაცია) იკითხება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა, თუმცა კომპიუტერული ტექნოლოგიები მაქსიმალურად ჩართული უნდა იყოს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ სწავლებაში და მაქსიმალურად იყენებდეს პროექტულ სწავლებას. აქედან გამომდინარე, სასწავლო პროცესში მეტწილად უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

❖ სპორტი

სკოლის ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. კურუკულუმში გაწერილი თემები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. მართალია, კურიკულუმებში არ არის გაწერილი მომავალი სასწავლო წლისთვის ინტეგრირებული დავალებები, მაგრამ ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება.

❖ ესთეტიკური აღზრდა

პორთფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კომპლექსური დავალებები და სხვადასხვა სასკოლო პროექტები ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რაც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას, გამოწვევებთან გამკლავებისა და პროდუქტის შექმნისას. ყოველივე ეს ხელს უწყობს ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნას.

- ❖ <u>**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**</u>

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესში ნაწილობრივ უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. სკოლა 2019 წლის სექტემბრიდან ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში“ და შესაბამისად, საბუნებისმეტყველო საგანში, შესაძლებლობის ფარგლებში, განხორციელებულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც დაფუძნებულია მოსწავლის ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. მომდევნო სასწავლო წლისთვის დაგეგმილია სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების გაუმჯობესების მიზნით სასწავლო პროცესის დაგეგმვა კონსტრუქტივიზმის ხუთ საგანმანათლებლო პრინციპზე დაფუძნებით:

1. აქტიური სწავლა, მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურება.
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით
3. სწავლის სწავლა
4. ცოდნის სამი კატეგორია
5. ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

- ❖ <u>**საზოგადოებრივი მეცნიერებები**</u>

სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შეფასება ხდება წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების საფუძველზე, რაც საფუძველს იძლევა დასკვნების გაკეთების, რომ მოსწავლეების შესაძლებლობები მრავალმხრივად ფასდება. მოსწავლეთა შეფასებები სკოლაში 3 წლის ვადით ინახება.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კომპლექსური დავალებების ნიმუშები;
- თვითშეფასების კითხვარი;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- მატრიცა.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.2.2.1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

- მათემატიკა

სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ ჩარჩო დოკუმენტებში თემები ჩაშლილია საკითხებად, თითოეულ თემასთან მიმართებით მუშავდება ყველა (სამივე) სამიზნე ცნება. რიგ შემთხვევაში სკოლას განსაზღვრული აქვს კონტექსტ მაგალითიც. ამრიგად სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე.

- სახელმწიფო ენა

საგნობრივ კურიკულუმებში ასახული კომპლექსური დავალებები გულისხმობს თითოეული საგნობრივი საკითხის განხილვას კონკრეტული სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისების საფუძველზე. ეს პედაგოგს მისცემს საშუალებას შეაფასოს მოსწავლის ცოდნა და დამოკიდებულება კონკრეტული სამიზნე ცნების კონტექსტში.

- უცხოური ენები

სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი, სადაც გაწერილია თემების მიხედვით კომპლექსური დავალებები, ჩარჩო დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი საგნის სამიზნე ცნებები. მაგალითად უცხო ენის სამიზნე ცნებებია დაწყებით საფეხურზე ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები და მე-5და მე-6 კლასში კულტურათა შორის დიალოგი. აღნიშნული სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება ნაცნობ კონტექსტზე დაფუძნებით, მკვიდრი წარმოდგენების რეალიზების გზით. კურიკულუმების შესწავლით დგინდება, რომ კათედრას მკაფიოს აქვს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს ( სწავლის მექანიზმს) შორის. ამას მოწმობს ერთი მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, და მეორეს მხრივ კათედრის ხელმძღვანელთან გასაუბრება, სადაც გამოიკვეთა რომ სკოლას აქვს მზაობა სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეს მისცეს განმავითარებელი შეფასება ცნებასთან და მის მკვიდრ წარმოდგენასთან მიმართებით.

❖ **ტექნოლოგიები**

წარმოდგენილი დოკუმენტაციით კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმში სამიზნე ცნებებს არ ახლდა კრიტერიუმები, ინტერვიუს შემდეგ გამოგზავნილ იქნა ერთი რეალიზებული კომპლექსური დავალების ნიმუში მატრიცის, რეფლექსიის გარეშე, აქედან გამომდინარე, იკითხება, რომ სასწავლო პროცესი ნაწილობრივ უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

❖ **სპორტი**

სკოლის ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის კომპლექსური დავალებების მაგალითები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნებების და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში.

❖ **ესთეტიკური აღზრდა**

მასწავლებლების პორტფოლიოებში, კურიკულუმის ჩარჩოებში და ინტერვიუებიდან გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
განსაკუთრებით მუსიკის კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია, თუ რა მიზანს ემსახურება და რა შედეგზეა ორიენტირებული მითითებული საგნის საკითხების შესწავლა. სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს.

❖ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ნაწილობრივ უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით - თითოეული

კომპლექსური დავალება ნაწილობრივ ითვალისწინებს ყველა სამიზნე ცნებასა და მკვიდრ წარმოდგენას. ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები იყოს იმდენად მრავალფეროვანი, რომ შესაძლებელი გახდეს ყველა სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისება.

❖ <u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>

სასწავლო პროცესის განხორციელება სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე ხდება, რაც დასტურდება კურიკულუმში არსებული თემების, საკითხების და კომპლექსური დავალებების არსებობით. კომპლექსური დავალებების დანერგვა უზრუნველყოფს კონსტრუქტივისტულ მიდგომას სწავლების პროცესში.

**<u>2.2.2.2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას</u>**

❖ <u>მათემატიკა</u>

სკოლის პრიორიტეტებში ერთ - ერთია მოსწავლეთა ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა, შესაბამისად, სკოლა, საგნობრივი კათედრა, ზრუნავს მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. მასწავლებლის მხრიდან კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარება მოსწავლეებთან და მათთვის სასიამოვნო და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა წარმოადგენს მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის დაგეგმვა/შეფასება/ მონიტორინგის და თვითშეფასების შემადგენელ ნაწილს. სკოლისთვის მნიშვნელოვანია არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის ვალდებულება, არამედ მოსწავლის ინტერსების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა, რისთვისაც მათემატიკის კათედრის მიერ გამოყენებული იქნება შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა, რომელიც მუშავდება და რომელიც გამოკვეთავს კონკრეტულ თემასთან მიმართებით მოსწავლის კონკრეტულ საჭიროებებს რაც ხდება შემდგომში მასწავლებლის მხრიდან პროცესის დაგეგმვის საფუძველი. სკოლა ორიენტირებულია ასევე დიფერენცირებულ დავალებების შეთავაზებაზე, რომელიც ისევ და ისევ მოსწავლის საჭიროებებზე ორიენტირებას ისახავ მიზნად. მასწავლებლების მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდოლოგია ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალიზაციას და თვითრეგულაციას. მასწავლებელი აკვირდება მოსწავლის აქტივობას კომპლექსურ დავალებასთან ასოცირებულ სასწავლო რესურსებზე მუშაობის პროცესში და აანალიზებს, თუ რამდენად უზრუნველყოფს მის მიერ სამიზნე ცნების კონსტრუირების მიზნით განხორციელებული აქტივობები ხელს მოსწავლის აღიარებას,

რამდენად დასჭირდა მოსწავლეს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში დაფიქრებულიყო თანასწორობის, ტოლერანტობის, სხვა ადამიანების ღირსების დაფასების აუცილებლობაზე , გამომდინარე აღნიშნულიდან შეიძლება ითქვას, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

❖ <u>სახელმწიფო ენა</u>

საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ამისთვის დაწყებით საფეხურზე კვირაში ერთი გაკვეთილი განკუთვნილია კლასის საათისთვის, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებას, გაააქტიურებენ ისეთ თემებს, როგორიცაა: ვართ თუ არა ტოლერანტები, რა არის მეგობრობა, როგორ ვმართოთ ემოციები, ბულინგი, ადამიანის დახმარება, ოჯახი და ა. შ.

❖ <u>უცხოური ენები</u>

სასკოლო სასწავლო გეგმიდან და წარმოდგენილი კურიკულუმიდან ირკვევა, რომ კათედრა ახორციელებს კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც თავის თავში მოიაზრებს მოსწავლის მხრიდან რაიმე ტიპის პროდუქტის შექმნას. ამ პროდუქტზე მუშაობის პროცესში ხშირად მოსწავლეს უწევს თანამშრომლობა თანატოლებთან, ხდება თვითშეფასება და ურთიერთშეფასება, რა დროსაც ვითარდება კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, მოსწავლეს უჩნდება თვითრეფლექსიის უნარები. სოციალური ურთიერთობებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების უკეთ განვითარების მიზნით კათედრას მიეცა რეკომენდაცია, რომ დაგეგმოს კლასგარეშე აქტივობები არაფორმალურ გარემოში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, რომელიც მოსწავლისგან მოითხოვს ფსიქო-ემოციურ ჩართულობას და სხვა...

❖ <u>ტექნოლოგიები</u>

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ნაწილობრივ  იძლევა საშუალებას გამოკვეთილი იყოს, რომ  საგნობრივი კონტექსტი ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას ; სწავლებაში არ იკვეთება  სოციო-ემოციური სწავლების რომელიმე მეთოდი (მაგ. ბრაზის თერმომეტრი, ღია წრე, მადლიერების ყულაბა, სამი ხელწერა და ა.შ),  რომელიც მოსწავლის პიროვნულ და

ფსიქოსოციალურ განვითარებას ემსახურება. (წარმოდგენილია მხოლოდ ზმულები კონტექსტ მაგალითების, სადაც ნაწილობრივ იკითხება მოსწავლეთა თვითცნობიერების, თვითრეგულაციისთვის საჭირო კითხვების გააქტიურება და არ იკითხება მოსწავლის დაფიქრების ასახვა მოსწავლეთა დავალებებში, შეფასების რუბრიკებსა და ანალიზებში, არაფორმალურ აქტივობებში და ა.შ.)

❖ **<u>სპორტი</u>**

კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ბავშვები მონაწილეობას ღებულობენ სასკოლო ფესტივალებში, მხიარულ სტარტებში, მოძრავ თამაშებში. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

❖ **<u>ესთეტიკური აღზრდა</u>**

პორთფოლიოებში წარმოდგენილი დავალებები ეხმარება მოსწავლის პიროვნულ სოციო-ფსიქოლოგიურ განვითარებას. ასევე, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს არაფორმალურ განათლებას ხელოვნებისა და მუსიკის წრეების სახით (საჭიროების შემთხვევაში), ახორციელებს სოციალურ პროექტებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას, განვითარებას, ემოციების მართვას. მოსწავლეებს უყალიბდებათ ღირებულებათა სისტემა. ეჩვევიან გუნდურ მუშაობას, ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს, უყალიბდებათ პასუხისმგებლობა და ემპათია.

❖ **<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>**

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში საგნობრივი კონტექსტები ნაწილობრივ ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გაკვეთილებზე ხდება ბავშვების მიერ სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივად განვითარება, პიროვნულად და ფსიქო-სოციალურად ჩამოყალიბება, რაც მათ ხელს უწყობს გარემოსთან და გარშემომყოფებთან ურთიერობის დამყარებაში. ამ საკითხთან დაკავშირებით მოხდება საბუნებისმეტყველო კათედრაზე საგანი ბუნებისმეტყველების შესაბამისი სასწავლო გეგმის შემუშავება.

❖ **<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პედაგოგები ორიენტირებულები არიან მოსწავლეთა სწავლის სწავლაზე და მათ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე.

**2.2.2.** 3 . შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

- მათემატიკა

სკოლამ, გარდა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკისა წარმოადგინა ასევე დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც მასწავლებელი აკვირდება მოსწავლის აქტივობას კომპლექსურ დავალებასთან ასოცირებულ სასწავლო რესურსებზე მუშაობის პროცესში და აანალიზებს, თუ რამდენად უზრუნველყოფს მის მიერ სამიზნე ცნების კონსტრუირების მიზნით განხორციელებული აქტივობები ხელს მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას/მის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე**

- სახელმწიფო ენა

დაწყებით საფეხურზე შეფასების სისტემა I-IV კლასში არის განმავითარებელი, ხოლო-VI კლასში როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი - მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობაზე, საჭიროებებზეა მორგებული და გათვლილი.

- უცხოური ენები

სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ, რომ მომდევნო სასწავლო წელს სკოლა გამოიყენებს ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. ამავე დოკუმენტში წარმოდგენილია შეფასების ორივე ტიპის აღწერა მიზნების, ამოცანების, კრიტერიუმებისა და მათი შეფასების ფორმების მიხედვით. იქიდან გამომდინარე, რომ შეფასება გულისხმობს არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნის შეფასებას არამედ ფასდება მისი ქცევა, შეხედულებები, დამოკიდებულებები, წარმოდგენები, ღირებულებები და ზოგადად პიროვნება, რაც მრავალმხრივი პროცესია. სკოლას გააზრებული აქვს, რომ ეს არის მრავალმხრივი პროცესი და ძალიან მნიშნელოვანი წარმატებული მოქალაქის აღსაზრდელად. სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მიერ შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს, რომელიც აუცილებელ კომპონენტებად მიიჩნევს დიფერენცირებას და მოსწავლის დიაგნოსტირებას განვითარების ყველა სფეროს ( კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით (ჰოლისტური).

კათედრა, როგორც მთლიანად სკოლა იზიარებს შეფასების სისტემის მნიშვნელობას და მის როლს მოსწავლის განვითარების პროცესში.

- **ტექნოლოგიები**

წარმოდგენილი დოკუმენტაციით შეფასების სისტემა ტექნოლოგიებში ზოგადი კრიტერიუმებითაა წარმოდგენილი, არ არის წარმოდგენილი განახლებული სტანდარტით. აქედან გამომდინარე, ნაწილობრივ არის ორიენტირებული მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; არ არის წარმოდგენილი სოლო ტაქსონომია, განმავითარებელი შეფასების, მოსწავლეთა თვითშეფასების, ურთიერთშეფასების კრიტერიუმები, რომელიც გამოავლენს მოსწავლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებს და აძლევს მოსწავლეს კონსტრუქციულ უკუკავშირს იმასთან მიმართებაში, თუ როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და როგორ შეიძლება გაუმკლავდეს არსებულ გამოწვევებს.

- **სპორტი**

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე მასწავლებლები იყენებენ მხოლოდ ზეპირსიტყვიერ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც საჭიროებს დახვეწას და რომლის მზაობასაც გამოხატავს სკოლა. ასევე, ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. ამისათვის მასწავლებლები აპირებენ შეფასების სახვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებას და, მათ შორის, მოსწავლეთა თვითშეფასებას, რაც წარმოდგენილია დანართების სახით.

- **ესთეტიკური აღზრდა**

შეფასების ფორმები , დონეები და რუბრიკები მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, ასევე კათედრას წარმოდგენილი აქვს დაწყებ საფეხურის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კომენტარებით (1-ლი - მე-5კლ-ის პირველის სემესტრი) და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, ქულობრივი შეფასებით და კრიტერიუმებით 9მე-5 კლასის მეორე სემესტრი და მე-6 კლასი). ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას იყენებენ განმავითარებელ შეფასებას სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე, სტანდარტის შედეგებზე და სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობით. განმსაზღვრელი შეფასების შექმნისას ხელმძღვანელობენ სამიზნე ცნებების დამუშავებაზე მორგებული შაბლონით (ახსნა, ამოცნობა, შეფასების მიხედვით).

ესთეტიკის კათედრას დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რაც ადასტურებს მათ გამოცდილებას განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეებთან. დოკუმენტში მოცემული საკითხი ემთხვევა სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოცემულობას, თუმცა, ცნება/ქვეცნებათა დამუშავება ხდება ნაწილობრივ. რეკომენდაციის შედეგად, პედაგოგები მომდევნო წლის ისგ-ს დანერგავენ ისე, რომ მოსწავლემ, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, შეძლოს საკითხით გათვალისწინებული ყველა ცნება/ქვეცნების დამუშავება მასზე მორგებული კითხვებით და მუსიკალური ფრაგმენტებით, თუ სახელოვნებო აქტივობებით.

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების  ფარგლებში  შეფასების სისტემა ნაწილობრივ არის ორიენტირებული მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სასკოლო საზოგადოების მიერ ნაკლებად არის გააზრებული, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი.  დაწყებით საფეხურზე I-IV კლასებში საგან ბუნებისმეტყველებაში მოსწავლეები ფასდებიან განმავითარებელი, ხოლო-VI კლასში როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებით - მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობზე, საჭიროებებზეა მორგებული და გათვლილი. მოსწავლეთა შეფასებისას ნაკლებად  ხდება მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობისა და საჭიროებების გათვალისწინება. ახალი სასწავლო წლიდან მასწავლებლები შეფასებისას გაითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის ნიჭს და თავისებურებას, ისინი მოტივირებული არიან ხელი შეუწყონ მოსწავლეებს ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში.

- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

კურიკულუმის დოკუმენტის მიხედვით პედაგოგებს განხორციელებული აქვთ კომპლექსური დავალებები, რაც იძლევა იმისი დასკვნის გაკეთებას, რომ გრძელვადიანი სასწავლო მიზნებისკენ მიმავალი შუალედური სასწავლო მიზნები, კრიტერიუმების დამუშავება აუცილებლად მოითხოვს სტატიკურ (დეკლარატიული) და დინამიურ (პროცედურული და პირობისეული) ცოდნათა ჩამოყალიბებას. მოსწავლეები ეტაპობრივად აგებენ ცოდნას პედაგოგების დახმარებით (სკაფოლდინგი).

**2.2.2. 4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

- **მათემატიკა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და სკოლის დირექტორის N2-53 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტის ანალიზი საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა, რომლსაც სკოლა გამოიყენებს, იქნება ვალიდური, შეფასების ძირითად მიზნებთან შესაბამისი, ცნობილი სასკოლო საზოგადოებისთვის (კომპლექსური დავალების ბარათების პირობების წინასაწარ გაცნობა შეფასების კრიტერიუმებით).ზუსტად შერჩეული გასაზომი კრიტერიუმები უზრუნველყოფს მათ სანდოობას, კონკრეტულობა კი ხელს შეუწყობ მის ობიექტურობას და სამართლიანობას.

❖ **<u>სახელმწიფო ენა</u>**

წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ მაძლევს საშუალებას განვსაზღვრო შეფასების სისტემის ვალიდურობა, გამჭვირვალობა სანდოობა ,ობიექტურობა.

❖ **<u>უცხოური ენები</u>**

სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია, რომ სკოლა სრულად იზიარებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს, მეთოდებს, მოსწავლის შეფასების მიზანს, შეფასების ტიპები, აკადემიური მიღწევის დონეებს და საგნის სემესტრული ქულის შემადგენელი კომპონენტებს, განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობებს, სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულის გამოანგარიშების წესებს, კლასისა და საფეხურის დაძლევას, გაცდენები და შეფასება, გამოცდის ტიპებს, მოსწავლის აკადემიური მიღწევებს. მომდევნო სასწავლო წელს სკოლა ირჩევს შეფასების სამ კომპონენტიან სისტემას საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი ქულების გამოყენებით მოხდება განმსაზღვრელი შეფასება საბაზო და საშუალო საფეხურზე, ხოლო დაწყებით საფეხურზე 1-4 კლასში განმავითარებელი შეფასება, მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან და მე-6 კლასში განმსაზღვრელი შეფასება. კათედრა შეიმუშავებს შეფასების რუბრიკებს სხვადასხვა კომპლექსური ტიპის დავალებების შესაფასებლად, და ამ პრინციპების შეფასების დროს იხელმძღვანელებს შემდეგი პრინციპებით: შეფასება უნდა იყოს სანდო, რაც ნიშნავს რომ შეფასება არის მდგრადი და რეალისტური, ის სანდოა ა მიუკერძოებელი. შეფასება უნდა იყოს ვალიდური, - რაც გულისხმობს იმას, რომ ვაფასებთ, ზუსტად იმას, რის შეფასებაც გვაქვს განზრახული. გამჭვირვალობა ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ჩვენმა მოსწავლეებმა იციან

თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. მათ ზუსტად აქვთ გააზრებული რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა.
დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრა არა მხოლოდ იცნობს შეფასების პრინციპებს, არამედ აქვს მზაობა ამ პრინციპების პრაქტიკულად გამოყენების.

- **ესთეტიკური აღზრდა**

შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი-რასაც ადასტურებს მკაფიოდ გაწერილი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები, რომელიც მოსწავლეებისათვის მარტივი ენითაა ჩამოყალიბებული, ადვილად გასაგები და მისაწვდომია. მათ ზუსტად იციან, როგორ ფასდებიან და რა მიზნისკენაა მიმართული შეფასება. სასურველია, შეფასების რუბრიკებში გამოიკვეთოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები და სტანდარტის შედეგები.

**2.2.2. 5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის N2-53 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სკოლა გეგმავს ვერიფიკაცია განახორციელოს სამი მიმართულებით: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
დოკუმენტის მიხედვით სკოლა გაითვალისწინებს რისკების ალბათობას, სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე მოახდენს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გარკვეული წინასწარ დადგენილი პროცენტული რაოდენობის მტკიცებულებების ვერიფიკაციას.

აღნიშნული დოკუმენტის ანალიზი გვაძლევს საშუალებას, რომ დავასკვნათ, სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის წესის ამოქმედება ხელს შეუწყობს შეფასების სისტემის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმის ფუნქციონირებას .

**2.2.2. 6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლაში ინახება დაწყებითი საფეხურის I-IV კლასის სემესტრული, წლიური ანგარიშები კლასის აკადემიური მოსწრებისა და ყოფაქცევის შესახებ, ასევე, V-VI კლასის ნიშნების ფურცელი, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. მატერიალური ჟურნალები დაცულია უსაფრთხოდ, კერძოდ, ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სამომავლოდ დოკუმენტაციის შენახვას და დამუშავებას სკოლა გააგრძელებს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- დირექტორის N2-53 ბრძანება ( სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე)

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.2.3. 1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია: „სკოლაში დამკვიდრებულია კოლეგიალური თანამშრომლობის მაღალი კულტურა, რაც მდგომარეობს პედაგოგთა მიერ საკუთარი გამოცდილების ურთიერთგაზიარებაში, საგნობრივ კათედრათა მჭიდრო კავშირსა და ცალკეულ საკითხებზე ერთობლივ მუშაობაში. პროფესიული დისკუსიები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, საჭიროების შემთხვევაში ურთიერთდახმარებისთვის მზადყოფნა ჩვენი სასკოლო ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს". ამ ნარატივს ადასტურებს ურთიერთდასწრების წარმოდგენილი ანგარიშები. პედაგოგებმა ინტერვიუშიც აღნიშნეს, ურთიერთდასწრებას მათ სკოლაში დიდი ხნის ტრადიცია აქვს, ესწრებიან პარალელურ კლასებს პედაგოგები, შემდეგ წერენ ანგარიშს და პრობლემებს განიხილავენ კათედრაზე.

**2.2.3. 2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თუ ის განხორციელებული პროექტები, რომლებზეც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, ნამდვილად გვაძლევს იმის დასკვნის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი მაქსიმალურად ორიენტირებულია მოსწავლეებზე. სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს, ფიზიკურ, ფსიქიკურ მახასიათებლებს, ემოციურ ინტელექტს. სასწავლო გარემო არის პოზიტიური, მაქსიმალურად მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე.

**2.2.3. 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

თანამშრომლობითი კულტურის მაგალითია „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტის არსებობა სკოლაში, რის საშუალებითაც კათედრის წევრები ესწრებიან და აფასებენ კოლეგების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს. პროცესის დასრულებისას კი ხდება გაკვეთილის გარჩევა და საჭიროების შემთხვევაში რჩევების მიცემა- ამას ადასტურებს ურთიერთდასწრების დოკუმენტაციაც.

**2.2.3. 4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ,,აღმზრდელობითი პოლიტიკა“ და „სასკოლო კათედრების ფუნქციები“- ეს ოფიციალური ჩანართები მოიცავს იმ საკითხებს, რომლებიც განაპირობებს სკოლაში კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დამრიგებლის პროგრამა II კლასი;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

2.3.1.1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია მისი მონიტორინგი და შეფასება, რასაც უზრუნველყოფს სკოლის დირექცია სასწავლო პროცესზე დაკვირვებით, ასევე „ახალი სკოლის“ პროექტის ფარგლებში დაწყებით საფეხურზე განხორციელდა გაკვეთილებზე დაკვირვება და მასწავლებლებს მიეცათ შესაბამისი უკუკავშირი, ასევე, დაკვირვების პროცესში მთავარი აქცენტი კეთდება, თუ როგორ ხორციელდება კომპლექსური დავალებები და როგორ ხდება მოსწავლეთა შეფასება ამ დავალებებზე მუშაობის პროცესი. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა აპირებს, რომ მეტი ყურადღება გამახვილდეს მოსწავლეების შედეგების

დიაგნოსტირებაზე, სწავლის პროცესში დაგროვებული ხარვეზების გამოვლენასა და გასწორებაზე, გარდა ამისა, უფრო სისტემატურ ხასიათს მისცემს სკოლის დირექცია სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მეთოდოლოგიის მონიტორინგსა და შეფასებას.

2.3.1.2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლაში ფუნქციონირებს სწავლის პროცესის შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. დირექციის წარმომადგენლები მეტ-ნაკლებად ამოწმებენ და აფასებენ სწავლის პროცესს/ხარისხს, კათედრების მუშაობას, აანალიზებენ და აფასებენ დაწყებით საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებს.

2.3.1.3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი და შემუშავებულია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვის მექანიზმები. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლებს მიეცემათ პოზიტიური უკუკავშირი, რომლის გაზიარებისას ერთობლივად დაიგეგმება პრობლემების გადაჭრის გზები.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- „სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი“;
- სკოლის თვითშეფასება;
- საგნობრივი კურიკულუმები;

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.3.2. 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან (რუბრიკები, სოლო ტაქსონომია სხვადასხვა საგანში) იკითხება, რომ შეფასება ნაწილობრივ ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს . ამჟამად სკოლა დაწყებით საფეხურზე იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე, განმსაზღვრელ შეფასებას, კათედრები გეგმავენ შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების გამოყენებას, როგორც გაკვეთილებზე სხვადასხვა აქტივობებისათვის, ასევე , კომპლექსური დავალებისთვის.

**2.3.2.2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია ინფორმაცია მოპოვებული იყოს ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტიულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და ა. შ. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. დაწყებით საფეხურზე იგეგმება შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების გამოყენება, სამიზნე ცნებების იერარქიასა და მასთან დაკავშირებული მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებით შეიქმნება განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი

რუბრიკები, სადაც განსაზღვრული იქნება, თუ რა მოლოდინები უნდა ჰქონდეთ მოსწავლეებისგან თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით.

2.3.2.3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკითხება, რომ შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების ნაწილობრივ მრავალფეროვანი მეთოდები; არ არის წარმოდგენილი ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების მტკიცებულება , რომელთა ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. (ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და ა.შ.).

2.3.2.4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით;

წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკითხება, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ნაწილობრივ ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია, თუ როგორ (რა საშუალებებით) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება (რა წყაროების საშუალებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მონაცემების დამუშავება). წარმოდგენილი დოკუმენტაციით ( მათემატიკის კათედრაზე წარმოდგენილია მულტიფაქტორული შეფასების ნიმუში-განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კონტექსტ-მაგალითზე „პაროლის შექმნა და გამოცნობა“ და მასთან დაკავშირებულ ქვესაკითხებზე ) იკითხება, რომ სკოლაში, კათედრებზე მიმდინარეობს მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის დიაგნოსტიკა, ინერგება შეფასების მულტიფაქტორული მიდგომა, ანუ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. თუმცა კომპიუტერულ ტექნოლოგიებში ამგვარი შეფასების მტკიცებულება არ არის წარმოდგენილი, მაგრამ ინტერვიუდან გამოჩნდა, რომ სკოლის და

კათედრის გამოცდილებას ტექნოლოგიების პედაგოგი მოარგებს თავის საგანს და მოახდენს მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია,
- კურიკულუმი,
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კონტექსტ-მაგალითზე

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.4.1 .1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

წარმოდგენილი მასალებიდან გამომდინარე სკოლაში შექმნილია სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. მონაცემების ინფორმაციის შეჯერების, დამუშავებისა და დასკვნების გამოტანის მიზნით სკოლა ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში შედიან: სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, კათედრების ხელმძღვანელები, ყველა საგნის თითო მასწავლებელი.
მონაცემების დამუშავების საფუძველზე სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს: რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად.
რეკომენდაციები უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ" და „აღსრულებულ" კურიკულუმს შორის.

**2.4.1.2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

დოკუმენტაციიდან იკითხება, რომ სკოლაში შემუშავებულია წინა კურიკულუმის გადასინჯვის მექანიზმი,( შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი) კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია მეტწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის

განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება გათვალისწინებული შეიძლება იყოს, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. ანუ ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახულია პრობლემის დაძლევის შესაბამისი ცვლილებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების კითხვარი.

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი**

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>**<u>საბაზო საფეხური</u>** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4** | ■ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.1.1. 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან. მისიიდან გამომდინარე სკოლა ორიენტირებულია, შექმნას ღია, კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო, სადაც დაცული იქნება მოსწავლის ფიზიკური და ფსიქო-ემოციური უსაფრთხოება. სადაც იგი მიიღებს საგნობრივ ცოდნას და შეძლებს მის ტრანსფერს პრაქტიკულ სიტუაციებში, განივითარებს მოქალაქეობრივი უფლება-მოვალეობების, ეროვნული ფასეულობების, პიროვნული პასუხისმგებლობისა და ტოლერანტობის გრძნობას.
სასკოლო სასწავლო გეგმა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმას და აზუსტებს სკოლისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ აუცილებელ დატვირთვას, განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას დაწყებით საფეხურზე.
სკოლას ნარატივით წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის თანახმადაც, „კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება შემდეგ საკითხებზე: კონცეპტუალური ჩარჩო (ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია), კურიკულუმის დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაცია, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში)''.
სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (ბრძანება N 2-51 სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლაში სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ. 6 ივნისი 2023 წელი). მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლა კურიკულუმის რევიზიის, განვითრების პროცესში იხელმძღვანელებს სასკოლო საზოგადოების მიერ გაკეთებული უკუკავშირების საფუძველზე სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით, რაც ნიშნავს , რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების საშუალებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.1.1. 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში; მოსწავლეთა შედეგები; მშობელთა ჩართულობა; კათედრის მუშაობა; სკოლის დირექცია.
მონაცემების დამუშავების საფუძველზე სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს:
- რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად;
- რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად.
გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის მიერ შემუშავებული „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს სამუშაო ჯგუფის მიერ სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის შედეგად მიღებულ უკუკავშირებზე დაფუძნებით სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებას ახალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინების მიზნით, შეიძლება ვთქვათ, რომ მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების ასახვა კურიკულუმში.

**2.1.1.3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

წარმოდგენილ „ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში „ კურიკულუმის საწყისი ვერსიის შემუშავებაზე არაფერია ნათქვამი, თუმცა ყოველი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა იკვეთება. სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის თანახმად, სასკოლო კურიკულუმის თითოეული ნაწილი მზადდება პედაგოგიური საბჭოს მიერ დირექციის ჩართულობითა და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

**2.1.1.4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

იმისათვის, რომ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში აქტიურად იყოს ჩართული სასკოლო საზოგადოება, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს/აკონკრეტებს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს და ასევე მშობელთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას. ამრიგად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ბრძანება N 2-51 სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლაში სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ. 6 ივნისი 2023 წელი ;
- პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს ოქმებით;
- სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმით.

**2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.1.2.1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

❖ **მათემატიკა**

სკოლამ პირველად, და შემდეგ უკვე დამატებით გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში, წარმოადგენა საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტები, სადაც გაწერილია თემა, სამიზნე ცნება და რესურსები, რიგ შემთხვევაში კომპლექსური დავალების პირობა და რესურსები. ასევე წარმოადგინა მასწავლებლის რეფლექსიის ფორმა, რომლითაც შესაძლებელია მასწავლებლის პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება. წარმოდგენილი დოკუმენტაცია საშუალებას იძლევა შეფასდეს თუ რა ადგილი უჭირავს საგნობრივ კურიკულუმებში მოსწავლეთა შეფასებას და მასწავლებლის თვითრეფლექსიას. მათემატიკის კათედრისთვის მოსწავლეთა შეფასება არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისათვის, დაგეგმილის განხორციელებისა და შემდგომ უკვე მის შეფასება განვითარებისათვის.

სკოლამ წარმოადგინა შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა რომლის მიხედვითაც ასევე შესაძლებელია ვიმსჯელოთ, რომ სკოლა ზრუნავს მოსწავლეების საჭიროებების იდენტიფიცირებაზე და ფორმის მიხედვით შესაბამისად შემდგომი პროცესები აღნიშნული საჭიროებების დაკმაყოფილებაზე იქნება ორიენტირებული.

❖ **სახელმწიფო ენა**

წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში განსაზღვრულია თემები, ცნებები/ქვეცნებები, ტექსტები და რესურსები, რომლებზე დაყრდნობითაც განახორციელებენ კომპლექსურ დავალებებს.

სკოლის თვითშეფასების მიხედვით, საბაზო საფეხურზე სასწავლო წლის დასაწყისში შემუშავდება საგნობრივი კურიკულუმები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით , კერძოდ: სწავლების დასაწყისში განისაზღვრება გრძელვადიანი მიზნები და შემდეგ პროცესი იგეგმება ისე, რომ სისტემატურად მიმდინარეობს მიზნისკენ სვლა და შედეგების გაუმჯობესება. შემუშავებული

საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზისა, კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალებები, რომლებითაც მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა, ჩაერთოს სახალისო აქტივობებში და წარმოაჩინოს სრულად საკუთარი თავი.

❖ **უცხოური ენები**

საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი მეტწილად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გვაქვს შუალედური მიზნის დოკუმენტები, სადაც გაწერილია კომპლექსური დავალებები, შესაბამისი კონტექსტ მაგალითები, საჭირო რესურსები. შუალედური მიზნის დოკუმენტების ერთობლიობა კი საბოლოოდ გრძელვადიანი მიზნის მიღწევისკენაა მიმართული. კომპლექსური ტიპის დავალებები საბაზო საფეხურზე სამიზნე ცნებად მოიაზრებს ჟანრს, ენობრივ საშუალებებს, ფუნქციურ სამეტყველო ქმედებებს და კულტურათა შორის დიალოგს. კურიკულუმები იმგვარადაა დაგეგმილი, რომ კათედრას აქვს მკაფიო ხედვა, თუ როგორ უნდა მოხდეს თითოეული სამიზნე ცნების დამუშავება, იმგვარად რომ პროცესის ცენტრალური ფიგურა იყოს მოსწავლე.
გასაუბრების ეტაპზე კათედრის ხელმძღვანელს მივეცი რეკომენდაცია, რომ გარდა კომპლექსური ტიპის დავალებებისა კარგი იქნება თუ კურიკულუმში ჩააშენებენ სასკოლო პროექტებს, კონკურსებს, პრობლემაზე დაფუძნებულს სწავლებას (Case study) მათი მხრიდან გამოითქვა მზაობა და აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესი ამჟამადაც მიმდინარეობს და მასში ჩართულია როგორც სასკოლო საზოგადოება, ასევე მხარდამჭერი ქოუჩები.

❖ **სპორტი**

შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას:
საბაზო საფეხურის წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალეროვანი თემები - მძლეოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორია, ოლიმპიური თამაშები, ლაშქრობა. ყველა თემის ფარგლებში გაწერილია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, რომლებიც

ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკურ განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლი და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. **სკოლას მიეცა რჩევა, გაამრავალფეროვნოს ელექტრონული რესურსები.**

- **ესთეტიკური აღზრდა**

თვითშეფასების დოკუმენტის ჩანაწერში განსაზღვრულია, რომ სკოლა გეგმავს სასწავლო გეგმებს გრძელვადიან მიზნებზე დაფუძნებით და რომ კომპლექსური დავალებებით სწავლება მათი პრიორიტეტია. „ახალი სკოლის მოდელში" ჩართული სკოლაა და აქვთ მზაობა პროცესის სწორად წარმართვის. მართალია, ესთეტიკური კათედრის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში არ იკითხება ყველა შესასწავლი თემის კომპლექსურად დამუშავება, თუმცა, ორ თემაზე (სულ სამი თემა გვაქვს საბაზო საფეხურზე) წლის განმავლობაში განხორციელდება კომპლექსური დავალებები. საკითხები სრულად დაიფარება და შესრულდება სავალდებულო შემაჯამებელი დავალებები.

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, კათედრის წევრები, თითოეული საგნის პედაგოგი გაეცნო საგნობრივი ქოუჩების მიერ წინასწარ მოწოდებულ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ კურიკულუმის ჩარჩოს, განიხილეს ჩარჩოს შემადგენელი ნაწილები: მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები, კომპლექსური დავალების პირობები, საკვანძო შეკითხვები, შედეგები, რის გათვალისწინებითაც მოხდა სასკოლო/საგნობრივი კურიკულუმების შედგენა. სასწავლო წლის დასაწყისშივე განხორციელდა გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრა და შემდეგ პროცესი დაიგეგმა ისე, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ მოხდება დაგეგმილი მიზნის მიღწევა. მომავალი სასწავლო წლისთვის სასკოლო კურიკულუმი შედგენილია ისე, რომ განხორციელდება მეტი სამიზნე ცნებისა და თემატური ბლოკის დაფარვა კომპლექსური დავალებებით სწავლებით.
გათვალისწინებულ იქნა და განხორციელდა კურიკულუმების (ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის) დახვეწა საბუნებისმეტყველო საგნების ექსპერტის მიერ გაკეთებული უკუკავშირის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას.

❖ <u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>

წარმოდგენილ კურიკულუმები დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით;

<u>2.1.2.2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)</u>

❖ <u>მათემატიკა</u>

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი, რომელიც მასწავლებელს განუსაზღვრავს, თუ რას უნდა მიაქციოს ყურადღება სწავლების პროცესში თითოეულ ფუნქციურ უნართან მიმართებაში, რათა დაადგინოს რამდენად უზრუნველყო სასწავლო გარემოს და სწავლების პროცესის ისე წარმართვას, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით დააკმაყოფილოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნა. მასწავლებლების მხრიდან აღნიშნული ინსტრუმენტის მიზნობრივი გამოყენება უზრუნველყოფს გრძელვადიანი მიზნების, გლობალური ფუნქციური უნარების, განვითარებას. სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

❖ <u>სახელმწიფო ენა</u>

სასკოლო კულტურის განვითარება და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 სკოლაში. ამ მიზნის მისაღწევად შეიმუშავებენ შემდეგ ამოცანებს: კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის დანერგვას, სკოლის მართვის ეფექტიანი მიდგომების განვითარებას, ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებას სწავლა-სწავლების პროცესში, წინსვლისა და განვითარების ხელშემწყობი შეფასების სისტემის შექმნას. ყოველივე მიმართული იქნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისკენ. ამისთვის საბაზო საფეხურის

პედაგოგები დაგეგმავენ და განახორცილებენ შესაბამის აქტივობებს, შეარჩევენ რესურსებს, კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც გადის მაკრო ცნებებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებსა და მათთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებზე.

❖ **უცხოური ენები**

საბაზო საფეხურის კურიკულუმის შესწავლისას, ცალსახად გამოიკვეთა რომ თემატური დაგეგმვა მიემართება საგნობრივი სტანდარტის მისაღწევი შედეგების მიღწევისკენ, ასევე კომპლექსური დავალებების პირობები იმგვარადაა ფორმულირებული, რომ ის უზრუნველყოფს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობა და კომუნიკაცია და სხვა....
გარდა სამიზნე ცნებებისა, რომლის განზოგადებისთვის მნიშვნელოვანია კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად და მიზნობრივად იყენებს ახალ ცოდნას, უნარებს და ღირებულებებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში ყურადღება გამახვილებულია გლობალურ-ფუნქციურ უნარ-ჩვევებზე, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, მოქალაქეობა და კომუნიკაცია, თანამშრომლობა და სხვა გასაუბრების ეტაპზე კათედრის წევრებთან ვიმსჯელეთ გლობალურ ფუნქციური უნარების განვითარების საქმეში სასწავლო პროექტების როლი. ვფიქრობ, კათედრას მეტწილად აქვს მზაობა განახორციელოს კლასგარეშე, არაფორმალური აქტივობები, სამიზნე ცნებების და გლობალურ-ფუნქციური უნარების განსავითარებლად.

❖ **სპორტი**

საბაზო კლასების კურიკულუმებში ნათლად არის ჩამოყალიბებული გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, სტანდარტის საფეხურებრივი შედეგები და სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. აგრეთვე, კურიკულუმის განხორციელების პროცესში გაწერილია თემებთან შესაბამისი სასწავლო ელექტრონული რესურსები.

❖ **ესთეტიკური აღზრდა**

სკოლას გააზრებული აქვს შუალედური და გრძელვადიანი სასწავლო მიზნები და საგნობრივი კურიკულუმების მსგავსად შექმნას გეგმავს. ესთეტიკური კათედრის საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში (მე-7, მე-8, მე-9 კლასი) გათვალისწინებულია სავალდებულო თემების, საკითხების, ცნება/ქვეცნებების დამუშავება, კომპლექსური დავალებების შესრულება კონტექსტ მაგალითებზე დაყრდნობით და ა.შ. თუმცა, კათედრის მიერ მოწოდებულ კურიკულუმების ჩარჩოში კლასების მიხედვით იკვეთება უზუსტობები, რომელიც გამოვლენილია კურიკულუმის ჩარჩოში მოცულობითი დავალებებით. განსახორციელებელი აქტივობები, კომპლექსურების რაოდენობა გადააჭარბებს საათობრივ ბადეს. დასაზუსტებელია ცნება/ქვეცნებათა ჩამონათვალი საკითხების მიხედვით და ა.შ. დეტალური რეკომენდაცია მიცემული აქვს კათედრას და ინტერვიუს პროცესში გამოთქვეს მზაობა კურიკულუმის ჩარჩოს დაკორექტირებასა და სექტემბერში სრულად წარმოდგენასთან დაკავშირებით.

❖ <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმში/ებში გათვალისწინებულია სიღრმისეული სწავლების პრინციპები და მეთოდოლოგია. დაგეგმილია კონსტრუქტივისტულ-საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის განხორციელება, სკოლის მართვის ეფექტიანი მიდგომების განვითარება, ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება სწავლა-სწავლების პროცესში, წინსვლისა და განვითარების ხელშემწყობი შეფასების სისტემის შექმნა, რაც მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისკენ. ამისთვის საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგები გეგმავენ შესაბამის აქტივობებს, არჩევენ რესურსებს, კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც საშუალებითაც განხორციელდება მაკრო ცნებების, სამიზნე ცნებების, ქვეცნებების და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება.
კურიკულუმებში შერჩეული კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს განუვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს.

❖ <u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>

თითოეულ კურიკულუმში გაწერილი თემები ფარავენ საგნობრივ გრძელვადიან მიზნებს;

2.1.2.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

- მათემატიკა

სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების კონცეფცია. რაც შეეხება დიფერენცირებულ მიდგომებს სკოლას წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვს დიფერენცირებული მიდგომები. ამ ეტაპზე ეს არის ზოგადი მინიშნება თუ როგორ მოხდება კომპლექსური დავალების მოდიფიცირება. ზოგადი ხედვა დაზუსტდება სასწავლო პროცესის, კონკრეტული დავალების, კლასის და მოსწავლის/მოსწავლეების დონეზე. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია.

- სახელმწიფო ენა

სსიპ ქალაქ თერჯოლის N 2 საჯარო სკოლას საბაზო საფეხურზე სკოლას ჰყავს ოთხი სსსმ მოსწავლე , სასწავლო წლის დასაწყისში მშობლის სურვილის შემთხვევაში მულტიდისციპლინური გუნდი აფასებს და ადგენს ბავშვის საჭიროებებს. შეფასებისა და რეკომენდაციების მიღების შემდეგ სკოლაში დგება ისგ გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი. გუნდის შემადგენლობაში შედის ყველა საგნის მასწავლებელი, სპეცმასწავლებელი და მოსწავლის მშობელი/მეურვე, ეტაპობრივად ხორციელდება მონიტორინგი და ხდება მოსწავლეთა შეფასება. მომავალი სასწავლო წლისთვის გადაფასდებიან მოსწავლეები, სამომავლო კურიკულუმის შედგენისას უკუკავშირის შედეგად განიხილება მეთოდოლოგია და სწავლების ახალი სტრატეგიები.

- უცხოური ენები

კათედრა ითვალისწინებს სწავლების დიფერენცირების პრინციპებს, ხდება სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენა და შემდეგ შეფასება. გასაუბრების ეტაპზე გამოვლინდა, რომ სკოლას აქვს ტექნოლოგიებით აღჭურვილი კაბინეტი, სადაც შესაძლებელია მოხდეს მასალის დიფერენცირება, განსხვავებული უნარების მქონე მოსწავლეებისათვის მასალა შესაძლებელია შეთავაზებული იყო განსხვავებული ფორმატით (ტექსტი, ვიდეო, კომიქსი, და ა.შ) ამასთან დაკავშირებით კათედრის მხრიდან გამოითქვა მზაობა.

გარდა ამისა შუალედური მიზნის დოკუმენტიდან ვადგენთ, რომ კომპლექსური დავალების პროდუქტი (საკითხი) შეუძლია მოსწავლემ თვითონ აირჩიოს, მისი შესაძლებლობიდან გამომდინარე, მას შეუძლია შექმნას პოსტერი მატერიალურად, ქაღალდის მატარებელზე, ან ელექტრონულ ფორმატში პრეზენტაციის სახით...

კურიკულუმის მეთოდოლოგიის განვითარების დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმის კონცეფციაზე მუშაობის დროს კურიკულუმშივე ხდება კონკრეტული სტრატეგიების ,, ჩაშენება'' რომელიც ეხება სწავლების დიფერენცირებას.

კერძოდ, ხდება იმის განსაზღვრა, თუ რა ფორმით უნდა გამოხატოს მოსწავლემ ცოდნა შესასწავლ საკითხთან/საკითხებთან დაკავშირებით. შეფასების ერთ-ერთ მიზნად განისაზღვრება სწავლების დიფერენცირება, კერძოდ მოსწავლეთა შედეგების ანალიზით, მათი დიაგნოსტირებით მიღებული ინფორმაცია შემდეგ გამოყენებული იქნება სასწავლო მასალის დიფერენცირების მიზნით.

- **სპორტი**

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა მოიყვანეს დიფერენცირებული სწავლების მაგალითები. დიფერენცირებული სწავლების პროცესისას მოსწავლეებს სთავაზობენ სწავლის იმ სტრატეგიებს, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და საჭიროებები. სკოლას გადმოგზავნილი აქვს ფიზიკური აღზრდის საგანში სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილი მოსწავლის საგნობრივი შეფასება სასწავლო წლის დასაწყისში, გრძელვადიანი მიზნები, მოკლევადიანი მიზნები და შეფასების ინდიკატორები. გადმოგზავნილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლა მომავალში განაპირობებს სსსმ მოსწავლეების ჩართულობას ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროცესში.

- **ესთეტიკური აღზრდა**

სკოლას ამ დროისთვის აქვს ნაკლებად მოქნილი მექანიზმი სწავლების დიფერენცირებასთან დაკავშირებით. აღნიშნავენ, რომ მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისას გაითვალისწინებენ ისეთი საგაკვეთილო პროცესის წარმართვას, სადაც სწავლის სწავლაზე იქნება აქცენტი გადატანილი და პროექტული სწავლების დანერგვის შემთხვევაშიც, სწავლის სწავლაზე გამახვილდება ყურადღება. სკოლა შეიმუშავებს

შეფასების რუბრიკებს, რამდენიმე ნიმუში წარმოდგენილია საბაზო საფეხურის ესთეტიკური კათედრის მასწავლებელთა ატვირთულ პორტფოლიოებში. თვითშეფასების კითხვარებს გამოიყენებენ როგორც მოსწავლეთა, ისე მასწავლებელთა მუდმივი მონიტორინგისთვის.

❖ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, კათედრის მიერ განხილულ და გაანალიზებულ იქნა სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება. ამჟამად საშუალო საფეხურზე სკოლას ჰყავს ორი სსსმ მოსწავლე. სასწავლო წლის დასაწყისში, მშობლის სურვილის შესაბამისად,
მულტიდისციპლინური გუნდი აფასებს და ადგენს ბავშვის საჭიროებებს. შეფასებისა და რეკომენდაციების მიღების შემდეგ სკოლაში დგება ისგ გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი. გუნდის შემადგენლობაში შედის ყველა საგნის მასწავლებელი, სპეცმასწავლებელი და მოსწავლის მშობელი/მეურვე. ეტაპობრივად ხორციელდება მონიტორინგი და ხდება მოსწავლეთა შეფასება. სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ხდება გადაფასდება, ხდება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლეთა ხელახალი შეფასება, რასაც გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას. გამოცდილების შესაბამისად დაიხვეწება და დაინერგება ახალი მეთოდოლოგია და სწავლების სტრატეგიები, ასევე, მოიძიებენ ახალ სასწავლო რესურსებს.

❖ საზოგადოებრივი მეცნიერებები

შეფასების რუბრიკის და კლასთან მუშაობის გეგმის, ასევე პედაგოგებთან გასაუბრების მიხედვით შესაძლებელია ვიმსჯელოთ, რომ საგნობრივი პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს სასწავლო-საგაკვეთილო პროცესში (სწავლა კეთებით; მოდელირება; უკუკავშირი; გრაფიკული სისტემები და ა.შ.);

## 2.1.2.4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

❖ მათემატიკა

სკოლამ კონტექსტ მაგალითზე დაყრდნობით წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მიემართება გრძელვადიან მიზნებს (ცნებებსა და ქვეცნებს). ერთ თემაში განხილულია სამივე ცნება და სამივე ცნებასთან მიმართებით წარმოდგენილია თუ რა უნდა შეძლოს კონკრეტულად მოსწავლემ. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუში თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების მიხედვით კონკრეტული კრიტერიუმებით. ამრიგად წარმოდგენილი დოკუმენტების/ნიმუშები საშუალებას იძლევა, რომ ვთქვათ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

❖ **სახელმწიფო ენა**

საბაზო საფეხურზე მოსწავლეები ფასდებიან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებით, გამოიყენება როგორც საკლასო, საშინაო, ასევე, შემაჯამებელი შეფასების სახეები. მოსწავლეთა შეფასება უკავშირდება არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. განმავითარებელი შეფასებით მოსწავლე ფასდება სასწავლო ერთეულის (თემის, საკითხის) სწავლის პროცესში და ფარგლებში.

❖ **უცხოური ენები**

სასკოლო სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ, რომ საშუალო საფეხურზე შეფასება მიემართება ესგ. გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს ამ მიზნების განხორციელებას. ამ საფეხურზე სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისკენ. ხოლო განმსაზღვრელი შეფასება სამ კომპონენტიანია, ის მოიცავს საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებების შედეგებს, განმსაზღვრელ ნიშანს.
დოკუმენტიდან იკვეთება, რომ სკოლა კარგად იცნობს და აქვს მზაობა გამოიყენოს ე.ს.გ_თი გაწერილი შეფასების სისტემა და ეფექტურად გამოიყენებს მას სასწავლო პროცესში გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად.

❖ **სპორტი**

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანში საბაზო საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გვაქვს მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ საბაზო საფეხურზე იყენებენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ შეფასებებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მაგალითები, სადაც მოცემული გრძელვადიანი სასწავლო მიზნებთან მიმართებით მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, განმავითარებელი კომენტარი შემდგომი პროგრესის ხელშესაწყობად, მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა და სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიერ გამოყენებული სწავლების სტრატეგიების/მეთოდების/აქტივობების ეფექტურობის მასწავლებლის თვითშეფასების რუბრიკა.

- <u>ესთეტიკური აღზრდა</u>

სკოლა აღნიშნავს, რომ ამჟამად მათი საგნობრივი კურიკულუმები ისეა შედგენილი, ნაკლებად ჩანს პირობისეული ცოდნა. ძირითადად, დეკლარატიული და პროცედურული ცოდნის მიღებას აკმაყოფილებს მოცემული საგაკვეთილო პროცესი. მომდევნო სასწავლო წელს, დაგეგმავენ სასწავლო აქტივობებს ისე, რომ პირობისეულ ცოდნაზე გამავალი უნარები გამოუმუშავონ მოსწავლეებს, რაც კომპლექსური დავალებების შესრულებით და პროექტული სწავლებით იქნება მიღწევადი.

- <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>

2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. პედაგოგების მიერ იგეგმება თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების შექმნა.

საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგები ცდილობენ, რომ მოსწავლეთა შეფასება იყოს მათთვის გასაგები და ცხადი. საშუალო საფეხურზე მოსწავლეები ფასდებიან როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებით. შეფასება ხდება როგორც მიმდინარე - საკლასო და საშინაო, ასევე შემაჯამებელი შეფასების კომპონენტების საშუალებით. ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ სწავლის პროცესიც. პედაგოგები განმავითარებელი შეფასებას იყენებენ მოსწავლის განვითარებისთვის, მისი წინსვლის ხელშესაწყობად სასწავლო ერთეულის განმავლობაში, რისთვისაც მოსწავლეს აფასებენ არა მხოლოდ საერთო კრიტერიუმებთან, არამედ

მის წინარე მიღწევებთან მიმართებაში, რათა გამოიკვეთოს, არის თუ არა წინსვლა, წინააღმდეგ შემთხვევაში იღებენ შესაბამის ზომებს მის დასახმარებლად. აქედან გამომდინარე, განმავითარებელი შეფასება არის ინდივიდუალური და ორიენტირებულია სწავლის პროცესზეა. განმავითარებელი შეფასებით მოსწავლე ფასდება სასწავლო ერთეულის (თემის, საკითხის) ფარგლებში.

- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება კურიკულუმების საფუძველზე იგეგმება, შესაბამისად პედაგოგები იზიარებენ კურიკულუმების მნიშვნელობას სასწავლო პროცესის სრულფასოვნად განხორციელების საქმეში.

## 2.1.2.5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

- **მათემატიკა**

სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა კათედრის სხდომის ოქმი, რომლის მიხედვითაც კათედრა დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინებს წინარე გამოცდილებას და მასზე დაყრდნობით შეიმუშავებს კურიკულუმს ახალი სასწავლო წლისათვის. აღნიშნულზე არის ასევე საუბარი კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიაში.

- **სახელმწიფო ენა**

სასწავლო პროცესის ხარისხიანად და ეფექტურად წარმართვისათვის სკოლა ნაწილობრივ გეგმავს იმ მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს მთელი წლის განმავლობაში. საბაზო საფეხურის ყველა მასწავლებელი სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავებს თვითშეფასების კითხვარს, გააანალიზებს საკუთარი სწავლების პროცესს, დადგენს, რა ჰქონდა დადებითი ან უარყოფითი მხარე, ეცდებიან ნაკლის გამოსწორებასა და აღმოფხვრას, რათა სასწავლო პროცესი იყოს გამართული, უხარვეზო და შესრულდეს ყოველივე ის, რაც დაგეგმეს მომავლის ამოცანებში.

- **უცხოური ენები**

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში სკოლა აპირებს სასკოლო საზოგადოებასთან კონსულტაციებით წინა წლის წარმატებული გამოცდილების გაზიარებას, სასკოლო საზოგადოების ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებას ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

❖ სპორტი

წარმოდგენილი კურიკულუმიებიდან არ ჩანს, მაგრამ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიდან და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ მასწავლებლები ყურადღებას აქცევენ წარმატებულ გამოცდილებას, წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ მომავალში ჩაატარონ უფრო სიღრმისეული წინარე გამოცდილების ანალიზი.

❖ ესთეტიკური აღზრდა

თვითშეფასების კითხვარში და მასწავლებელთა კურიკულუმებში ჩანს, რომ სკოლა წინა წელს ახორციელებდა კომპლექსურ დავალებებს და ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას ამ დავალებებით ახერხებდა. მუსიკის და ხელოვნების პედაგოგებმა ინტერვიუს პროცესში დაადასტურეს აღნიშნული და წელს მეტი კომპლექსური დავალების განხორციელება აქვთ დაგეგმილი, რაც ასევე ასახულია მომავალი წლის სასწავლო გეგმაში. კათედრამ აღნიშნა, რომ აქვთ გამოცდილება საგანთა შორის ინტეგრირებული გაკვეთილების და გააგრძელებენ ამ პრაქტიკას. სკოლის თვითშეფასების და მეთოდოლოგიურ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სასწავლო პროცესს წარმართავენ კონსტრუქტივიზმის ხუთ საგანმანათლებლო პრინციპზე დაფუძნებით, როგორიცაა, ა) აქტიური სწავლა (მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურება); ბ) წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ახალი ცოდნის კონსტრუირება; გ) სწავლის სწავლა; დ) ცოდნის სამი კატეგორია; ე) ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

❖ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესის ხარისხიანად და ეფექტურად წარმართვისათვის სკოლის საბუნებისმეტყველო კათედრა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ნაწილობრივ ითვალისწინებს იმ მიზნებსა და ამოცანებს, რასაც უნდა მიექცეს მეტი ყურადღება, რისი მიღწევაც უნდა განხორციელდეს მთელი წლის განმავლობაში.

ამისთვის ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას. საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავებს თვითშეფასების კითხვარს, გააანალიზებს საკუთარი სწავლების პროცესს, დაადგენს, რა ჰქონდა დადებითი და უარყოფითი, ძლიერი და სუსტი, გეგმავენ ნაკლის გამოსწორებასა და აღმოფხვრას, სასწავლო პროცესის გამართვას, რათა მიაღწიონ წინასწარ დაგეგმილ მიზნებს, მიიღონ ხარისხიანი სწავლის შედეგები.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 საჯაროს სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლის თვითშეფასება;
- დაწყებითი საფეხურის კათედრის ოქმი.
- საგნობრივი ჩარჩო დოკუმენტები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2 კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.2.1.1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას**

❖ მათემატიკა

სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალების ნიმუშები. წარმოდგენილი დავალებები არის ცხოვრებისეული სიტუაციის ამსახველი, რომლის მიხედვითაც მოსწავლეს უწევს პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ალტერნატივების შემუშავება და არჩევანის გაკეთება, რაც თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლის მოტივაციას და მის აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვას.

❖ სახელმწიფო ენა

საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა აქტიური ჩართულობისთვის ჩატარდა კვლევა „მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების საშუალებები უმცროსკლასელებში, მოსწავლეთა დაბალი მოტივაციით გამოწვეული პრობლემები და მისი გაუმჯობესების გზები“ ამ კვლევის საფუძველზე მიღებული რეკომენდაციები გაიცნეს საბაზო საფეხურის პედაგოგებმა კათედრის სხდომაზე. მოსწავლეთა ჩართულობა კურიკულუმით დასტურდება.

❖ **უცხოური ენები**

ვინაიდან კათედრას აქვს კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობის გამოცდილება, აგრეთვე კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გაწერილი აქვთ კომპლექსური დავალებების პირობები იმგვარად, რომ ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, სასწავლო პროცესი აძლევს მოსწავლეს შანსს აქტიურად ჩაერთოს პროცესში. კომპლექსური დავალებების პირობა ხშირ შემთხვევაში იძლევა შესაძლებლობას მოსწავლე არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესის არამედ შემოქმედიც, მას უწევს პრობლემის გადაჭრა, სტრატეგიების გააზრება და სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა(მაგ. პოსტერი, ინტერვიუ, პრეზენტაცია, დიალოგი და სხვა...)
ასევე გასაუბრების დროს პედაგოგთა მხრიდან გაჟღერდა რომ მათთვის უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობა, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი კურიკულუმი. კათედრას მიეცა შემდეგი შინაარსის რეკომენდაცია, იმისათვის რომ კურიკულუმი გახდეს უფრო ,,მდიდარი'' საჭიროა კათედრამ მასში ჩააშენოს პროექტული ტიპის დავალებები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ნიმუშები და სხვა, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს ითანამშრომლონ თანატოლებთან, თანამშრომლობის უნარების განვითარება კი ხელს უწყობს მოსწავლეებს თავად გამოიჩინონ ინიციატივა და უფრო აქტიურად გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები, ვინაიდან ინიციატივების წახალისება გაზრდის მათ მოტივაციას.
თავისთავად კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობა მოითხოვს ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, ანუ იგი აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს, შესაბამისად ვასკვნით, რომ კათედრის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესი საშუალებას მისცემს მოსწავლეს იყოს პროცესის აქტიური მონაწილე და ცენტრალური ფიგურა.

❖ **სპორტი**

სკოლის საბაზო საფეხურის კურიკულუმები და მათში გაწერილი როგორც პრაქტიკული (მძლეოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ლაშქრობა) და თეორიული (ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორია, ოლიმპიური თამაშები) შინაარსის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

❖ **ესთეტიკური აღზრდა**

სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ესთეტიკური კათედრის საგნობრივ პორტფოლიოებში არ ატვირთულა პროექტის გეგმა, თუმცა ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ ქმნიან და ახორციელებენ სასწავლო პროექტებს. შეისწავლიან პროექტების სამოქმედო გეგმის გაწერას. პროექტული სწავლებისას მოსწავლეებს ეძლევათ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები. სკოლაში საბაზო საფეხურზე ტარდება გასვლითი ხასიათის ექსკურსია-გაკვეთილები, (მუზეუმებში, გალერეებში, საკულტო ძეგლების მონახულება.) რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას, ასევე მოსწავლეების შინაგანი მოტივაციის ზრდას, უყალიბდებათ პოზიტიური დამოკიდებულებები და იზრდება მათი აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. მოსწავლეები ინფორმაციის დამუშავებას და ცოდნად გარდაქმნას, წინარე ცოდნის საშუალებით ახორციელებენ, რაც განაპირობებს შინაგანი ძალების გააქტიურებას.

❖ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესში ნაწილობრივ უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ავტონომიურობა, აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა, მათი არჩევანის თავისუფლების ხარისხი. მოსწავლეებისათვის ხელშეწყობა ხდება იმ მიზნით, რომ ისინი ჩართული იყვნენ სასწავლო პროცესში, აგრეთვე, ნებაყოფლობით, აქტიურად და ხალისით მონაწილეობდნენ სასკოლო ცხოვრებაში, რისთვისაც პედაგოგები ითვალისწინებენ მათ შესაძლებლობებს, ინტერესებსა და საჭიროებებს. სასწავლო პროცესი იგეგმება იმგვარად, რომ მოსწავლეები ჩართული იყვნენ სასწავლო პროცესში.

❖ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

პედაგოგების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების, დოკუმენტების და გასაუბრების შედეგების მიხედვით დგინდება, რომ კომპლექსური დავალებების (შუალედური სასწავლო მიზნები) ფარგლებში შექმნილი პროდუქტები მოითხოვენ მოსწავლეების აქტიურ და შემოქმედებითი უნარების წარმოჩენას, მათ წინარე ცოდნის გააქტიურებას.

**2.2.1.2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით**

- **მათემატიკა**

სკოლამ წარმოადგინა ერთ-ერთი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის გზა/მატრიცა. თვითონ კომპლექსური დავალების პირობით მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის მათთვის ნაცნობ, აზრიან და შინაარსიან კონტექსტ, რაც „აიძულებს" მოსწავლეს გადაიქცეს შემეცნების სუბიექტად და უაქტიურებს შინაგან ძალებს. კომპლექსური დავალების გადასაჭრელად მოსწავლეს უწევს გადაჭრას პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას მოვლენები მეცნიერული თვალსაზრისით, წარმოადგინოს პერფომანსი. ამისთვის კი უპირატესია წინარე ცოდნის გააქტიურება და მასზე ახალი ცოდნის, ახალი გამოცდილების დაფუძნება. სკოლის მიერ წარმოდგენილი დავალება და აღწერილი სწავლა/სწავლების პროცესი საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ დავალებების შესრულების გზაზე მოსწავლეს მოუწევს წინარე ცოდნის გახსენება, მასზე ახალი გამოცდილების დაშენება და ძველი და ახალი ცოდნის გაერთიანება/გამთლიანება.

- **სახელმწიფო ენა**

საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

- **უცხოური ენები**

ცოდნის კონსტრუირებისთვის მნიშვნელოვანია თემატურად სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი. თემა ეს არის მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. ამასთანავე, თემა უნდა წარმოადგენდეს მოსწავლისათვის აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლის შემეცნების სუბიექტად გადაქცევისა და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის შესწავლიდან, ასევე

გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ კათედრას გააზრებული აქვს თემატური დაგეგმვის მნიშვნელობა, ჩანს რომ თემების გაწერის დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკი, მათი მზაობა და ინტერესები. ასევე შუალედური მიზნის დოკუმენტაციაში მოცემულია კონტექსტ მაგალითები, რომელიც საშუალებას იძლევა ნაცნობ კონტექსტზე დაყრდნობით მოსწავლემ მიიღოს ახალი ცოდნა და გამოცდილება. ზოგადად კომპლექსური დავალებების სპეციფიკა იძლევა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას და ამგვარი ტიპის დავალებები მრავლადაა წარმოდგენილი მომავალი წლის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში. კათედრას მიეცა რეკომენდაცია, რომ დაგეგმონ და განახორციელონ პროექტები, არაფორმალური აქტივობები იმგვარად, რომ ნაცნობ კონტექსტში მოხდეს ახალი ინფორმაციის მიწოდება, ნაცნობი თემატიკის ირგვლივ ახალი ცოდნის კონსტრუირება.

❖ <u>სპორტი</u>

კურიკულუმებიდან არ ჩანს, მაგრამ ინტერვიუზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრინციპებით ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. ასევე ეს ჩანს კომპლექსური ტიპის დავალებებში, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ მუშაობისას პროცესში ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

❖ <u>ესთეტიკური აღზრდა</u>

საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რაც წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას. მოსწავლეები ინფორმაციის დამუშავებას და ცოდნად გარდაქმნას, წინარე ცოდნის საშუალებით ახორციელებენ, რაც განაპირობებს შინაგანი ძალების გააქტიურებას. კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირება და დამუშავება. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას უწევთ მათთვის ნაცნობი პრობლემის გადაჭრა, არსებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება, იდეების გენერირება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა.

❖ <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესში ნაწილობრივ უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. სასწავლო პროცესი ხორციელდება წინარე ცოდნის გათვალისწინებით.

საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგები ყველა გაკვეთილზე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ცოდნას ახალი მასალის მიწოდებისას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმის შედგენისას, კომპლექსური დავალებების შერჩევისას.

❖ <u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>

<u>2.2.1.3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე</u>

❖ <u>მათემატიკა</u>

სკოლის მიერ წარმოდგენილი მატრიცა ისეა აგებული, რომ მოსწავლეს უწევს მუშაობა კლასში მასწავლებლის ზედამხედველობით სწავლის სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით, ასევე არის შემთხვევები, როდესაც მოსწავლეს დამოუკიდებლად უწევს მასალის დამუშავება უკვე ნაცნობი აქტივობების გამოყენებით. გარდა ამისა კომპლექსური დავალების წარდგენისას მოსწავლეს უწევს საუბარი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში გავლილ გზაზე, სადაც რათქმაუნდა აღწერს როგორ იმუშავა და რა იყო ამ პროცესში მისთვის მნიშვნელოვანი. შესაბამისად შეიძლება ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

❖ <u>სახელმწიფო ენა</u>

საბაზო საფეხურზე დაგეგმილი აქტივობები ( კომპლექსური დავალებები, სასკოლო პროექტი) მიზნად ისახავს მოსწავლეთა მიერ სწავლის სხვადასხვა სტრატეგიის დაუფლებას. სასკოლო პროექტის ანალიზში კარგად ჩანს, რომ პროექტის საშუალებით მოსწავლე ივითარებს სწავლის მართვის უნარ ჩვევებს : ცოდნათა კომბინირებულად გამოყენების უნარ-ჩვევები, ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირება, ერთი და იმავე საკითხის სხვადასხვა ინტერპრეტირების შესაძლებლობის განვითარება, გუნდური

მუშაობის უნარ-ჩვევების დაუფლება. სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე(მეტაკოგნიცია).

❖ **უცხოური ენები**

კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობა მოითხოვს მოსწავლის მეტაკოგნოციური უნარების განვითარებას, მასწავლებლები ხშირად მიმართავენ სხვადასხვა ტიპის ჩეკლისტებს, მოსწავლეთა თვითრეფლექსიას და სხვა... წარმოდგენილი კურიკულუმით ვადგენთ, რომ კათედრა მუშაობს კომპლექსური ტიპის დავალებებზე, რაც თავის თავში მოიაზრებს სწავლის სწავლას. ასევე გასაუბრების დროს კათედრის წარმომადგენლების მხრიდან გაჟღერდა რომ ისინი იყენებენ მეტაკოგნიციის განსავითარებელ სტრატეგიებს, როგორიცაა ჩეკლისტების შევსება, მოსწავლის ,,მსწავლელის ტიპის'' იდენტიფიცირება(აუდიო, კინესტეტიკი, ვიზუალი და სხვა...) და შემდგომა ამის გათვალისწინება სწავლა-სწავლების პროცესში. გასაუბრების დროს კათედრას მივეცი რეკომენდაცია, რომ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი მოხდეს ამგვარი სტრატეგიების ჩაშენება, რათა კურიკულუმი გახდეს უფრო მდიდარი და მოქნილი.

❖ **სპორტი**

სწავლა-სწავლების პროცესში სკოლაში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში (მაგ., სპორტის სხვადასხვა სახეობებში, ლაშქრობებში, მოძრავ თამაშებში), რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.

❖ **ესთეტიკური აღზრდა**

ესთეტიკის კათედრის პედაგოგთა ინტერვიუდან, წარმოდგენილი დოკუმენტაციით: პორთფოლიოები, სკოლის სასწავლო გეგმა და მეთოდოლოგია-ში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რომლის მიზანია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი კომპეტენციები და ღირებულებები. კომპლექსური დავალებები ისეა აგებული, რომ მოსწავლეს დამოუკიდებლად შეუძლია დავალების პირობის განსაზღვრა, გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის გამოვლენა-მობილიზება; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის დადგენა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების გათავისება; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების

გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა. სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, წახალისებულია მოსწავლის ინიციატივები. მასწავლებლის პორთფოლიოში წარმოდგენილ მუსიკის მე 7, მე-8, მე-9 კლასების კურიკულუმებში ჩანს კომპლექსური დავალების ისეთი იდეები, სადაც პედაგოგს დასჭირდება მრავალფეროვანი სტრატეგიების და აქტივობების შემუშავება, დაგეგმილი დავალებების განსახორციელებლად, რაც მოსწავლეს შესძენს ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას. მოსწავლე თავად მოახდენს შესრულებული დავალების ანალიზს, მიიღებს სათანადო ზომებს საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად; განსაზღვრავს დროის მენეჯმენტს, რაც სჭირდება დავალების შესრულებას და პრეზენტირებას.

❖ <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგები სასწავლო პროცესში ნაწილობრივ აკეთებენ აქცენტს სწავლის სწავლაზე (მეტაკოგნიცია). თუმცა, მომავალში ისინი დაგეგმავენ ისეთ გაკვეთილებსა და აქტივობებს, სადაც უფრო მეტი ყურადღება მიექცევა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. შექმნიან, დანერგავენ და მონიტორინგს გაუწევენ შესაბამის შეფასების რუბრიკებს - თვითშეფასების რუბრიკებს როგორც მოსწავლისათვის, ასევე მასწავლებლებისათვის, დანერგავენ პროექტული სწავლებას, რომელშიც სწავლის სწავლას მიენიჭება უპირატესობა.

❖ <u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>

პედაგოგები ორიენტირებულები არიან მოსწავლეთა სწავლის სწავლაზე და მათ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე.

<u>2.2.1.4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)</u>

❖ <u>მათემატიკა</u>

სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლის მიერ შესასრულებელი დავალებების პირობები (კომპლექსური დავალება) მოსწავლისგან მოითხოვს როგორც დეკლარაციული და პროცედურული ცოდნის დეკლარირებას ასევე ფუნქციური ცოდნის დემონსტრირებას. შესაბამისად, სკოლა, მსგავსი დავალებების შეთავაზებით შეძლებს რომ სასწავლო პროცესი დააფუძნოს ცოდნის სამივე კატეგორიას.

- **სახელმწიფო ენა**

საბაზო საფეხურის კლასებში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე(დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული). 2023-2024 სასწავლო წლისთვის ისეა დაგეგმილი სასწავლო პროცესი კომპლექსური დავალებებითა და პროექტებით, რომ ცოდნის სამივე კატეგორია და, განსაკუთრებით, კი პირობისეული მნიშვნელოვნად იყოს ჩართული სასკოლო ცხოვრებაში.

- **უცხოური ენები**

სასკოლო სასწავლი გეგმაში ვკითხულობთ, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეებში პროცედურული და პირობისეული ცოდნის განვითარებაზე, ასევე კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტიდან ჩანს, რომ კომპლექსური ტიპის დავალებების პირობა იმგვარადაა შედგენილი, ის თავის თავში მოიცავს ანალიზს, შედარებას, შეფასებას და სხვა მაღალ სააზროვნო უნარებს. გასაუბრების დროს კათედრის წარმომადგენლების მხრიდან გაჟღერდა, რომ დეკლარატიული ცოდნა, მაგალითად ფაქტების, გრამატიკული წესების ცოდნას დიდი მნიშვნელობა. ზოგადად ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებსა და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში. ვინაიდან ჩვენ მტკიცებულებების სახით არ გვაქვს წარმოდგენილი ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ამ ეტაპზე საკმარისად მივიჩნევ, სასკოლო სასწავლო გეგმის ნარატივში გაწერილ გეგმას და გასაუბრების დროს გაჟღერებულ მზაობას, ასევე სასკოლო კურიკულუმის მიხედვით იკვეთება პირობისეული ცოდნის განვითარებაზე გაკეთებული აქცენტები (იგულისხმება პირობის ფორმულირება)

- **სპორტი**

ფიზიკური აღზრდის კურიკულუმებში არ არის მოცემული ინფორმაცია იმ აქტივობებზე, სადაც გამოჩნდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). მაგრამ ეს ჩანს კომპლექსური დავალებების მაგალითებში. ასევე, ინტერვიურების დროს გამოჩნდა მასწავლებლის მზაობა, რომ ჩავთვალოთ ამ კრიტერიუმის შესაბამისობა.

- **ესთეტიკური აღზრდა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუდან და პორთფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);რაც კარგად არის ასახული საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსურ დავალებებსა და არაფორმალურ აქტივობებში. ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საკითხის გააზრებას, არსობრივ წვდომასა და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურ გამოყენებას .

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში საბუნებისმეტყველო საგნებში სასწავლო პროცესი ნაწილობრივ არის ორიენტირებული ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). ამჟამად გაკვეთილებზე უფრო მეტი ყურადღება ექცევა ცოდნის დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნას, გაკვეთილებიც სწორედ ამ მიმართულებით იგეგმება და ტარდება. სასწავლო პროცესი ნაკლებადაა ორიენტირებული პირობისეულ ცოდნაზე. 2023-2024 სასწავლო წლისთვის იგეგმება სასწავლო პროცესის, გაკვეთილების, ყველა აქტივობის, კომპლექსური დავალებების და პროექტების წარმართვა ისე, რომ ცოდნის ეს სამივე კატეგორია, განსაკუთრებით კი პირობისეული, მნიშვნელოვნად იყოს ჩართული სასკოლო ცხოვრებაში.

- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

კურიკულუმის დოკუმენტის მიხედვით პედაგოგებს განხორციელებული აქვთ კომპლექსური დავალებები, რაც იძლევა იმისი დასკვნის გაკეთებას, რომ გრძელვადიანი სასწავლო მიზნებისკენ მიმავალი შუალედური სასწავლო მიზნები, კრიტერიუმების დამუშავება აუცილებლად მოითხოვს სტატიკურ (დეკლარატიული) და დინამიურ (პროცედურული და პირობისეული) ცოდნათა ჩამოყალიბებას. მოსწავლეები ეტაპობრივად აგებენ ცოდნას პედაგოგების დახმარებით (სკაფოლდინგი).

**2.2.1.5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

- **მათემატიკა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მატრიცაზე დაყრდნობით, შესაძლებელია ითქვას, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს გაიხსენოს ნასწავლი მასალა, მასზე დააშენოს ახალი ცოდნა და მოახდინოს გამთლიანებული ცოდნის ტრანსფერი ახალ სიტუაციაში, პრაქტიკული ამოცანის გადაჭრისას.

❖ **სახელმწიფო ენა**

სკოლა 2019 წლის სექტემბრიდან ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში" და განხორციელებული აქვთ კომპლექსური დავალებები, რომლებიც ეფუძნება მოსწავლის ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.
სწორედა ამ მიზნით მე-9 კლასში ჩატარდა დებატი აქტუალურ თემაზე, რომ ბავშვთა უფლებების დაცვა თითოეული მოქალაქის ვალია, ხოლო საბაზო საფეხურზე კი ხორციელდება ინტეგრირებული სასკოლო პროექტი სახელწოდებით "ჩვენ და ჩვენი უფლებები". მომდევნო სასწავლო წლისთვის ვგეგმავთ გავაუმჯობესოთ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთ დაკავშირება და დავგეგმოთ სასკოლო პროცესი ისე რომ ეფუძნებოდეს კონსტრუქტივიზმის ხუთ საგანმანათლებლო პრინციპს.

❖ **უცხოური ენები**

კურიკულუმის მეთოდოლოგიის განვითარების დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმის დიზაინზე მუშაობის დროს განისაზღვრება, რომ კურიკულუმში უნდა მოხდეს არაფორმალური აქტივობების, პროექტების, ინტეგრირებული გაკვეთილების, კომპლექსური ტიპის დავალებების ჩაშენება, რაც კურიკულუმს უფრო ,,მდიდარს' 'გახდის. წარმოდგენილი ჩარჩო დოკუმენტი მეტწილად პასუხობს მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს . გასაუბრების ეტაპზე კათედრას მიეცა რეკომენდაცია, რომ აქტიურად განახორციელონ პროექტები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება ე.წ Case study, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს მოახდინონ ცოდნათა ურთიერთ დაკავშირება, რაც თავის მხრივ პროცედურული და პირობისეული ცოდნის ხელშეწყობას გულისხმობს.

❖ **სპორტი**

კურიკულუმებში არ არის გაწერილი მომავალი სასწავლო წლისთვის ინტეგრირებული დავალებები, მაგრამ ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. სკოლის ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას.

- ❖ <u>ესთეტიკური აღზრდა</u>

პორთფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კომპლექსური დავლებები და სხვადასხვა სასკოლო პროექტები ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რაც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას, გამოწვევებთან გამკლავებისა და პროდუქტის შექმნისას. ყოველივე ეს ხელს უწყობს ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნას.

- ❖ <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესში ნაწილობრივ უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. სკოლა 2019 წლის სექტემბრიდან ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში“ და შესაბამისად, საბუნებისმეტყველო საგანში, შესაძლებლობის ფარგლებში, განხორციელებულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც დაფუძნებულია მოსწავლის ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. მომდევნო სასწავლო წლისთვის დაგეგმილია სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების გაუმჯობესების მიზნით სასწავლო პროცესის დაგეგმვა კონსტრუქტივიზმის ხუთ საგანმანათლებლო პრინციპზე დაფუძნებით:

1. აქტიური სწავლა, მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურება.
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით
3. სწავლის სწავლა
4. ცოდნის სამი კატეგორია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კომპლექსური დავალებების ნიმუშები;
- თვითშეფასების კითხვარი;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- მატრიცა.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.2.2.1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

- **მათემატიკა**

სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ ჩარჩო დოკუმენტებში თემები ჩაშლილია საკითხებად, თითოეულ თემასთან მიმართებით მუშავდება ყველა (სამივე) სამიზნე ცნება. რიგ შემთხვევაში სკოლას განსაზღვრული აქვს კონტექსტ მაგალითიც. ამრიგად სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე.

- **სახელმწიფო ენა**

საგნობრივ კურიკულუმებში ასახული კომპლექსური დავალებები გულისხმობს თითოეული საგნობრივი საკითხის განხილვას კონკრეტული სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისების საფუძველზე. ეს პედაგოგს მისცემს საშუალებას შეაფასოს მოსწავლის ცოდნა და დამოკიდებულება კონკრეტული სამიზნე ცნების კონტექსტში.

- **უცხოური ენები**

სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი, სადაც გაწერილია თემების მიხედვით კომპლექსური დავალებები, ჩარჩო დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი საგნის სამიზნე ცნებები. მაგალითად უცხო ენის სამიზნე ცნებებია საბაზო საფეხურზე ჟანრი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები და კულტურათა შორის დიალოგი. აღნიშნული სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება ნაცნობ კონტექსტზე დაფუძნებით, მკვიდრი წარმოდგენების რეალიზების გზით. კურიკულუმების შესწავლით დგინდება, რომ კათედრას მკაფიოს აქვს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს ( სწავლის მექანიზმს) შორის. ამას მოწმობს ერთი მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი

კურიკულუმი, და მეორეს მხრივ კათედრის ხელმძღვანელთან გასაუბრება, სადაც გამოიკვეთა რომ სკოლას აქვს მზაობა სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეს მისცეს განმავითარებელი შეფასება ცნებასთან და მის მკვიდრ წარმოდგენასთან მიმართებით.

- **სპორტი**

სკოლის ფიზიკური აღზრდის საბაზო საფეხურის კომპლექსური დავალებების მაგალითები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნებების და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში.

- **ესთეტიკური აღზრდა**

მასწავლებლების პორტფოლიოებში, კურიკულუმის ჩარჩოებში და ინტერვიუებიდან გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
განსაკუთრებით მუსიკის კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია, თუ რა მიზანს ემსახურება და რა შედეგზეა ორიენტირებული მითითებული საგნის საკითხების შესწავლა. სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს.

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ნაწილობრივ უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით - თითოეული კომპლექსური დავალება ნაწილობრივ ითვალისწინებს ყველა სამიზნე ცნებასა და მკვიდრ წარმოდგენას. ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები იყოს იმდენად მრავალფეროვანი, რომ შესაძლებელი გახდეს ყველა სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისება.

- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

სასწავლო პროცესის განხორციელება სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე ხდება, რაც დასტურდება კურიკულუმში არსებული თემების, საკითხების და კომპლექსური დავალებების არსებობით. კომპლექსური დავალებების დანერგვა უზრუნველყოფს კონსტრუქტივისტულ მიდგომას სწავლების პროცესში.

**2.2.2.2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას**

- **მათემატიკა**

სკოლის პრიორიტეტებში ერთ - ერთია მოსწავლეთა ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა, შესაბამისად, სკოლა, საგნობრივი კათედრა, ზრუნავს მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. მასწავლებლის მხრიდან კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარება მოსწავლეებთან და მათთვის სასიამოვნო და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა წარმოადგენს მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის დაგეგმვა/შეფასება/ მონიტორინგის და თვითშეფასების შემადგენელ ნაწილს. სკოლისთვის მნიშვნელოვანია არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის ვალდებულება, არამედ მოსწავლის ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა, რისთვისაც მათემატიკის კათედრის მიერ გამოყენებული იქნება შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა, რომელიც მუშავდება და რომელიც გამოკვეთავს კონკრეტულ თემასთან მიმართებით მოსწავლის კონკრეტულ საჭიროებებს რაც ხდება შემდგომში მასწავლებლის მხრიდან პროცესის დაგეგმვის საფუძველი. სკოლა ორიენტირებულია ასევე დიფერენცირებულ დავალებების შეთავაზებაზე, რომელიც ისევ და ისევ მოსწავლის საჭიროებებზე ორიენტირებას ისახავ მიზნად. მასწავლებლების მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდოლოგია ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალიზაციას და თვითრეგულაციას. მასწავლებელი აკვირდება მოსწავლის აქტივობას კომპლექსურ დავალებასთან ასოცირებულ სასწავლო რესურსებზე მუშაობის პროცესში და აანალიზებს, თუ რამდენად უზრუნველყოფს მის მიერ სამიზნე ცნების კონსტრუირების მიზნით განხორციელებული აქტივობები ხელს მოსწავლის აღიარებას, რამდენად დასჭირდა მოსწავლეს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში დაფიქრებულიყო თანასწორობის, ტოლერანტობის, სხვა ადამიანების ღირსების დაფასების აუცილებლობაზე , გამომდინარე აღნიშნულიდან შეიძლება ითქვას, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

- **სახელმწიფო ენა**

საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ამისთვის საბაზო საფეხურზე კვირაში ერთი გაკვეთილი განკუთვნილია კლასის საათისთვის, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებას, გაააქტიურებენ ისეთ თემებს, როგორიცაა: ვართ თუ არა ტოლერანტები, რა არის მეგობრობა, როგორ ვმართოთ ემოციები, ბულინგი, ადამიანის დახმარება, ოჯახი და ა. შ.

- **<u>უცხოური ენები</u>**

სასკოლო სასწავლო გეგმიდან და წარმოდგენილი კურიკულუმიდან ირკვევა, რომ კათედრა ახორციელებს კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც თავის თავში მოიაზრებს მოსწავლის მხრიდან რაიმე ტიპის პროდუქტის შექმნას. ამ პროდუქტზე მუშაობის პროცესში ხშირად მოსწავლეს უწევს თანამშრომლობა თანატოლებთან, ხდება თვითშეფასება და ურთიერთშეფასება, რა დროსაც ვითარდება კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, მოსწავლეს უჩნდება თვითრეფლექსიის უნარები. სოციალური ურთიერთობებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების უკეთ განვითარების მიზნით კათედრას მიეცა რეკომენდაცია, რომ დაგეგმოს კლასგარეშე აქტივობები არაფორმალურ გარემოში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, რომელიც მოსწავლისგან მოითხოვს ფსიქო-ემოციურ ჩართულობას, მოხდეს შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებების იმგვარად მოდიფიცირება, რომ ის მოერგოს კონკრეტულად სკოლას, თემს და მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

- **<u>სპორტი</u>**

კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ბავშვები მონაწილეობას ღებულობენ სასკოლო ფესტივალებში, სასკოლო კონფერენციებში, მოძრავ თამაშებში. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

- **<u>ესთეტიკური აღზრდა</u>**

პორთფოლიოებში წარმოდგენილი დავალებები ეხმარება მოსწავლის პიროვნულ სოციო-ფსიქოლოგიურ განვითარებას. ასევე, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს არაფორმალურ განათლებას ხელოვნებისა და მუსიკის წრეების სახით (საჭიროების შემთხვევაში), ახორციელებს სოციალურ პროექტებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას, განვითარებას, ემოციების მართვას. მოსწავლეებს უყალიბდებათ ღირებულებათა სისტემა. ეჩვევიან გუნდურ მუშაობას, ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს, უყალიბდებათ პასუხისმგებლობა და ემპათია.

3. შეფასების ფორმები , დონეები და რუბრიკები მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, ასევე კათედრას წარმოდგენილი აქვს საბაზო საფეხურის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კომენტარებით და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, ქულობრივი შეფასებით და კრიტერიუმებით. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას იყენებენ განმავითარებელ შეფასებას სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე, სტანდარტის შედეგებზე და სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობით. განმსაზღვრელი შეფასების შექმნისას ხელმძღვანელობენ სამიზნე ცნებების დამუშავებაზე მორგებული შაბლონით (ახსნა, ამოცნობა, შეფასების მიხედვით).

- ❖ <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში საგნობრივი კონტექსტები ნაწილობრივ ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გაკვეთილებზე ხდება ბავშვების მიერ სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივად განვითარება, პიროვნულად და ფსიქო-სოციალურად ჩამოყალიბება, რაც მათ ხელს უწყობს გარემოსთან და გარშემომყოფებთან ურთიერობის დამყარებაში. ამ საკითხთან დაკავშირებით მოხდება საბუნებისმეტყველო კათედრაზე შესაბამისი გეგმის შემუშავება.

<u>**2.2.2.** 3 . შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე</u>

- ❖ <u>მათემატიკა</u>

სკოლამ, გარდა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკისა წარმოადგინა ასევე დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც მასწავლებელი აკვირდება მოსწავლის აქტივობას კომპლექსურ დავალებასთან ასოცირებულ სასწავლო რესურსებზე მუშაობის პროცესში და აანალიზებს, თუ რამდენად უზრუნველყოფს მის მიერ სამიზნე ცნების კონსტრუირების მიზნით განხორციელებული

აქტივობები ხელს მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას/მის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე**

- **სახელმწიფო ენა**

საბაზო საფეხურზე შეფასების სისტემა არის განმავითარებელი და განმსაზღვრელი - მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობზე, საჭიროებებზეა მორგებული და გათვლილი.

- **უცხოური ენები**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ, რომ მომდევნო სასწავლო წელს სკოლა გამოიყენებს ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. ამავე დოკუმენტში წარმოდგენილია შეფასების ორივე ტიპის აღწერა მიზნების, ამოცანების, კრიტერიუმებისა და მათი შეფასების ფორმების მიხედვით. იქიდან გამომდინარე, რომ შეფასება გულისხმობს არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნის შეფასებას არამედ ფასდება მისი ქცევა, შეხედულებები, დამოკიდებულებები, წარმოდგენები, ღირებულებები და ზოგადად პიროვნება, რაც მრავალმხრივი პროცესია. სკოლას გააზრებული აქვს, რომ ეს არის მრავალმხრივი პროცესი და ძალიან მნიშნელოვანი წარმატებული მოქალაქის აღსაზრდელად. სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მიერ შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს, რომელიც აუცილებელ კომპონენტებად მიიჩნევს დიფერენცირებას და მოსწავლის დიაგნოსტირებას განვითარების ყველა სფეროს ( კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით (ჰოლისტური).
კათედრა, როგორც მთლიანად სკოლა იზიარებს შეფასების სისტემის მნიშვნელობას და მის როლს მოსწავლის განვითარების პროცესში.

- **სპორტი**

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე მასწავლებლები იყენებენ მხოლოდ ზეპირსიტყვიერ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც საჭიროებს დახვეწას და რომლის მზაობასაც გამოხატავს სკოლა. ასევე, ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. ამისათვის მასწავლებლები აპირებენ შეფასების სახვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებას და, მათ შორის, მოსწავლეთა თვითშეფასებას, რაც წარმოდგენილია დანართების სახით.

- **ესთეტიკური აღზრდა**

შეფასების ფორმები , დონეები და რუბრიკები მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, ასევე კათედრას წარმოდგენილი აქვს საბაზო საფეხურის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კომენტარებით და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, ქულობრივი შეფასებით და კრიტერიუმებით. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას იყენებენ განმავითარებელ შეფასებას სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე, სტანდარტის შედეგებზე და სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობით. განმსაზღვრელი შეფასების შექმნისას ხელმძღვანელობენ სამიზნე ცნებების დამუშავებაზე მორგებული შაბლონით (ახსნა, ამოცნობა, შეფასების მიხედვით).

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა ნაწილობრივ არის ორიენტირებული მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სასკოლო საზოგადოების მიერ ნაკლებად არის გააზრებული, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. საბუნებისმეტყველო საგნებში მოსწავლეები ფასდებიან როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებით. მოსწავლეთა შეფასებისას ნაკლებად ხდება მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობისა და საჭიროებების გათვალისწინება. ახალი სასწავლო წლიდან მასწავლებლები შეფასებისას გაითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის ნიჭს და თავისებურებას, ისინი მოტივირებული არიან ხელი შეუწყონ მოსწავლეებს ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში.

### 2.2.2. 4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

- **მათემატიკა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და სკოლის დირექტორის N2-53 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტის ანალიზი საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა, რომლსაც სკოლა გამოიყენებს იქნება ვალიდური, შეფასების ძირითად მიზნებთან შესაბამისი, ცნობილი სასკოლო საზოგადოებისთვის (კომპლექსური დავალების ბარათების პირობების წინასაწარ გაცნობა

შეფასების კრიტერიუმებით).ზუსტად შერჩეული გასაზომი კრიტერიუმები უზრუნველყოფს მათ სანდოობას, კონკრეტულობა კი ხელს შეუწყობ მის ობიექტურობას და სამართლიანობას.

- **სახელმწიფო ენა**

წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ მაძლევს საშუალებას განვსაზღვრო შეფასების სისტემის ვალიდურობა, გამჭვირვალობა სანდოობა ,ობიექტურობა.

- **უცხოური ენები**

სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია, რომ სკოლა სრულად იზიარებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს, მეთოდებს, მოსწავლის შეფასების მიზანს, შეფასების ტიპები, აკადემიური მიღწევის დონეებს და საგნის სემესტრული ქულის შემადგენელი კომპონენტებს, განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობებს, სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულის გამოანგარიშების წესებს, კლასისა და საფეხურის დაძლევას, გაცდენები და შეფასება, გამოცდის ტიპებს, მოსწავლის აკადემიური მიღწევებს. მომდევნო სასწავლო წელს სკოლა ირჩევს შეფასების სამ კომპონენტიან სისტემას საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი ქულების გამოყენებით მოხდება განმსაზღვრელი შეფასება საბაზო და საშუალო საფეხურზე, ხოლო დაწყებით საფეხურზე 1-4 კლასში განმავითარებელი შეფასება, მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან და მე-6 კლასში განმსაზღვრელი შეფასება.
კათედრა შეიმუშავებს შეფასების რუბრიკებს სხვადასხვა კომპლექსური ტიპის დავალებების შესაფასებლად, და ამ პრინციპების შეფასების დროს იხელმძღვანელებს შემდეგი პრინციპებით: შეფასება უნდა იყოს სანდო, რაც ნიშნავს რომ შეფასება არის მდგრადი და რეალისტური, ის სანდოა ა მიუკერძოებელი. შეფასება უნდა იყოს ვალიდური, - რაც გულისხმობს იმას, რომ ვაფასებთ, ზუსტად იმას, რის შეფასებაც გვაქვს განზრახული. გამჭვირვალობა ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ჩვენმა მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. მათ ზუსტად აქვთ გააზრებული რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მოსწავლეების პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა.
დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრა არა მხოლოდ იცნობს შეფასების პრინციპებს, არამედ აქვს მზაობა ამ პრინციპების პრაქტიკულად გამოყენების.

- <u>ესთეტიკური აღზრდა</u>

შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი-რასაც ადასტურებს მკაფიოდ გაწერილი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები, რომელიც მოსწავლეებისათვის მარტივი ენითაა ჩამოყალიბებული, ადვილად გასაგები და მისაწვდომია. მათ ზუსტად იციან, როგორ ფასდებიან და რა მიზნისკენაა მიმართული შეფასება. სასურველია, შეფასების რუბრიკებში გამოიკვეთოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები და სტანდარტის შედეგები. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინდიკატორთან შესაბამისობაშია.

- <u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>

სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შეფასება ხდება წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების საფუძველზე, რაც საფუძველს იძლევა დასკვნების გაკეთების, რომ მოსწავლეების შესაძლებლობები მრავალმხრივად ფასდება.

**<u>2.2.2. 5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი</u>**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის N2-53 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სკოლა გეგმავს ვერიფიკაცია განახორციელოს სამი მიმართულებით: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

დოკუმენტის მიხედვით სკოლა გაითვალისწინებს რისკების ალბათობას, სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე მოახდენს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გარკვეული წინასწარ დადგენილი პროცენტული რაოდენობის მტკიცებულებების ვერიფიკაციას.

აღნიშნული დოკუმენტის ანალიზი გვაძლევს საშუალებას, რომ დავასკვნათ, სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის წესის ამოქმედება ხელს შეუწყობს შეფასების სისტემის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმის ფუნქციონირებას .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2.2. 6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლაში ინახება მოსწავლეთა სემესტრული, წლიური და საფეხურის ნიშნები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. მატერიალური ჟურნალები დაცულია უსაფრთხოდ, კერძოდ, ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სამომავლოდაც დოკუმენტაციის შენახვას და დამუშავებას გააგრძელებენ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- დირექტორის N2-53 ბრძანება ( სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე)

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.2.3. 1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია: „სკოლაში დამკვიდრებულია კოლეგიალური თანამშრომლობის მაღალი კულტურა, რაც მდგომარეობს პედაგოგთა მიერ საკუთარი გამოცდილების ურთიერთგაზიარებაში, საგნობრივ კათედრათა მჭიდრო კავშირსა და ცალკეულ საკითხებზე ერთობლივ მუშაობაში. პროფესიული დისკუსიები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, საჭიროების შემთხვევაში ურთიერთდახმარებისთვის მზადყოფნა ჩვენი სასკოლო ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს“. ამ ნარატივს ადასტურებს ურთიერთდასწრების წარმოდგენილი ანგარიშები. პედაგოგებმა ინტერვიუშიც აღნიშნეს, ურთიერთდასწრებას მათ სკოლაში დიდი ხნის ტრადიცია აქვს, ესწრებიან პარალელურ კლასებს პედაგოგები, შემდეგ წერენ ანგარიშს და პრობლემებს განიხილავენ კათედრაზე.

**2.2.3. 2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თუ ის განხორციელებული პროექტები, რომლებზეც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, ნამდვილად გვაძლევს იმის დასკვნის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი მაქსიმალურად ორიენტირებულია მოსწავლეებზე. სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს, ფიზიკურ, ფსიქიკურ მახასიათებლებს, ემოციურ ინტელექტს. სასწავლო გარემო არის პოზიტიური, მაქსიმალურად მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე.

**2.2.3. 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

თანამშრომლობითი კულტურის მაგალითია „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტის არსებობა სკოლაში, რის საშუალებითაც კათედრის წევრები ესწრებიან და აფასებენ კოლეგების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს. პროცესის დასრულებისას კი ხდება გაკვეთილის გარჩევა და საჭიროების შემთხვევაში რჩევების მიცემა- ამას ადასტურებს ურთიერთდასწრების დოკუმენტაციაც.

**2.2.3. 4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ,,აღმზრდელობითი პოლიტიკა“ და „სასკოლო კათედრების ფუნქციები“- ეს ოფიციალური ჩანართები მოიცავს იმ საკითხებს, რომლებიც განაპირობებს სკოლაში კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დამრიგებლის პროგრამა ;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

4. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
5. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
6. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

2.3.1.1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია მისი მონიტორინგი და შეფასება, რასაც უზრუნველყოფს სკოლის დირექცია სასწავლო პროცესზე დაკვირვებით, ასევე „ახალი სკოლის" პროექტის ფარგლებში დაწყებით საფეხურზე განხორციელდა გაკვეთილებზე დაკვირვება და მასწავლებლებს მიეცათ შესაბამისი უკუკავშირი, ასევე, დაკვირვების პროცესში მთავარი აქცენტი კეთდება, თუ როგორ ხორციელდება კომპლექსური დავალებები და როგორ ხდება მოსწავლეთა შეფასება ამ დავალებებზე მუშაობის პროცესი. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა აპირებს, რომ მეტი ყურადღება გამახვილდეს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაზე, სწავლის პროცესში დაგროვებული ხარვეზების გამოვლენასა და გასწორებაზე, გარდა ამისა, უფრო სისტემატურ ხასიათს მისცემს სკოლის დირექცია სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მეთოდოლოგიის მონიტორინგსა და შეფასებას.

2.3.1.2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლაში ფუნქციონირებს სწავლის პროცესის შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. დირექციის წარმომადგენლები მეტ-ნაკლებად ამოწმებენ და აფასებენ სწავლის პროცესს/ხარისხს, კათედრების მუშაობას, აანალიზებენ და აფასებენ დაწყებით საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებს.

2.3.1.3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი და შემუშავებულია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვის მექანიზმები. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლებს მიეცემათ პოზიტიური უკუკავშირი, რომლის გაზიარებისას ერთობლივად დაიგეგმება პრობლემების გადაჭრის გზები.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- „სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი“;
- სკოლის თვითშეფასება;
- საგნობრივი კურიკულუმები;

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.3.2. 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან (რუბრიკები, სოლო ტაქსონომია სხვადასხვა საგანში) იკითხება, რომ შეფასება ნაწილობრივ ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს . ამჟამად სკოლა დაწყებით საფეხურზე იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე, განმსაზღვრელ შეფასებას, კათედრები გეგმავენ შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების გამოყენებას, როგორც გაკვეთილებზე სხვადასხვა აქტივობებისათვის, ასევე , კომპლექსური დავალებისთვის.

**2.3.2.2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია ინფორმაცია მოპოვებული იყოს ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტიულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და ა. შ. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. დაწყებით საფეხურზე იგეგმება შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების გამოყენება, სამიზნე ცნებების იერარქიასა და მასთან დაკავშირებული მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებით შეიქმნება განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები, სადაც განსაზღვრული იქნება, თუ რა მოლოდინები უნდა ჰქონდეთ მოსწავლეებისგან თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით.

2.3.2.3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკითხება, რომ შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების ნაწილობრივ მრავალფეროვანი მეთოდები; არ არის წარმოდგენილი ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების მტკიცებულება , რომელთა ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. (ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და ა.შ.).

2.3.2.4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით;

წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკითხება, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ნაწილობრივ ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია, თუ როგორ (რა საშუალებებით) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება (რა წყაროების საშუალებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მონაცემების დამუშავება). წარმოდგენილი დოკუმენტაციით ( მათემატიკის კათედრაზე წარმოდგენილია მულტიფაქტორული შეფასების ნიმუში-განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კონტექსტ-მაგალითზე „პაროლის შექმნა და გამოცნობა“ და მასთან დაკავშირებულ ქვესაკითხებზე ) იკითხება, რომ სკოლაში, კათედრებზე მიმდინარეობს მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის დიაგნოსტიკა, ინერგება შეფასების მულტიფაქტორული მიდგომა, ანუ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. თუმცა კომპიუტერულ ტექნოლოგიებში ამგვარი შეფასების მტკიცებულება არ არის წარმოდგენილი, მაგრამ ინტერვიუდან გამოჩნდა, რომ სკოლის და კათედრის გამოცდილებას ტექნოლოგიების პედაგოგი მოარგებს თავის საგანს და მოახდენს მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების  მეთოდოლოგია,
- კურიკულუმი,
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კონტექსტ-მაგალითზე

შეფასება:

- *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.4.1 .1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

წარმოდგენილი მასალებიდან გამომდინარე სკოლაში შექმნილია სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. მონაცემების ინფორმაციის შეჯერების, დამუშავებისა და დასკვნების გამოტანის მიზნით სკოლა ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში შედიან: სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, კათედრების ხელმძღვანელები, ყველა საგნის თითო მასწავლებელი.
მონაცემების დამუშავების საფუძველზე სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს: რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად.
რეკომენდაციები უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ" და „აღსრულებულ" კურიკულუმს შორის.

**2.4.1.2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

დოკუმენტაციიდან იკითხება, რომ სკოლაში შემუშავებულია წინა კურიკულუმის გადასინჯვის მექანიზმი,( შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი) კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია მეტწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის

საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება გათვალისწინებული შეიძლება იყოს, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. ანუ ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახულია პრობლემის დაძლევის შესაბამისი ცვლილებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების კითხვარი.

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი<br>**საშუალო საფეხური** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ **შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4** | ■ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.1.1. 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან. მისიიდან გამომდინარე სკოლა ორიენტირებულია, შექმნას ღია, კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო, სადაც დაცული იქნება მოსწავლის ფიზიკური და ფსიქო-ემოციური უსაფრთხოება. სადაც იგი მიიღებს საგნობრივ ცოდნას და შეძლებს მის ტრანსფერს პრაქტიკულ სიტუაციებში, განივითარებს მოქალაქეობრივი უფლება-მოვალეობების, ეროვნული ფასეულობების, პიროვნული პასუხისმგებლობისა და ტოლერანტობის გრძნობას.
სასკოლო სასწავლო გეგმა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმას და აზუსტებს სკოლისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ აუცილებელ დატვირთვას, განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას დაწყებით საფეხურზე.
სკოლას ნარატივით წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის თანახმადაც, ,,კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება შემდეგ საკითხებზე: კონცეპტუალური ჩარჩო (ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია), კურიკულუმის დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაცია, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში)’’.
სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (ბრძანება N 2-51 სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლაში სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ. 6 ივნისი 2023 წელი). მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლა კურიკულუმის რევიზიის, განვითრების პროცესში იხელმძღვანელებს სასკოლო საზოგადოების მიერ გაკეთებული უკუკავშირების საფუძველზე სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით, რაც ნიშნავს , რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების საშუალებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.1. 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში; მოსწავლეთა შედეგები; მშობელთა ჩართულობა; კათედრის მუშაობა; სკოლის დირექცია.
მონაცემების დამუშავების საფუძველზე სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს:
- რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად;
- რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად.
გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის მიერ შემუშავებული „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს სამუშაო ჯგუფის მიერ სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის შედეგად მიღებულ უკუკავშირებზე დაფუძნებით სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებას ახალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინების მიზნით, შეიძლება ვთქვათ, რომ მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების ასახვა კურიკულუმში.

2.1.1.3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

წარმოდგენილ „ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში „ კურიკულუმის საწყისი ვერსიის შემუშავებაზე არაფერია ნათქვამი, თუმცა ყოველი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა იკვეთება. სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის თანახმად, სასკოლო კურიკულუმის თითოეული ნაწილი მზადდება პედაგოგიური საბჭოს მიერ დირექციის ჩართულობითა და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2.1.1.4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

იმისათვის, რომ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში აქტიურად იყოს ჩართული სასკოლო საზოგადოება, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს/აკონკრეტებს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს და ასევე მშობელთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას. ამრიგად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ბრძანება N 2-51 სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლაში სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ. 6 ივნისი 2023 წელი ;
- პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს ოქმებით;
- სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმით.

**2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**2.1.2.1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

- **მათემატიკა**

სკოლამ პირველად, და შემდეგ უკვე დამატებით გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში, წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტები, სადაც გაწერილია თემა, სამიზნე ცნება და რესურსები, რიგ შემთხვევაში კომპლექსური დავალების პირობაც. ასევე წარმოადგინა მასწავლებლის რეფლექსიის ფორმა, რომლითაც შესაძლებელია მასწავლებლის პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება. წარმოდგენილი დოკუმენტაცია საშუალებას იძლევა შეფასდეს თუ რა ადგილი უჭირავს საგნობრივ კურიკულუმებში მოსწავლეთა შეფასებას და მასწავლებლის თვითრეფლექსიას. მათემატიკის კათედრისთვის მოსწავლეთა შეფასება არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისათვის, დაგეგმილის განხორციელებისა და შემდგომ უკვე მის შეფასება განვითარებისათვის.

სკოლამ წარმოადგინა შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა რომლის მიხედვითაც ასევე შესაძლებელია ვიმსჯელოთ, რომ სკოლა ზრუნავს მოსწავლეების საჭიროებების იდენტიფიცირებაზე და ფორმის მიხედვით მოსწავლის საჭიროების დადგენის შემდგომი პროცესები აღნიშნული საჭიროებების დაკმაყოფილებაზე იქნება ორიენტირებული.

- **სახელმწიფო ენა**

სკოლის თვითშეფასების მიხედვით, საშუალო საფეხურზე სასწავლო წლის დასაწყისში შემუშავდება საგნობრივი კურიკულუმები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით , კერძოდ: სწავლების დასაწყისში განისაზღვრება გრძელვადიანი მიზნები და შემდეგ პროცესი იგეგმება ისე, რომ სისტემატურად მიმდინარეობს მიზნისკენ სვლა და შედეგების გაუმჯობესება. შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზისა, კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალებები, რომლებითაც მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა, ჩაერთოს სახალისო აქტივობებში და წარმოაჩინოს სრულად საკუთარი თავი.

### ❖ უცხოური ენები

საშუალო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი მეტწილად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გვაქვს შუალედური მიზნის დოკუმენტები, სადაც გაწერილია კომპლექსური დავალებები, შესაბამისი კონტექსტ მაგალითები, საჭირო რესურსები. შუალედური მიზნის დოკუმენტების ერთობლიობა კი საბოლოოდ გრძელვადიანი მიზნის მიღწევისკენაა მიმართული. კომპლექსური ტიპის დავალებები საბაზო საფეხურზე სამიზნე ცნებად მოიაზრებს ჟანრს, ენობრივ საშუალებებს, ფუნქციურ სამეტყველო ქმედებებს და კულტურათა შორის დიალოგს. კურიკულუმები იმგვარადაა დაგეგმილი, რომ კათედრას აქვს მკაფიო ხედვა, თუ როგორ უნდა მოხდეს თითოეული სამიზნე ცნების დამუშავება, იმგვარად რომ პროცესის ცენტრალური ფიგურა იყოს მოსწავლე.
გასაუბრების ეტაპზე კათედრის ხელმძღვანელს მივეცი რეკომენდაცია, რომ გარდა კომპლექსური ტიპის დავალებებისა კარგი იქნება თუ კურიკულუმში ჩააშენებენ სასკოლო პროექტებს, კონკურსებს, პრობლემაზე დაფუძნებულს სწავლებას (Case study) მათი მხრიდან გამოითქვა მზაობა და აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესი ამჟამადაც მიმდინარეობს და მასში ჩართულია როგორც სასკოლო საზოგადოება, ასევე მხარდამჭერი ქოუჩები. გასაუბრების პროცესში ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა, რომ შეთავაზებული სახელმძღვანელო მე-10 კლასში იძლევა საშუალებას დაინერგოს და განხორციელდეს იმგვარი აქტივობები, რომელიც ხელს შეუწყობს საგანთა შორის კავშირების დადგენას, (ინტეგრირებული გაკვეთილები) პროექტების დაგეგმვა განხორციელებას ეს ყველაფერი კი საბოლოოდ ცოდნის ურთიერთდაკავშირებას შეუწყობს ხელს.

### ❖ სპორტი

შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას:
საშუალო საფეხურის წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალეროვანი თემები - მძლეოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორია, ლაშქრობა. ყველა თემის ფარგლებში გაწერილია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკურ განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლი და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის

მიღწევაზე. ყველა სპორტის სახეობის მიხედვით წარმოდგენილი ელექტრონული რესურსები (თეორიული - გზამკვლევები და პრაქტიკული - ვარჯიშების მაგალითები). სკოლას მიეცა რჩევა, გაამრავალფეროვნოს ელექტრონული რესურსები, რადგანაც საშუალო საფეხურზე ჯანსაღი ცხოვრების თემის ფარგლებში კურიკულუმებში მოცემულია იგივე პრეზენტაციის ლინკი, რაც დაწყებით და საბაზო საფეხურებზე.

❖ ესთეტიკური აღზრდა

თვითშეფასების დოკუმენტის ჩანაწერში განსაზღვრულია, რომ სკოლა გეგმავს სასწავლო კურიკულუმებს გრძელვადიან მიზნებზე დაფუძნებით და რომ კომპლექსური დავალებებით სწავლება მათი პრიორიტეტია. „ახალი სკოლის მოდელში“ ჩართული სკოლაა და აქვთ პროცესის სწორად წარმართვის მზაობა. მართალია, ესთეტიკურ კათედრაზე საშუალო საფეხური პროექტული სწავლებით არის შემოფარგლული, თუმცა, კურიკულუმის შექმნის გამოცდილება მნიშვნელოვანია, საშუალო საფეხურზე სწავლების წარმართვისთვის, რადგანაც პედაგოგმა და მოსწავლეებმა შეძლონ ცნებების, საკითხების და თემის სრულად დამუშავება, ისწავლონ კვლევის წარმოება, სწორად განსაზღვრონ შესაქმნელი პროდუქტი, მოახერხონ საინტერესოდ პრეზენტირება და იზრუნონ ინფორმაციის გაზიარებაზე.

❖ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, კათედრის წევრები, თითოეული საგნის პედაგოგი გაეცნო საგნობრივი ქოუჩების მიერ წინასწარ მოწოდებულ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ კურიკულუმის ჩარჩოს, განიხილეს ჩარჩოს შემადგენელი ნაწილები: მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები, კომპლექსური დავალების პირობები, საკვანძო შეკითხვები, შედეგები, რის გათვალისწინებითაც მოხდა სასკოლო/საგნობრივი კურიკულუმების შედგენა. სასწავლო წლის დასაწყისშივე განხორციელდა გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრა და შემდეგ პროცესი დაიგეგმა ისე, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ მოხდება დაგეგმილი მიზნის მიღწევა. მომავალი სასწავლო წლისთვის სასკოლო კურიკულუმი შედგენილია ისე, რომ განხორციელდება მეტი სამიზნე ცნებისა და თემატური ბლოკის დაფარვა კომპლექსური დავალებებით სწავლებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებულ იქნა და განხორციელდა კურიკულუმების (ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის) დახვეწა საბუნებისმეტყველო საგნების ექსპერტის მიერ გაკეთებული უკუკავშირის შესაბამისად.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას.

- <u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>

წარმოდგენილ კურიკულუმები დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით;

**<u>2.1.2.2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)</u>**

- <u>მათემატიკა</u>

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი, რომელიც მასწავლებელს განუსაზღვრავს, თუ რას უნდა მიაქციოს ყურადღება სწავლების პროცესში თითოეულ ფუნქციურ უნართან მიმართებაში, რათა დაადგინოს რამდენად უზრუნველყო სასწავლო გარემოს და სწავლების პროცესის ისე წარმართვას, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით დააკმაყოფილოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნა. მასწავლებლების მხრიდან აღნიშნული ინსტრუმენტის მიზნობრივი გამოყენება უზრუნველყოფს გრძელვადიანი მიზნების, გლობალური ფუნქციური უნარების, განვითარებას. სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

- <u>სახელმწიფო ენა</u>

სასკოლო კულტურის განვითარება და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 სკოლაში. ამ მიზნის მისაღწევად შეიმუშავებენ შემდეგ ამოცანებს: კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის დანერგვას, სკოლის მართვის ეფექტიანი მიდგომების განვითარებას, ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებას სწავლა-სწავლების პროცესში, წინსვლისა და განვითარების ხელშემწყობი
შეფასების სისტემის შექმნას. ყოველივე მიმართული იქნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისკენ. ამისთვის საშუალო საფეხურის პედაგოგები დაგეგმავენ და განახორცილებენ შესაბამის აქტივობებს, შეარჩევენ

რესურსებს, კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც გადის მაკრო ცნებებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებსა და მათთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებზე.

❖ **უცხოური ენები**

საშუალო საფეხურის კურიკულუმის შესწავლისას, გამოიკვეთა რომ თემატური დაგეგმვა მიემართება საგნობრივი სტანდარტის მისაღწევი შედეგების მიღწევისკენ, ასევე კომპლექსური დავალებების პირობები იმგვარადაა ფორმულირებული, რომ ის უზრუნველყოფს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობა და კომუნიკაცია და სხვა.... (მაგალითად წარმოგიდგენთ მე-10 კლასში დაგეგემილი ერთ-ერთი კომპლექსური დავალების პირობას ,,როლური თამაში- დაიყავით ჯგუფებად და გაითამაშეთ ინტერვიუ (გასაუბრება) სკოლის ადმინისტრაციასა და განმცხადებელ (აპლიკანტი) მოსწავლეს შორის, რომელსაც სურს სტიპენდიას მიღება საზღვარგარეთის სკოლაში სწავლის გასაგრძელებლად. ინტერვიუში განმცხადებელს (აპლიკანტს) დაუსვით შეკითხვები მის მიერ წარმოდგენილი აპლიკაციის საფუძველზე''

ამ მაგალითით ვადგენთ, რომ მოსწავლეს მოეთხოვება შექმნას პროდუქტი, ინტერვიუ.

პირველ რიგში უნდა შეისწავლოს საჭირო ენობრივი ფორმები, ლექსიკურ-გრამატიკული ერთეულები, ფუნქციურ სამეტყველო ელემენტები, რათა იცოდეს თუ როგორ დასვამს შეკითხვა. ამის შემდეგ მან უნდა მოიფიქროს შეკითხვები, რაც მოსწავლისგან უდადო მოითხოვს კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას, ინფორმაციის მოსაპოვებლად ის უნდა იყოს ზუსტი და ლაკონური. ამ დავალების დიფერენცირებული ვარიანტი მოსწავლეს სთავაზობს შეავსოს სააპლიკაციო ფორმა, რომელსაც წარუდგენს მისთვის სასურველ სასწავლებელს.

ზემოთ წარმოდგენილი მაგალითით დგინდება, რომ კომპლექსური ტიპის დავალებების დაგეგმვა/განხორციელების პროცესში კათედრა ავითარებს გლობალ-ფუნქციურ უნარ-ჩვევებს, ფარავს სამიზნე ცნებებს.

გარდა სამიზნე ცნებებისა, რომლის განზოგადებისთვის მნიშვნელოვანია კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად და მიზნობრივად იყენებს ახალ ცოდნას, უნარებს და ღირებულებებს.

სასკოლო სასწავლო გეგმაში ყურადღება გამახვილებულია გლობალურ-ფუნქციურ უნარ-ჩვევებზე, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, მოქალაქეობა და კომუნიკაცია, თანამშრომლობა და სხვა.

გასაუბრების ეტაპზე კათედრის წევრებთან ვიმსჯელეთ გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარების საქმეში სასწავლო პროექტების როლზე. ვფიქრობ, კათედრას მეტწილად აქვს მზაობა განახორციელოს კლასგარეშე, არაფორმალური აქტივობები, სამიზნე ცნებების და გლობალურ-ფუნქციური უნარების განსავითარებლად. მათი მხრიდან აღინიშნა, რომ შეთავაზებული სასწავლო რესურსები ხელს უწყობს ზემოთ დასახელებული მიზნების განხორციელებას.

❖ <u>სპორტი</u>

საშუალო კლასების კურიკულუმებში ნათლად არის ჩამოყალიბებული გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, სტანდარტის საფეხურებრივი შედეგები და სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. აგრეთვე, კურიკულუმის განხორციელების პროცესში გაწერილია თემებთან შესაბამისი სასწავლო ელექტრონული რესურსები.

❖ <u>ესთეტიკური აღზრდა</u>

სკოლას გააზრებული აქვს შუალედური და გრძელვადიანი სასწავლო მიზნები და საგნობრივი კურიკულუმების მსგავსად შექმნას გეგმავს. ესთეტიკური კათედრის საშუალო საფეხური პროექტული სწავლებით არის წარმოდგენილი. კურიკულუმის ჩარჩოში (ხელოვნება მე-10კლასი) გათვალისწინებულია სავალდებულო თემების, საკითხების, ცნება/ქვეცნებების დამუშავება და პროექტის იდეის ჩამოყალიბება კონტექსტ მაგალითებზე დაფუძნებით.

❖ <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>

სასკოლო სასწავლო გეგმაში/კურიკულუმში ნაწილობრივ ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. სსგ-ს შემუშავება მოხდა პედაგოგების და დირექციის აქტიური ჩართულობით. პედაგოგები სისტემატიურად აწვდიან ინფორმაციას მშობლებს, შემუშავებული გეგმების შესახებ, რაც მათი ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების ერთგვარი შესაძლებლობაა. შესაბამის პროგრამას პედაგოგი ადგენს კლასის პრიორიტეტების გათვალისწინებით,

ასევე, თემის აქტუალობის, მოსწავლეთა მზაობის, ასაკობრივი ინტერესების გათვალისწინებით. სამომავლოდ კათედრა გეგმავს კიდევ უფრო მეტად გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, სასკოლო სასწავლო კურიკულუმში.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

თითოეულ კურიკულუმში გაწერილი თემები ფარავენ საგნობრივ გრძელვადიან მიზნებს;

2.1.2.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

- მათემატიკა

სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების კონცეფცია. რაც შეეხება დიფერენცირებულ მიდგომებს სკოლას წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვს დიფერენცირებული მიდგომები. ამ ეტაპზე ეს არის ზოგადი მინიშნება თუ როგორ მოხდება კომპლექსური დავალების მოდიფიცირება. ზოგადი ხედვა დაზუსტდება სასწავლო პროცესის, კონკრეტული დავალების, კლასის და მოსწავლის/მოსწავლეების დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია.

- სახელმწიფო ენა

სსიპ ქალაქ თერჯოლის N 2 საჯარო სკოლას საშუალო საფეხურზე სკოლას ჰყავს ორი სსსმ მოსწავლე , სასწავლო წლის დასაწყისში მშობლის სურვილის შემთხვევაში მულტიდისციპლინური გუნდი აფასებს და ადგენს ბავშვის საჭიროებებს. შეფასებისა და რეკომენდაციების მიღების შემდეგ სკოლაში დგება ისგ გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი. გუნდის შემადგენლობაში შედის ყველა საგნის მასწავლებელი, სპეცმასწავლებელი და მოსწავლის მშობელი/მეურვე, ეტაპობრივად ხორციელდება მონიტორინგი და ხდება მოსწავლეთა შეფასება. მომავალი სასწავლო წლისთვის გადაფასდებიან მოსწავლეები, სამომავლო კურიკულუმის შედგენისას უკუკავშირის შედეგად განიხილება

მეთოდოლოგია და სწავლების ახალი სტრატეგიები.

- უცხოური ენები

კათედრა ითვალისწინებს სწავლების დიფერენცირების პრინციპებს, ხდება სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენა და შემდეგ შეფასება. გასაუბრების ეტაპზე გამოვლინდა, რომ სკოლას აქვს ტექნოლოგიებით აღჭურვილი კაბინეტი, სადაც შესაძლებელია მოხდეს მასალის დიფერენცირება, განსხვავებული უნარების მქონე მოსწავლეებისათვის მასალა შესაძლებელია შეთავაზებული იყო განსხვავებული ფორმატით (ტექსტი, ვიდეო, კომიქსი, და ა.შ) ამასთან დაკავშირებით კათედრის მხრიდან გამოითქვა მზაობა.
გარდა ამისა შუალედური მიზნის დოკუმენტიდან ვადგენთ, რომ კომპლექსური დავალების პროდუქტი (საკითხი) შეუძლია მოსწავლემ თვითონ აირჩიოს, მისი შესაძლებლობიდან გამომდინარე, მას შეუძლია შექმნას პოსტერი მატერიალურად, ქაღალდის მატარებელზე, ან ელექტრონულ ფორმატში პრეზენტაციის სახით...
კურიკულუმის მეთოდოლოგიის განვითარების დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმის კონცეფციაზე მუშაობის დროს კურიკულუმშივე ხდება კონკრეტული სტრატეგიების ,, ჩაშენება'' რომელიც ეხება სწავლების დიფერენცირებას.
კერძოდ, ხდება იმის განსაზღვრა, თუ რა ფორმით უნდა გამოხატოს მოსწავლემ ცოდნა შესასწავლ საკითხთან/საკითხებთან დაკავშირებით. შეფასების ერთ-ერთ მიზნად განისაზღვრება სწავლების დიფერენცირება, კერძოდ მოსწავლეთა შედეგების ანალიზით, მათი დიაგნოსტირებით მიღებული ინფორმაცია შემდეგ გამოყენებული იქნება სასწავლო მასალის დიფერენცირების მიზნით.

- <u>სპორტი</u>

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა მოიყვანეს დიფერენცირებული სწავლების მაგალითები. დიფერენცირებული სწავლების პროცესისას მოსწავლეებს სთავაზობენ სწავლის იმ სტრატეგიებს, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და საჭიროებები. სკოლას გადმოგზავნილი აქვს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანში სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილი მოსწავლის საგნობრივი შეფასება სასწავლო წლის დასაწყისში, გრძელვადიანი მიზნები, მოკლევადიანი მიზნები და შეფასების ინდიკატორები. გადმოგზავნილი

დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლა მომავალში განაპირობებს სსსმ მოსწავლეების ჩართულობას ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროცესში.

- **ესთეტიკური აღზრდა**

სკოლას ამ დროისთვის აქვს ნაკლებად მოქნილი მექანიზმი სწავლების დიფერენცირებასთან დაკავშირებით. აღნიშნავენ, რომ მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისას გაითვალისწინებენ ისეთი საგაკვეთილო პროცესის წარმართვას, სადაც სწავლის სწავლაზე იქნება აქცენტი გადატანილი და პროექტული სწავლების დანერგვის შემთხვევაშიც, სწავლის სწავლაზე გამახვილდება ყურადღება. სკოლა შეიმუშავებს შეფასების რუბრიკებს, რამდენიმე ნიმუში წარმოდგენილია დაწყებით და საბაზო საფეხურზე. საშუალო საფეხურის შეფასების რუბრიკა კათედრას არ აქვს ატვირთულ, თუმცა ინტერვიურების პროცესში აღნიშნეს, რომ ხელოვნების და მუსიკის პროექტული სწავლების სახელმძღვანელოებს დართული აქვს შეფასების რუბრიკები თემების მიხედვით და პედაგოგები იყენებენ ამ კონკრეტულ რუბრიკებს.

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, კათედრის მიერ განხილულ და გაანალიზებულ იქნა სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება. ამჟამად საშუალო საფეხურზე სკოლას ჰყავს ორი სსსმ მოსწავლე. სასწავლო წლის დასაწყისში, მშობლის სურვილის შესაბამისად,
მულტიდისციპლინური გუნდი აფასებს და ადგენს ბავშვის საჭიროებებს. შეფასებისა და რეკომენდაციების მიღების შემდეგ სკოლაში დგება ისგ გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი. გუნდის შემადგენლობაში შედის ყველა საგნის მასწავლებელი, სპეცმასწავლებელი და მოსწავლის მშობელი/მეურვე. ეტაპობრივად ხორციელდება მონიტორინგი და ხდება მოსწავლეთა შეფასება. სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ხდება გადაფასდება, ხდება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლეთა ხელახალი შეფასება, რასაც გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას. გამოცდილების შესაბამისად დაიხვეწება და დაინერგება ახალი მეთოდოლოგია და სწავლების სტრატეგიები, ასევე, მოიძიებენ ახალ სასწავლო რესურსებს.

- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების რუბრიკის და კლასთან მუშაობის გეგმის, ასევე პედაგოგებთან გასაუბრების მიხედვით შესაძლებელია ვიმსჯელოთ, რომ საგნობრივი პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს სასწავლო-საგაკვეთილო პროცესში (სწავლა კეთებით; მოდელირება; უკუკავშირი; გრაფიკული სისტემები და ა.შ.);

**2.1.2.4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს**

❖ **მათემატიკა**

სკოლამ კონტექსტ მაგალითზე და კომპლექსური დავალების პირობაზე დაყრდნობით წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მიემართება გრძელვადიან მიზნებს (ცნებებსა და ქვეცნებს). ერთ თემაში განხილულია სამივე ცნება და სამივე ცნებასთან მიმართებით წარმოდგენილია თუ რა უნდა შეძლოს კონკრეტულად მოსწავლემ. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუში თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების მიხედვით კონკრეტული კრიტერიუმებით. ამრიგად წარმოდგენილი დოკუმენტების/ნიმუშები საშუალებას იძლევა, რომ ვთქვათ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

❖ **სახელმწიფო ენა**

საშუალო საფეხურზე მოსწავლეები ფასდებიან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებით, გამოიყენება როგორც საკლასო, საშინაო, ასევე, შემაჯამებელი შეფასების სახეები. მოსწავლეთა შეფასება უკავშირდება არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. განმავითარებელი შეფასებით მოსწავლე ფასდება სასწავლო ერთეულის (თემის, საკითხის) სწავლის პროცესში და ფარგლებში.

❖ **უცხოური ენები**

სასკოლო სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ, რომ საშუალო საფეხურზე შეფასება მიემართება ე.ს.გ. გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს ამ მიზნების განხორციელებას. ამ საფეხურზე სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისკენ. ხოლო

განმსაზღვრელი შეფასება სამ კომპონენტიანია, ის მოიცავს საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებების შედეგებს, განმსაზღვრელ ნიშანს.

დოკუმენტიდან იკვეთება, რომ სკოლა კარგად იცნობს და აქვს მზაობა გამოიყენოს ე.ს.გ_თი გაწერილი შეფასების სისტემა და ეფექტურად გამოიყენებს მას სასწავლო პროცესში გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად.

❖ <u>სპორტი</u>

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანში საშუალო საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გვაქვს მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, რომ საშუალო საფეხურზე იყენებენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ შეფასებებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მაგალითები, სადაც მოცემული გრძელვადიანი სასწავლო მიზნებთან მიმართებით მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, განმავითარებელი კომენტარი შემდგომი პროგრესის ხელშესაწყობად, მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა და სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიერ გამოყენებული სწავლების სტრატეგიების/მეთოდების/აქტივობების ეფექტურობის მასწავლებლის თვითშეფასების რუბრიკა.

❖ <u>ესთეტიკური აღზრდა</u>

სკოლა აღნიშნავს, რომ ამჟამად მათი საგნობრივი კურიკულუმები ისეა შედგენილი, ნაკლებად ჩანს პირობისეული ცოდნა. ძირითადად, დეკლარატიული და პროცედურული ცოდნის მიღებას აკმაყოფილებს მოცემული საგაკვეთილო პროცესი. მომდევნო სასწავლო წელს, დაგეგმავენ სასწავლო აქტივობებს ისე, რომ პირობისეულ ცოდნაზე გამავალი უნარები გამოუმუშავონ მოსწავლეებს, რაც კომპლექსური დავალებების შესრულებით და პროექტული სწავლებით იქნება მიღწევადი.

❖ <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში საბუნებისმეტყველო საგნებში სასწავლო პროცესი ნაწილობრივ არის ორიენტირებული ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). ამჟამად გაკვეთილებზე უფრო მეტი ყურადღება ექცევა ცოდნის დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნას, გაკვეთილებიც სწორედ ამ მიმართულებით იგეგმება და ტარდება. სასწავლო პროცესი ნაკლებადაა ორიენტირებული პირობისეულ ცოდნაზე. 2023-2024 სასწავლო

წლისთვის იგეგმება სასწავლო პროცესის, გაკვეთილების, ყველა აქტივობის, კომპლექსური დავალებების და პროექტების წარმართვა ისე, რომ ცოდნის ეს სამივე კატეგორია, განსაკუთრებით კი პირობისეული, მნიშვნელოვნად იყოს ჩართული სასკოლო ცხოვრებაში.

❖ საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასწავლო პროცესის მონიტორინგის დოკუმენტის და გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს – საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი შეფასებების შედეგების მიხედვით.

## 2.1.2.5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

❖ მათემატიკა

სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა კათედრის სხდომის ოქმი, რომლის მიხედვითაც კათედრა დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინებს წინარე გამოცდილებას და მასზე დაყრდნობით შეიმუშავებს კურიკულუმს ახალი სასწავლო წლისათვის. აღნიშნულზე საუბარია ასევე სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში.

❖ სახელმწიფო ენა

სასწავლო პროცესის ხარისხიანად და ეფექტურად წარმართვისათვის სკოლა ნაწილობრივ გეგმავს იმ მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს მთელი წლის განმავლობაში. საშუალო საფეხურის ყველა მასწავლებელი სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავებს თვითშეფასების კითხვარს, გააანალიზებს საკუთარი სწავლების პროცესს, დადგენს, რა ჰქონდა დადებითი ან უარყოფითი მხარე, ეცდებიან ნაკლის გამოსწორებასა და აღმოფხვრას, რათა სასწავლო პროცესი იყოს გამართული, უხარვეზო და შესრულდეს ყოველივე ის, რაც დაგეგმეს მომავლის ამოცანებში

❖ უცხოური ენები

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში სკოლა აპირებს სასკოლო საზოგადოებასთან კონსულტაციებით წინა წლის წარმატებული გამოცდილების გაზიარებას, სასკოლო საზოგადოების ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებას ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

- **სპორტი**

წარმოდგენილი კურიკულუმიებიდან არ ჩანს, მაგრამ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიდან და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ მასწავლებლები ყურადღებას აქცევენ წარმატებულ გამოცდილებას, წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ მომავალში ჩაატარონ უფრო სიღრმისეული წინარე გამოცდილების ანალიზი.

- **ესთეტიკური აღზრდა**

თვითშეფასების კითხვარში და მასწავლებელთა კურიკულუმებში ჩანს, რომ სკოლა წინა წელს ახორციელებდა კომპლექსურ დავალებებს და ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას ამ დავალებებით ახერხებდა. მუსიკის და ხელოვნების პედაგოგებმა ინტერვიუს პროცესში დაადასტურეს აღნიშნული და წელს მეტი კომპლექსური დავალების განხორციელება აქვთ დაგეგმილი, რაც ასევე ასახულია მომავალი წლის სასწავლო გეგმაში. კათედრამ აღნიშნა, რომ აქვთ გამოცდილება საგანთა შორის ინტეგრირებული გაკვეთილების და გააგრძელებენ ამ პრაქტიკას. სკოლის თვითშეფასების და მეთოდოლოგიურ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სასწავლო პროცესს წარმართავენ კონსტრუქტივიზმის ხუთ საგანმანათლებლო პრინციპზე დაფუძნებით, როგორიცაა, ა) აქტიური სწავლა (მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურება); ბ) წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ახალი ცოდნის კონსტრუირება; გ) სწავლის სწავლა; დ) ცოდნის სამი კატეგორია; ე) ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესში ნაწილობრივ უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. სკოლა 2019 წლის სექტემბრიდან ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში“ და შესაბამისად, საბუნებისმეტყველო საგანში, შესაძლებლობის ფარგლებში, განხორციელებულია

კომპლექსური დავალებები, რომლებიც დაფუძნებულია მოსწავლის ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. მომდევნო სასწავლო წლისთვის დაგეგმილია სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების გაუმჯობესების მიზნით სასწავლო პროცესის დაგეგმვა კონსტრუქტივიზმის ხუთ საგანმანათლებლო პრინციპზე დაფუძნებით:

1. აქტიური სწავლა, მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურება.
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით
3. სწავლის სწავლა
4. ცოდნის სამი კატეგორია
5. ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

❖ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

პედაგოგების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების, დოკუმენტების და გასაუბრების შედეგების მიხედვით დგინდება, რომ კომპლექსური დავალებების (შუალედური სასწავლო მიზნები) ფარგლებში შექმნილი პროდუქტები მოითხოვენ მოსწავლეების აქტიურ და შემოქმედებითი უნარების წარმოჩენას, მათ წინარე ცოდნის გააქტიურებას.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 საჯაროს სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლის თვითშეფასება;
- კათედრის ოქმი.
- საგნობრივი ჩარჩო დოკუმენტები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ;

- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.2.1.1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას**

- **მათემატიკა**

სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალების ნიმუშები. წარმოდგენილი დავალებები არის ცხოვრებისეული სიტუაციის ამსახველი, რომლის მიხედვითაც მოსწავლეს უწევს პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ალტერნატივების შემუშავება და არჩევანის გაკეთება, რაც თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლის მოტივაციას და მის აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვას.

- **სახელმწიფო ენა**

საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა აქტიური ჩართულობისთვის ჩატარდა კვლევა „მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების საშუალებები უმცროსკლასელებში, მოსწავლეთა დაბალი მოტივაციით გამოწვეული პრობლემები და მისი გაუმჯობესების გზები" ამ კვლევის საფუძველზე მიღებული რეკომენდაციები გაიცნეს საშუალო საფეხურის პედაგოგებმა კათედრის სხდომაზე. მოსწავლეთა ჩართულობა კურიკულუმით დასტურდება.

- **უცხოური ენები**

ვინაიდან კათედრას აქვს კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობის გამოცდილება, აგრეთვე კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გაწერილი აქვთ კომპლექსური დავალებების პირობები იმგვარად, რომ ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ:

სასწავლო პროცესი აძლევს მოსწავლეს შანსს აქტიურად ჩაერთოს პროცესში.

კომპლექსური დავალებების პირობა ხშირ შემთხვევაში იძლევა შესაძლებლობას მოსწავლე არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესის არამედ შემოქმედიც, მას უწევს პრობლემის გადაჭრა, სტრატეგიების გააზრდება და სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა(მაგ. პოსტერი, ინტერვიუ, პრეზენტაცია, დიალოგი და სხვა...)

ასევე გასაუბრების დროს პედაგოგთა მხრიდან გაჟღერდა რომ მათთვის უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობა, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი კურიკულუმი. კათედრას მიეცა შემდეგი შინაარსის რეკომენდაცია,

იმისათვის რომ კურიკულუმი გახდეს უფრო ,,მდიდარი'' საჭიროა კათედრამ მასში ჩააშენოს პროექტული ტიპის დავალებები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ნიმუშები და სხვა, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს ითანამშრომლონ თანატოლებთან, თანამშრომლობის უნარების განვითარება კი ხელს უწყობს მოსწავლეებს თავად გამოიჩინონ ინიციატივა და უფრო აქტიურად გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები, ვინაიდან ინიციატივების წახალისება გაზრდის მათ მოტივაციას. მათი მხრიდან გამოითქვა მზაობა, რომ წარმოადგენენ დაგეგმილი პროექტების გეგმას, სადაც აქცენტები გაკეთდება მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებაზე, ფუნქციურ-გლობალური უნარების განვითარებაზე და სხვა...
თავისთავად კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობა მოითხოვს ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, ანუ იგი აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს, შესაბამისად ვასკვნით, რომ კათედრის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესი საშუალებას მისცემს მოსწავლეს იყოს პროცესის აქტიური მონაწილე და ცენტრალური ფიგურა.

❖ **სპორტი**

სკოლის საშუალო საფეხურის კურიკულუმები და მათში გაწერილი როგორც პრაქტიკული (მძლეოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ლაშქრობა) და თეორიული (ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორია) შინაარსის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

❖ **ესთეტიკური აღზრდა**

სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ესთეტიკური კათედრის საგნობრივ პორტფოლიოებში არ ატვირთულა პროექტის გეგმა, თუმცა ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ ქმნიან და ახორციელებენ სასწავლო პროექტებს. შეისწავლიან პროექტების სამოქმედო გეგმის გაწერას. პროექტული სწავლებისას მოსწავლეებს ეძლევათ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები. სკოლაში საშუალო საფეხურზე ტარდება გასვლითი ხასიათის ექსკურსია-გაკვეთილები, (მუზეუმებში, გალერეებში, კულტურული ძეგლების მონახულება.) რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას, ასევე მოსწავლეების შინაგანი მოტივაციის ზრდას, უყალიბდებათ პოზიტიური დამოკიდებულებები და იზრდება მათი

აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. მოსწავლეები ინფორმაციის დამუშავებას და ცოდნად გარდაქმნას, წინარე ცოდნის საშუალებით ახორციელებენ, რაც განაპირობებს შინაგანი ძალების გააქტიურებას.

❖ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესში ნაწილობრივ უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ავტონომიურობა, აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა, მათი არჩევანის თავისუფლების ხარისხი. მოსწავლეებისათვის ხელშეწყობა ხდება იმ მიზნით, რომ ისინი ჩართული იყვნენ სასწავლო პროცესში, აგრეთვე, ნებაყოფლობით, აქტიურად და ხალისით მონაწილეობდნენ სასკოლო ცხოვრებაში, რისთვისაც პედაგოგები ითვალისწინებენ მათ შესაძლებლობებს, ინტერესებსა და საჭიროებებს. სასწავლო პროცესი იგეგმება იმგვარად, რომ მოსწავლეები ჩართული იყვნენ სასწავლო პროცესში.

❖ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

პედაგოგები ორიენტირებულები არიან მოსწავლეთა სწავლის სწავლაზე და მათ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე.

**2.2.1.2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით**

❖ **მათემატიკა**

სკოლამ წარმოადგინა ერთ-ერთი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის გზა/მატრიცა. თვითონ კომპლექსური დავალების პირობით მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის მათთვის ნაცნობ, აზრიან და შინაარსიან კონტექსტ, რაც „აიძულებს“ მოსწავლეს გადაიქცეს შემეცნების სუბიექტად და უაქტიურებს შინაგან ძალებს. კომპლექსური დავალების გადასაჭრელად მოსწავლეს უწევს გადაჭრას პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას მოვლენები მეცნიერული თვალსაზრისით, წარმოადგინოს პერფომანსი. ამისთვის კი უპირატესია წინარე ცოდნის გააქტიურება და მასზე ახალი ცოდნის, ახალი გამოცდილების დაფუძნება. სკოლის მიერ წარმოდგენილი დავალება და აღწერილი სწავლა/სწავლების პროცესი საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ დავალებების შესრულების გზაზე მოსწავლეს მოუწევს წინარე ცოდნის გახსენება, მასზე ახალი გამოცდილების დაშენება და ძველი და ახალი ცოდნის გაერთიანება/გამთლიანება.

- **სახელმწიფო ენა**

საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

- **უცხოური ენები**

ცოდნის კონსტრუირებისთვის მნიშვნელოვანია თემატურად სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი. თემა ეს არის მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. ამასთანავე, თემა უნდა წარმოადგენდეს მოსწავლისათვის აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლის შემეცნების სუბიექტად გადაქცევისა და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის შესწავლიდან, ასევე გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ კათედრას გააზრებული აქვს თემატური დაგეგმვის მნიშვნელობა, ჩანს რომ თემების გაწერის დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკი, მათი მზაობა და ინტერესები. ასევე შუალედური მიზნის დოკუმენტაციაში მოცემულია კონტექსტ მაგალითები, რომელიც საშუალებას იძლევა ნაცნობ კონტექსტზე დაყრდნობით მოსწავლემ მიიღოს ახალი ცოდნა და გამოცდილება. ზოგადად კომპლექსური დავალებების სპეციფიკა იძლევა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას და ამგვარი ტიპის დავალებები მრავლადაა წარმოდგენილი მომავალი წლის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში. კათედრას მიეცა რეკომენდაცია, რომ დაგეგმონ და განახორციელონ პროექტები, არაფორმალური აქტივობები იმგვარად, რომ ნაცნობ კონტექსტში მოხდეს ახალი ინფორმაციის მიწოდება, ნაცნობი თემატიკის ირგვლივ ახალი ცოდნის კონსტრუირება.

- **სპორტი**

კურიკულუმებიდან არ ჩანს, მაგრამ ინტერვიუზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრინციპებით ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. ასევე ეს ჩანს კომპლექსური ტიპის დავალებებში, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ მუშაობისას პროცესში ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

- **ესთეტიკური აღზრდა**

საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რაც წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას. მოსწავლეები ინფორმაციის დამუშავებას და ცოდნად გარდაქმნას, წინარე ცოდნის საშუალებით ახორციელებენ, რაც განაპირობებს შინაგანი ძალების გააქტიურებას. კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირება და დამუშავება. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას უწევთ მათთვის ნაცნობი პრობლემის გადაჭრა, არსებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება, იდეების გენერირება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა. შესაბამისად, მე-10 კლასში, პროექტული სწავლებისას, საშუალო საფეხურის მოსწავლეებს არ გაუჭირდებათ სასწავლო პროექტში ძირითადი მახასიათებლების გამოკვეთა და გრძელვადიან მიზანზე გასვლისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განმტკიცება.

- ❖ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესში ნაწილობრივ უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. სასწავლო პროცესი ხორციელდება წინარე ცოდნის გათვალისწინებით.
საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგები ყველა გაკვეთილზე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ცოდნას ახალი მასალის მიწოდებისას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმის შედგენისას, კომპლექსური დავალებების შერჩევისას.

- ❖ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

კურიკულუმის დოკუმენტის მიხედვით პედაგოგებს განხორციელებული აქვთ კომპლექსური დავალებები, რაც იძლევა იმისი დასკვნის გაკეთებას, რომ გრძელვადიანი სასწავლო მიზნებისკენ მიმავალი შუალედური სასწავლო მიზნები, კრიტერიუმების დამუშავება აუცილებლად მოითხოვს სტატიკურ (დეკლარატიული) და დინამიურ (პროცედურული და პირობისეული) ცოდნათა ჩამოყალიბებას. მოსწავლეები ეტაპობრივად აგებენ ცოდნას პედაგოგების დახმარებით (სკაფოლდინგი).

## 2.2.1.3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

- ❖ **მათემატიკა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მატრიცა ისეა აგებული, რომ მოსწავლეს უწევს მუშაობა კლასში მასწავლებლის ზედამხედველობით სწავლის სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით, ასევე არის შემთხვევები, როდესაც მოსწავლეს დამოუკიდებლად უწევს მასალის დამუშავება უკვე ნაცნობი აქტივობების გამოყენებით. გარდა ამისა კომპლექსური დავალების წარდგენისას მოსწავლეს უწევს საუბარი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში გავლილ გზაზე, სადაც რათქმაუნდა აღწერს როგორ იმუშავა და რა იყო ამ პროცესში მისთვის მნიშვნელოვანი. შესაბამისად შეიძლება ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

- **სახელმწიფო ენა**

საშუალო საფეხურზე დაგეგმილი აქტივობები ( კომპლექსური დავალებები, სასკოლო პროექტი) მიზნად ისახავს მოსწავლეთა მიერ სწავლის სხვადასხვა სტრატეგიის დაუფლებას. სასკოლო პროექტის ანალიზში კარგად ჩანს, რომ პროექტის საშუალებით მოსწავლე ივითარებს სწავლის მართვის უნარ ჩვევებს : ცოდნათა კომბინირებულად გამოყენების უნარ-ჩვევები, ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირება, ერთი და იმავე საკითხის სხვადასხვა ინტერპრეტირების შესაძლებლობის განვითარება, გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების დაუფლება. სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე(მეტაკოგნიცია).

- **უცხოური ენები**

კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობა მოითხოვს მოსწავლის მეტაკოგნოციური უნარების განვითარებას, მასწავლებლები ხშირად მიმართავენ სხვადასხვა ტიპის ჩეკლისტებს, მოსწავლეთა თვითრეფლექსიას და სხვა... წარმოდგენილი კურიკულუმით ვადგენთ, რომ კათედრა მუშაობს კომპლექსური ტიპის დავალებებზე, რაც თავის თავში მოიაზრებს სწავლის სწავლას. ასევე გასაუბრების დროს კათედრის წარმომადგენლების მხრიდან გაჟღერდა რომ ისინი იყენებენ მეტაკოგნიციის განსავითარებელ სტრატეგიებს, როგორიცაა ჩეკლისტების შევსება, მოსწავლის ,,მსწავლელის ტიპის'' იდენტიფიცირება(აუდიო, კინესტეტიკი, ვიზუალი და სხვა...) და შემდგომა ამის გათვალისწინება სწავლა-სწავლების პროცესში. გასაუბრების დროს კათედრას მივეცი რეკომენდაცია, რომ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი მოხდეს ამგვარი სტრატეგიების ჩაშენება, რათა კურიკულუმი გახდეს უფრო მდიდარი და მოქნილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

❖ **სპორტი**

სწავლა-სწავლების პროცესში სკოლაში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში (მაგ., სპორტის სხვადასხვა სახეობებში, ლაშქრობებში, მოძრავ თამაშებში), რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.

❖ **ესთეტიკური აღზრდა**

ესთეტიკის კათედრის პედაგოგთა ინტერვიუდან, წარმოდგენილი დოკუმენტაციით: პორთფოლიოები, სკოლის სასწავლო გეგმა და მეთოდოლოგია-ში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რომლის მიზანია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი კომპეტენციები და ღირებულებები. პროექტული სწავლების სტრუქტურა ისეა აგებული, რომ მოსწავლეს დამოუკიდებლად შეუძლია დავალების პირობის განსაზღვრა, გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის გამოვლენა-მობილიზება; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის დადგენა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების გათავისება; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა. სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, წახალისებულია მოსწავლის ინიციატივები. მასწავლებლის პორთფოლიოში წარმოდგენილ ხელოვნების მე-10 კლასის კურიკულუმში ჩანს პროექტის ისეთი იდეები, სადაც პედაგოგს და მოსწავლეებს დასჭირდებათ მრავალფეროვანი სტრატეგიების და აქტივობების შემუშავება, დაგეგმილი დავალებების განსახორციელებლად, რაც მოსწავლეებს შესძენს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის გამოცდილების გაუმჯობესების საშუალებას. მოსწავლე თავად მოახდენს შესრულებული დავალების ანალიზს, მიიღებს სათანადო ზომებს საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად; განსაზღვრავს დროის მენეჯმენტს, რაც სჭირდება დავალების შესრულებას და პრეზენტირებას.

❖ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგები სასწავლო პროცესში ნაწილობრივ აკეთებენ აქცენტს სწავლის სწავლაზე (მეტაკოგნიცია). თუმცა, მომავალში ისინი დაგეგმავენ ისეთ

გაკვეთილებსა და აქტივობებს, სადაც უფრო მეტი ყურადღება მიექცევა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. შექმნიან, დანერგავენ და მონიტორინგს გაუწევენ შესაბამის  შეფასების რუბრიკებს - თვითშეფასების რუბრიკებს როგორც მოსწავლისათვის, ასევე მასწავლებლებისათვის, დანერგავენ პროექტული სწავლებას, რომელშიც სწავლის სწავლას მიენიჭება უპირატესობა.

2.2.1.4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

❖ მათემატიკა

სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლის მიერ შესასრულებელი დავალებების პირობები (კომპლექსური დავალება) მოსწავლისგან მოითხოვს როგორც დეკლარაციული და პროცედურული ცოდნის დეკლარირებას ასევე ფუნქციური ცოდნის დემონსტრირებას. შესაბამისად, სკოლა, მსგავსი დავალებების შეთავაზებით შეძლებს რომ სასწავლო პროცესი დააფუძნოს ცოდნის სამივე კატეგორიას.

❖ სახელმწიფო ენა

საშუალო საფეხურის კლასებში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე(დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული). 2023-2024 სასწავლო წლისთვის ისეა დაგეგმილი სასწავლო პროცესი კომპლექსური დავალებებითა და პროექტებით, რომ ცოდნის სამივე კატეგორია და, განსაკუთრებით, კი პირობისეული მნიშვნელოვნად იყოს ჩართული სასკოლო ცხოვრებაში.

❖ უცხოური ენები

სასკოლო სასწავლი გეგმაში ვკითხულობთ, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეებში პროცედურული და პირობისეული ცოდნის განვითარებაზე, ასევე კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტიდან ჩანს, რომ კომპლექსური ტიპის დავალებების პირობა იმგვარადაა შედგენილი, ის თავის თავში მოიცავს ანალიზს, შედარებას, შეფასებას და სხვა მაღალ სააზროვნო უნარებს. გასაუბრების დროს კათედრის წარმომადგენლების მხრიდან გაჟღერდა, რომ დეკლარატიული ცოდნა, მაგალითად ფაქტების, გრამატიკული წესების ცოდნას დიდი მნიშვნელობა. ზოგადად ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება  საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებსა და  მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში.  ვინაიდან ჩვენ

მტკიცებულებების სახით არ გვაქვს წარმოდგენილი ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ამ ეტაპზე საკმარისად მივიჩნევ, სასკოლო სასწავლო გეგმის ნარატივში გაწერილ გეგმას და გასაუბრების დროს გაჟღერებულ მზაობას, ასევე სასკოლო კურიკულუმის მიხედვით იკვეთება პირობისეული ცოდნის განვითარებაზე გაკეთებული აქცენტები (იგულისხმება პირობის ფორმულირება).

❖ <u>სპორტი</u>

ფიზიკური აღზრდის კურიკულუმებში არ არის მოცემული ინფორმაცია იმ აქტივობებზე, სადაც გამოჩნდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). მაგრამ ეს ჩანს კომპლექსური დავალებების მაგალითებში. ასევე, ინტერვიურების დროს გამოჩნდა მასწავლებლის მზაობა, რომ ჩავთვალოთ ამ კრიტერიუმის შესაბამისობა.

❖ <u>ესთეტიკური აღზრდა</u>

ინტერვიუდან და პორთფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); რაც კარგად არის ასახული საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსურ დავალებებსა და არაფორმალურ აქტივობებში. ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საკითხის გააზრებას, არსობრივ წვდომასა და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურ გამოყენებას .

❖ <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში საბუნებისმეტყველო საგნებში სასწავლო პროცესი ნაწილობრივ არის ორიენტირებული ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). ამჟამად გაკვეთილებზე უფრო მეტი ყურადღება ექცევა ცოდნის დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნას, გაკვეთილებიც სწორედ ამ მიმართულებით იგეგმება და ტარდება. სასწავლო პროცესი ნაკლებადაა ორიენტირებული პირობისეულ ცოდნაზე. 2023-2024 სასწავლო

წლისთვის იგეგმება სასწავლო პროცესის, გაკვეთილების, ყველა აქტივობის, კომპლექსური დავალებების და პროექტების წარმართვა ისე, რომ ცოდნის ეს სამივე კატეგორია, განსაკუთრებით კი პირობისეული, მნიშვნელოვნად იყოს ჩართული სასკოლო ცხოვრებაში.

**2.2.1.5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

- მათემატიკა

სკოლის მიერ წარმოდგენილი მატრიცაზე დაყრდნობით, შესაძლებელია ითქვას, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს გაიხსენოს ნასწავლი მასალა, მასზე დააშენოს ახალი ცოდნა და მოახდინოს გამთლიანებული ცოდნის ტრანსფერი ახალ სიტუაციაში, პრაქტიკული ამოცანის გადაჭრისას.

- სახელმწიფო ენა

სკოლა 2019 წლის სექტემბრიდან ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში“ და განხორციელებული აქვთ კომპლექსური დავალებები, რომლებიც ეფუძნება მოსწავლის ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.
სწორედა ამ მიზნით მე-10 კლასში ჩატარდა დებატი აქტუალურ თემაზე, რომ ბავშვთა უფლებების დაცვა თითოეული მოქალაქის ვალია, ხოლო საშუალო საფეხურზე კი ხორციელდება ინტეგრირებული სასკოლო პროექტი სახელწოდებით ”ჩვენ და ჩვენი უფლებები“.

- უცხოური ენები

კურიკულუმის მეთოდოლოგიის განვითარების დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმის დიზაინზე მუშაობის დროს განისაზღვრება, რომ კურიკულუმში უნდა მოხდეს არაფორმალური აქტივობების, პროექტების, ინტეგრირებული გაკვეთილების, კომპლექსური ტიპის დავალებების ჩაშენება, რაც კურიკულუმს უფრო ,,მდიდარს’ ‘გახდის. წარმოდგენილი ჩარჩო დოკუმენტი მეტწილად პასუხობს მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს . გასაუბრების ეტაპზე კათედრას მიეცა რეკომენდაცია, რომ აქტიურად განახორციელონ პროექტები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება ე.წ Case study, რაც საშუალებას

მისცემს მოსწავლეებს მოახდინონ ცოდნათა ურთიერთ დაკავშირება, რაც თავის მხრივ პროცედურული და პირობისეული ცოდნის ხელშეწყობას გულისხმობს.

- **სპორტი**

კურიკულუმებში არ არის გაწერილი მომავალი სასწავლო წლისთვის ინტეგრირებული დავალებები, მაგრამ ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. სკოლის ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას.

- **ესთეტიკური აღზრდა**

პორთფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კომპლექსური დავალებები და სხვადასხვა სასკოლო პროექტები ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რაც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას, გამოწვევებთან გამკლავებისა და პროდუქტის შექმნისას. ყოველივე ეს ხელს უწყობს ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნას.

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესში ნაწილობრივ უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. სკოლა 2019 წლის სექტემბრიდან ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში“ და შესაბამისად, საბუნებისმეტყველო საგანში, შესაძლებლობის ფარგლებში, განხორციელებულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც დაფუძნებულია მოსწავლის ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. მომდევნო

სასწავლო წლისთვის დაგეგმილია სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების გაუმჯობესების მიზნით სასწავლო პროცესის დაგეგმვა კონსტრუქტივიზმის ხუთ საგანმანათლებლო პრინციპზე დაფუძნებით:

1. აქტიური სწავლა, მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურება.
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით
3. სწავლის სწავლა
4. ცოდნის სამი კატეგორია
5. ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კომპლექსური დავალებების ნიმუშები;
- თვითშეფასების კითხვარი;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- მატრიცა.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.2.2.1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

❖ **მათემატიკა**

სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ ჩარჩო დოკუმენტებში თემები ჩაშლილია საკითხებად, თითოეულ თემასთან მიმართებით მუშავდება ყველა (სამივე) სამიზნე ცნება. რიგ შემთხვევაში სკოლას განსაზღვრული აქვს კონტექსტ მაგალითიც. ამრიგად სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე.

❖ **სახელმწიფო ენა**

საგნობრივ კურიკულუმებში ასახული კომპლექსური დავალებები გულისხმობს თითოეული საგნობრივი საკითხის განხილვას კონკრეტული სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისების საფუძველზე. ეს პედაგოგს მისცემს საშუალებას შეაფასოს მოსწავლის ცოდნა და დამოკიდებულება კონკრეტული სამიზნე ცნების კონტექსტში.

❖ **უცხოური ენები**

სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი, სადაც გაწერილია თემების მიხედვით კომპლექსური დავალებები, ჩარჩო დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი საგნის სამიზნე ცნებები. მაგალითად უცხო ენის სამიზნე ცნებებია საბაზო საფეხურზე ჟანრი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები და კულტურათა შორის დიალოგი. აღნიშნული სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება ნაცნობ კონტექსტზე დაფუძნებით, მკვიდრი წარმოდგენების რეალიზების გზით. კურიკულუმების შესწავლით დგინდება, რომ კათედრას მკაფიოს აქვს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს,

მასალას), საკვანძო შეკითხვებს ( სწავლის მექანიზმს) შორის. ამას მოწმობს ერთი მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, და მეორეს მხრივ კათედრის ხელმძღვანელთან გასაუბრება, სადაც გამოიკვეთა რომ სკოლას აქვს მზაობა სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეს მისცეს განმავითარებელი შეფასება ცნებასთან და მის მკვიდრ წარმოდგენასთან მიმართებით.

❖ <u>სპორტი</u>

სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საშუალო საფეხურის კომპლექსური დავალებების მაგალითები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნებების და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში.

❖ <u>ესთეტიკური აღზრდა</u>

მასწავლებლების პორტფოლიოებში, კურიკულუმის ჩარჩოებში და ინტერვიუებიდან გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია, თუ რა მიზანს ემსახურება და რა შედეგზეა ორიენტირებული მითითებული საგნის საკითხების შესწავლა. სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული პროექტის კეთებისას უნდა დაეუფლოს.

❖ <u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ნაწილობრივ უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით - თითოეული კომპლექსური დავალება ნაწილობრივ ითვალისწინებს ყველა სამიზნე ცნებასა და მკვიდრ წარმოდგენას. ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები იყოს იმდენად მრავალფეროვანი, რომ შესაძლებელი გახდეს ყველა სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

❖ **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

სასწავლო პროცესის განხორციელება სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე ხდება, რაც დასტურდება კურიკულუმში არსებული თემების, საკითხების და კომპლექსური დავალებების არსებობით. კომპლექსური დავალებების დანერგვა უზრუნველყოფს კონსტრუქტივისტულ მიდგომას სწავლების პროცესში.

**2.2.2.2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას**

❖ **მათემატიკა**

სკოლის პრიორიტეტებში ერთ - ერთია მოსწავლეთა ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა, შესაბამისად, სკოლა, საგნობრივი კათედრა, ზრუნავს მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. მასწავლებლის მხრიდან კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარება მოსწავლეებთან და მათთვის სასიამოვნო და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა წარმოადგენს მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის დაგეგმვა/შეფასება/ მონიტორინგის და თვითშეფასების შემადგენელ ნაწილს. სკოლისთვის მნიშვნელოვანია არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის ვალდებულება, არამედ მოსწავლის ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მართვა, რისთვისაც მათემატიკის კათედრის მიერ გამოყენებული იქნება შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა, რომელიც მუშავდება და რომელიც გამოკვეთავს კონკრეტულ თემასთან მიმართებით მოსწავლის კონკრეტულ საჭიროებებს რაც ხდება შემდგომში მასწავლებლის მხრიდან პროცესის დაგეგმვის საფუძველი. სკოლა ორიენტირებულია ასევე დიფერენცირებულ დავალებების შეთავაზებაზე, რომელიც ისევ და ისევ მოსწავლის საჭიროებებზე ორიენტირებას ისახავ მიზნად. მასწავლებლების მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდოლოგია ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალიზაციას და თვითრეგულაციას. მასწავლებელი აკვირდება მოსწავლის აქტივობას კომპლექსურ დავალებასთან ასოცირებულ სასწავლო რესურსებზე მუშაობის პროცესში და აანალიზებს, თუ რამდენად უზრუნველყოფს მის მიერ სამიზნე ცნების კონსტრუირების მიზნით განხორციელებული აქტივობები ხელს მოსწავლის აღიარებას, რამდენად დასჭირდა მოსწავლეს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში დაფიქრებულიყო თანასწორობის, ტოლერანტობის, სხვა ადამიანების ღირსების დაფასების აუცილებლობაზე , გამომდინარე აღნიშნულიდან შეიძლება ითქვას, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

- **სახელმწიფო ენა**

საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ამისთვის დაწყებით საფეხურზე კვირაში ერთი გაკვეთილი განკუთვნილია კლასის საათისთვის, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებას, გააქტიურებენ ისეთ თემებს, როგორიცაა: ვართ თუ არა ტოლერანტები, რა არის მეგობრობა, როგორ ვმართოთ ემოციები, ბულინგი, ადამიანის დახმარება, ოჯახი და ა. შ.

- **უცხოური ენები**

სასკოლო სასწავლო გეგმიდან და წარმოდგენილი კურიკულუმიდან ირკვევა, რომ კათედრა ახორციელებს კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც თავის თავში მოიაზრებს მოსწავლის მხრიდან რაიმე ტიპის პროდუქტის შექმნას. ამ პროდუქტზე მუშაობის პროცესში ხშირად მოსწავლეს უწევს თანამშრომლობა თანატოლებთან, ხდება თვითშეფასება და ურთიერთშეფასება, რა დროსაც ვითარდება კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, მოსწავლეს უჩნდება თვითრეფლექსიის უნარები. სოციალური ურთიერთობებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების უკეთ განვითარების მიზნით კათედრას მიეცა რეკომენდაცია, რომ დაგეგმოს კლასგარეშე აქტივობები არაფორმალურ გარემოში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, რომელიც მოსწავლისგან მოითხოვს ფსიქო-ემოციურ ჩართულობას, მოხდეს შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებების იმგვარად მოდიფიცირება, რომ ის მოერგოს კონკრეტულად სკოლას, თემს და მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

- **სპორტი**

კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ბავშვები მონაწილეობას ღებულობენ სასკოლო ფესტივალებში, სასკოლო კონფერენციებში, მოძრავ თამაშებში. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

❖ ესთეტიკური აღზრდა

პორთფოლიოებში წარმოდგენილი დავალებები ეხმარება მოსწავლის პიროვნულ სოციო-ფსიქოლოგიურ განვითარებას. ასევე, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს არაფორმალურ განათლებას ხელოვნებისა და მუსიკის წრეების სახით (საჭიროების შემთხვევაში), ახორციელებს სოციალურ პროექტებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას, განვითარებას, ემოციების მართვას. მოსწავლეებს უყალიბდებათ ღირებულებათა სისტემა. ეჩვევიან გუნდურ მუშაობას, ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს, უყალიბდებათ პასუხისმგებლობა და ემპათია.

❖ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში საგნობრივი კონტექსტები ნაწილობრივ ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გაკვეთილებზე ხდება ბავშვების მიერ სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივად განვითარება, პიროვნულად და ფსიქო-სოციალურად ჩამოყალიბება, რაც მათ ხელს უწყობს გარემოსთან და გარშემომყოფებთან ურთიერობის დამყარებაში. ამ საკითხთან დაკავშირებით მოხდება საბუნებისმეტყველო კათედრაზე შესაბამისი გეგმის შემუშავება.

❖ საზოგადოებრივი მეცნიერებები

სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შეფასება ხდება წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების საფუძველზე, რაც საფუძველს იძლევა დასკვნების გაკეთების, რომ მოსწავლეების შესაძლებლობები მრავალმხრივად ფასდება.

**2.2.2.** 3 . შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

❖ მათემატიკა

სკოლამ, გარდა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკისა წარმოადგინა ასევე დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც მასწავლებელი აკვირდება მოსწავლის აქტივობას კომპლექსურ დავალებასთან ასოცირებულ სასწავლო რესურსებზე მუშაობის პროცესში და აანალიზებს, თუ რამდენად უზრუნველყოფს მის მიერ სამიზნე ცნების კონსტრუირების მიზნით განხორციელებული

აქტივობები ხელს მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას/მის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე**

- **სახელმწიფო ენა**

საშუალო საფეხურზე შეფასების სისტემა არის განმავითარებელი და განმსაზღვრელი - მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობზე, საჭიროებებზეა მორგებული და გათვლილი.

- **უცხოური ენები**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ, რომ მომდევნო სასწავლო წელს სკოლა გამოიყენებს ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. ამავე დოკუმენტში წარმოდგენილია შეფასების ორივე ტიპის აღწერა მიზნების, ამოცანების, კრიტერიუმებისა და მათი შეფასების ფორმების მიხედვით. იქიდან გამომდინარე, რომ შეფასება გულისხმობს არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნის შეფასებას არამედ ფასდება მისი ქცევა, შეხედულებები, დამოკიდებულებები, წარმოდგენები, ღირებულებები და ზოგადად პიროვნება, რაც მრავალმხრივი პროცესია. სკოლას გააზრებული აქვს, რომ ეს არის მრავალმხრივი პროცესი და ძალიან მნიშვნელოვანი წარმატებული მოქალაქის აღსაზრდელად. სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მიერ შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს, რომელიც აუცილებელ კომპონენტებად მიიჩნევს დიფერენცირებას და მოსწავლის დიაგნოსტირებას განვითარების ყველა სფეროს ( კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით (ჰოლისტური).
კათედრა, როგორც მთლიანად სკოლა იზიარებს შეფასების სისტემის მნიშვნელობას და მის როლს მოსწავლის განვითარების პროცესში.

- **სპორტი**

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე მასწავლებლები იყენებენ მხოლოდ ზეპირსიტყვიერ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც საჭიროებს დახვეწას და რომლის მზაობასაც გამოხატავს სკოლა. ასევე, ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. ამისათვის მასწავლებლები აპირებენ შეფასების სახვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებას და, მათ შორის, მოსწავლეთა თვითშეფასებას, რაც წარმოდგენილია დანართების სახით.

❖ ესთეტიკური აღზრდა

შეფასების ფორმები , დონეები და რუბრიკები მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, პროექტული სწავლებისას, კათედრა ხელმძღვანელობს სასწავლო წიგნებში მოცემული შეფასების რუბრიკებით, თითოეულ პროექტის იდეასთან მიმართებით. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ განმსაზღვრელი შეფასების შექმნისას ხელმძღვანელობენ სამიზნე ცნებების დამუშავებაზე მორგებული შაბლონით.

❖ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა ნაწილობრივ არის ორიენტირებული მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სასკოლო საზოგადოების მიერ ნაკლებად არის გააზრებული, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. საბუნებისმეტყველო საგნებში მოსწავლეები ფასდებიან როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებით. მოსწავლეთა შეფასებისას ნაკლებად ხდება მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობისა და საჭიროებების გათვალისწინება. ახალი სასწავლო წლიდან მასწავლებლები შეფასებისას გაითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის ნიჭს და თავისებურებას, ისინი მოტივირებული არიან ხელი შეუწყონ მოსწავლეებს ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში.

2.2.2. 4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

❖ მათემატიკა

სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და სკოლის დირექტორის N2-53 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტის ანალიზი საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა, რომლსაც სკოლა გამოიყენებს, იქნება ვალიდური, შეფასების ძირითად მიზნებთან შესაბამისი, ცნობილი სასკოლო საზოგადოებისთვის (კომპლექსური დავალების ბარათების პირობების წინასაწარ გაცნობა

შეფასების კრიტერიუმებით).ზუსტად შერჩეული გასაზომი კრიტერიუმები უზრუნველყოფს მათ სანდოობას, კონკრეტულობა კი ხელს შეუწყობ მის ობიექტურობას და სამართლიანობას.

❖ **სახელმწიფო ენა**

წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ მაძლევს საშუალებას განვსაზღვრო შეფასების სისტემის ვალიდურობა, გამჭვირვალობა სანდოობა ,ობიექტურობა.

❖ **უცხოური ენები**

სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია, რომ სკოლა სრულად იზიარებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს, მეთოდებს, მოსწავლის შეფასების მიზანს, შეფასების ტიპები, აკადემიური მიღწევის დონეებს და საგნის სემესტრული ქულის შემადგენელი კომპონენტებს, განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობებს, სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულის გამოანგარიშების წესებს, კლასისა და საფეხურის დაძლევას, გაცდენები და შეფასება, გამოცდის ტიპებს, მოსწავლის აკადემიური მიღწევებს. მომდევნო სასწავლო წელს სკოლა ირჩევს შეფასების სამ კომპონენტიან სისტემას საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი ქულების გამოყენებით მოხდება განმსაზღვრელი შეფასება საბაზო და საშუალო საფეხურზე, ხოლო დაწყებით საფეხურზე 1-4 კლასში განმავითარებელი შეფასება, მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან და მე-6 კლასში განმსაზღვრელი შეფასება.
კათედრა შეიმუშავებს შეფასების რუბრიკებს სხვადასხვა კომპლექსური ტიპის დავალებების შესაფასებლად, და ამ პრინციპების შეფასების დროს იხელმძღვანელებს შემდეგი პრინციპებით: შეფასება უნდა იყოს სანდო, რაც ნიშნავს რომ შეფასება არის მდგრადი და რეალისტური, ის სანდოა ა მიუკერძოებელი. შეფასება უნდა იყოს ვალიდური, - რაც გულისხმობს იმას, რომ ვაფასებთ, ზუსტად იმას, რის შეფასებაც გვაქვს განზრახული. გამჭვირვალობა ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ჩვენმა მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. მათ ზუსტად აქვთ გააზრებული რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მოსწავლეების პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა.
დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრა არა მხოლოდ იცნობს შეფასების პრინციპებს, არამედ აქვს მზაობა ამ პრინციპების პრაქტიკულად გამოყენების.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- <u>ესთეტიკური აღზრდა</u>

შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი-რასაც ადასტურებს მკაფიოდ გაწერილი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები, რომელიც მოსწავლეებისათვის მარტივი ენითაა ჩამოყალიბებული, ადვილად გასაგები და მისაწვდომია. მათ ზუსტად იციან, როგორ ფასდებიან და რა მიზნისკენაა მიმართული შეფასება. სასურველია, პედაგოგებმა შეიმუშაონ კონკრეტული კლასის მზაობისთვის შესაფერისი შეფასების რუბრიკები, თუნდაც სახელმძღვანელოს შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით.

**<u>2.2.2. 5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი</u>**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის N2-53 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სკოლა გეგმავს ვერიფიკაცია განახორციელოს სამი მიმართულებით: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

დოკუმენტის მიხედვით სკოლა გაითვალისწინებს რისკების ალბათობას, სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე მოახდენს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გარკვეული წინასწარ დადგენილი პროცენტული რაოდენობის მტკიცებულებების ვერიფიკაციას.

აღნიშნული დოკუმენტის ანალიზი გვაძლევს საშუალებას, რომ დავასკვნათ, სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის წესის ამოქმედება ხელს შეუწყობს შეფასების სისტემის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმის ფუნქციონირებას .

**<u>2.2.2. 6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით</u>**

სკოლაში ინახება მოსწავლეთა სემესტრული, წლიური და საფეხურის ნიშნები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. მატერიალური ჟურნალები დაცულია უსაფრთხოდ, კერძოდ, ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სამომავლოდაც დოკუმენტაციის შენახვას და დამუშავებას გააგრძელებენ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- დირექტორის N2-53 ბრძანება ( სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე)

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.2.3. 1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია: „სკოლაში დამკვიდრებულია კოლეგიალური თანამშრომლობის მაღალი კულტურა, რაც მდგომარეობს პედაგოგთა მიერ საკუთარი გამოცდილების ურთიერთგაზიარებაში, საგნობრივ კათედრათა მჭიდრო კავშირსა და ცალკეულ საკითხებზე ერთობლივ მუშაობაში. პროფესიული დისკუსიები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, საჭიროების შემთხვევაში ურთიერთდახმარებისთვის მზადყოფნა ჩვენი სასკოლო ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს“. ამ ნარატივს ადასტურებს ურთიერთდასწრების წარმოდგენილი ანგარიშები. პედაგოგებმა ინტერვიუშიც აღნიშნეს, ურთიერთდასწრებას მათ სკოლაში დიდი ხნის ტრადიცია აქვს, ესწრებიან პარალელურ კლასებს პედაგოგები, შემდეგ წერენ ანგარიშს და პრობლემებს განიხილავენ კათედრაზე.

**2.2.3. 2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თუ ის განხორციელებული პროექტები, რომლებზეც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, ნამდვილად გვაძლევს იმის დასკვნის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი მაქსიმალურად ორიენტირებულია მოსწავლეებზე. სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს, ფიზიკურ, ფსიქიკურ მახასიათებლებს, ემოციურ ინტელექტს. სასწავლო გარემო არის პოზიტიური, მაქსიმალურად მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე.

**2.2.3. 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

თანამშრომლობითი კულტურის მაგალითია „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტის არსებობა სკოლაში, რის საშუალებითაც კათედრის წევრები ესწრებიან და აფასებენ კოლეგების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს. პროცესის დასრულებისას კი ხდება გაკვეთილის გარჩევა და საჭიროების შემთხვევაში რჩევების მიცემა- ამას ადასტურებს ურთიერთდასწრების დოკუმენტაციაც.

**2.2.3. 4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ,,აღმზრდელობითი პოლიტიკა“ და „სასკოლო კათედრების ფუნქციები“- ეს ოფიციალური ჩანართები მოიცავს იმ საკითხებს, რომლებიც განაპირობებს სკოლაში კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დამრიგებლის პროგრამა II კლასი;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

### 2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

2.3.1.1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია მისი მონიტორინგი და შეფასება, რასაც უზრუნველყოფს სკოლის დირექცია სასწავლო პროცესზე დაკვირვებით, ასევე „ახალი სკოლის“ პროექტის ფარგლებში დაწყებით საფეხურზე განხორციელდა გაკვეთილებზე დაკვირვება და მასწავლებლებს მიეცათ შესაბამისი უკუკავშირი, ასევე, დაკვირვების პროცესში მთავარი აქცენტი კეთდება, თუ როგორ ხორციელდება კომპლექსური დავალებები და როგორ ხდება მოსწავლეთა შეფასება ამ დავალებებზე მუშაობის პროცესი. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა აპირებს, რომ მეტი ყურადღება გამახვილდეს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაზე, სწავლის პროცესში დაგროვებული ხარვეზების გამოვლენასა და გასწორებაზე, გარდა ამისა, უფრო სისტემატურ ხასიათს მისცემს სკოლის დირექცია სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მეთოდოლოგიის მონიტორინგსა და შეფასებას.

2.3.1.2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლაში ფუნქციონირებს სწავლის პროცესის შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. დირექციის წარმომადგენლები მეტ-ნაკლებად ამოწმებენ და აფასებენ სწავლის პროცესს/ხარისხს, კათედრების მუშაობას, აანალიზებენ და აფასებენ დაწყებით საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებს.

2.3.1.3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი და შემუშავებულია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვის მექანიზმები. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლებს მიეცემათ პოზიტიური უკუკავშირი, რომლის გაზიარებისას ერთობლივად დაიგეგმება პრობლემების გადაჭრის გზები.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- „სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი“;
- სკოლის თვითშეფასება;
- საგნობრივი კურიკულუმები;

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.3.2. 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან (რუბრიკები, სოლო ტაქსონომია სხვადასხვა საგანში) იკითხება, რომ შეფასება ნაწილობრივ ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს . ამჟამად სკოლა დაწყებით საფეხურზე იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე, განმსაზღვრელ შეფასებას, კათედრები გეგმავენ შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების გამოყენებას, როგორც გაკვეთილებზე სხვადასხვა აქტივობებისათვის, ასევე , კომპლექსური დავალებისთვის.

**2.3.2.2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია ინფორმაცია მოპოვებული იყოს ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტიულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და ა. შ. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. დაწყებით საფეხურზე იგეგმება შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების გამოყენება, სამიზნე ცნებების იერარქიასა და მასთან დაკავშირებული მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებით შეიქმნება განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები, სადაც განსაზღვრული იქნება, თუ რა მოლოდინები უნდა ჰქონდეთ მოსწავლეებისგან თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით.

**2.3.2.3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკითხება, რომ შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების ნაწილობრივ მრავალფეროვანი მეთოდები; არ არის წარმოდგენილი ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების მტკიცებულება , რომელთა ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. (ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და ა.შ.).

<u>2.3.2.4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით;</u>

წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკითხება, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ნაწილობრივ ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია, თუ როგორ (რა საშუალებებით) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება (რა წყაროების საშუალებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მონაცემების დამუშავება). წარმოდგენილი დოკუმენტაციით ( მათემატიკის კათედრაზე წარმოდგენილია მულტიფაქტორული შეფასების ნიმუში-განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კონტექსტ-მაგალითზე „პაროლის შექმნა და გამოცნობა“ და მასთან დაკავშირებულ ქვესაკითხებზე ) იკითხება, რომ სკოლაში, კათედრებზე მიმდინარეობს მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის დიაგნოსტიკა, ინერგება შეფასების მულტიფაქტორული მიდგომა, ანუ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. თუმცა კომპიუტერულ ტექნოლოგიებში ამგვარი შეფასების მტკიცებულება არ არის წარმოდგენილი, მაგრამ ინტერვიუდან გამოჩნდა, რომ სკოლის და კათედრის გამოცდილებას ტექნოლოგიების პედაგოგი მოარგებს თავის საგანს და მოახდენს მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია,
- კურიკულუმი,
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კონტექსტ-მაგალითზე

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

#### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.4.1 .1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

წარმოდგენილი მასალებიდან გამომდინარე სკოლაში შექმნილია სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. მონაცემების ინფორმაციის შეჯერების, დამუშავებისა და დასკვნების გამოტანის მიზნით სკოლა ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში შედიან: სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, კათედრების ხელმძღვანელები, ყველა საგნის თითო მასწავლებელი.
მონაცემების დამუშავების საფუძველზე სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს: რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად.
რეკომენდაციები უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ" და „აღსრულებულ" კურიკულუმს შორის.

**2.4.1.2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

დოკუმენტაციიდან იკითხება, რომ სკოლაში შემუშავებულია წინა კურიკულუმის გადასინჯვის მექანიზმი,( შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი) კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია მეტწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება გათვალისწინებული შეიძლება იყოს, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. ანუ ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახულია პრობლემის დაძლევის შესაბამისი ცვლილებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო  კურიკულუმის  შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების კითხვარი.

- *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია**

სკოლის შესაბამისობის გეგმები

08.07.2023

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის   ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: